12 მილიონი სახლების აღსადგენად A6 | "თქვენი აფხაზეთი" A8 | ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 12 მაისი, 2004 წელი. №111 (660) | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### "გაათავისუფლეთ ქართველი მოსახლეობა სომეხი კრიმინალებისაგან!"

ამ მოთხოვნით სახელმწიფო კანცელარიის წინ გუშინ აქცია მოაწყო წალკის რაიონის ქართული ეროვნების 500-მდე მცხოვრებმა, რომელიც, რეგიონში შექმნილი გაუსაძლისი ვითარების გამო, პრეზიდენტთან შეხვედრას დაჟინებით ითხოვდა.

A2

## ეკონომიკა

### ჩაის დარგის რეაბილიტაციისთვის 3,5 მილიონი ლარი გამოიყოფა

ჩაის დარგის რეაბილიტაციის პროგრამაზე წლეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,5 მილიონი ლარი გამოიყოფა. როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში აცხადებენ, ამ პროგრამის განხორციელების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია.

A4

## უცხოეთი

### რუსული ენა პოსტსაბჭოთა სივრცეში ურთიერთგაგების გასაღრმავებლად

დსთ-ს ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება გაძნელდება, თუ რუსული ენა, როგორც ერთაშორისი ურთიერთობების საშუალება, დაიკარგება, - ასეთი იყო დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის მოსაზრება, რომელიც მან სააგენტო "რია-ნოვოსტი"-სთან ინტერვიუში გამოთქვა.

A5

## საზოგადოება

### წესები მათთვის, ვისაც მშენებლობა აინტერესებს

წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ აშენებული ობიექტის დანგრევის პრეცედენტი არ ყოფილა. ხშირად მენაშენე ჯერ დაიწყებდა მშენებლობას და პროექტს შემდეგ ათანხმებდა. სახლები, უმეტესად, დაკანონებული უკანონობით შენდებოდა.

A6

## სამართალი

### იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივა

იუსტიციის სამინისტრომ გარდაბნის რაიონში საინტერესო პროექტის განხორციელება დაიწყო - დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, პატიმრები დაასაქმეს.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | ☁ |
| ქუთაისი | 17 | 🌧 |
| ბათუმი | 16 | 🌧 |
| სოხუმი | 12 | 🌧 |
| ფოთი | 15 | 🌧 |
| თელავი | 23 | 🌧 |
| ზუგდიდი | 15 | 🌧 |
| გორი | 18 | 🌧 |
| ახმეტა | 23 | ☁ |
| ჭიათურა | 17 | 🌧 |
| გაგრა | 8 | 🌧 |
| სამტრედია | 17 | 🌧 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9500 |
| ევრო | 2.3163 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4579 |
| რუბლი | 0.0673 |

# პარლამენტმა ბიუჯეტი გადააგორა

### რიგში ახალი საგადასახადო კოდექსია

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს პარლამენტმა, 161 ხმით 16-ის წინააღმდეგ, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. ოპოზიციამ გუშინ, თითქოს, ბოლომდე იბრძოლა და დებატებიც, ერთი შეხედვით, მძაფრად წარიმართა, მაგრამ თავიდანვე აშკარა იყო, რომ ხელისუფლების ოპონენტები წაგებულ თამაშს თამაშობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მოჩვენებითი დაძაბულობის მიუხედავად, წლის ძირითადი ეკონომიკური კანონი მთავრობამ პარლამენტში უპრობლემოდ გაიტანა.*

სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ "მრავალწახნაგოვან სხეულს" წარმოადგენს, მაგრამ ხელისუფლებასთან საპაექროდ ოპოზიცია მხოლოდ საპენსიო სფეროს დასჯერდა. კობა დავითაშვილი, დავით გამყრელიძე და მათი თანამოაზრეები მთავრობისგან ორ საკითხში ითხოვდნენ დათმობაზე წასვლას.

გაგრძელება A3 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ოპოზიციამ წაგებული პარტია ბოლომდე ითამაშა.*

# კონტრაბანდა საქართველოში

### აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი - მდგომარეობა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ

ალეკო კუპატაძე

*ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის მეცნიერ-თანამშრომელი სპეციალურად "24 საათისთვის"*

კონტრაბანდული ვაჭრობა საქართველოსთვის უმწვავეს პრობლემად იქცა. მისი უსწრაფესი ზრდა დაიწყო 1998 წელს და დღეს ის უკვე იმდენად მასშტაბურია, რომ ემუქრება ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. კონტრაბანდამ ხელი შეუწყო კორუფციის განვითარებას, გავლენიანი კრიმინალური დაჯგუფებების ჩამოყალიბებას და მათ სამართალდამცავ სტრუქტურებთან და პოლიტიკურ ჯგუფებთან (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები) შერწყმას. ამ პროცესს მოჰყვა ღარიბი მოსახლეობის ნაწილის ჩართვაც მსგავს საქმიანობაში.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობა უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ის მჭიდროდ უკავშირდება სეპარატიზმს, მოუგვარებელ შეიარაღებულ კონფლიქტებს, საზღვრების დაუცველობას, ძალადობას და ა.შ.

თუმცა, საგულისხმოა 2003 წლის ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ განვითარებული მოვლენები და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ზეგავლენა კონტრაბანდაზე კონფლიქტური ზონებიდან.

გალისა და ზუგდიდის რაიონებში გამოიკვეთა ზოგადი ტენდენცია - "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კონტრაბანდის მასშტაბები შემცირდა, თუმცა კონტრაბანდული ვაჭრობის საერთო ღირებულება არ შეცვლილა. გასულ თვეში, კონტრაბანდული საქონლის, სიგარეტისა და საწვავის დიდი რაოდენობა დააკავეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე აფხაზეთი-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე. უფრო მეტიც, კონტრაბანდის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს აქვს რამდენიმე თანამდევი ეფექტი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საკადრო რევოლუცია თელავში

ზვიად რუაძე

*კახეთიდან*

თელავში ორად გახლეჩილ "ნაციონალებს" შორის ურთიერთობები უკვე ერთი თვეა, რაც გართულდა. სიტუაციამ კი პიკს გუშინწინ საღამოს, პირველ საათზე მიაღწია. გვიან ღამეს რეგიონულ გაზეთ "ობიექტივის" მთავარ რედაქტორს ზურაბ ქაჩლიშვილს, სახლთან სამი უცნობი პიროვნება დახვდა. ისინი თავდაპირველად რედაქტორს შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებად გაეცვნენ, შემდეგ კი ფიზიკურად გაუსწორდნენ: **"ჯერ საბუთები მომთხოვეს, შემდეგ კი გამიყვანეს და უმოწყალოდ მცემეს,"** - ამბობს დაზარალებული ქაჩლიშვილი. ამ ყველაფრის შემკვეთად, როგორც ქაჩლიშვილი აცხადებს, კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი და თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი არიან: **"ამის საფუძველს ის იძლევა, რომ ხშირად იყო მუქარები და ანონიმური ზარები, ინკოგნიტო პირები მაფრთხილებდნენ, რომ გავჩერებულიყავი, იყვნენ შუამავლებიც, რომლებიც მიკრძალავდნენ ცისკარიშვილის და მამაცაშვილის ხსენებას. ამჯერად თავს შევიკავებ ამ შუამავლების დასახელებისგან,"** - ამბობს ზურაბ ქაჩლიშვილი, თუმცა იგი ირწმუნება, რომ "შიკრიკი", რომელსაც მას უგზავნიდნენ, "ნაციონალების" და ქურდული სამყაროს ავტორიტეტია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არჩევნების წინ ვაშინგტონი კიევზე ზეწოლას ზრდის

ტარას კუზიო

*"ჯეიმსთაუნის ფონდი"*

მაისის შუა რიცხვებში აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ზბიგნევ ბზეჟინსკი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლა დობრიანსკისთან ერთად, კიევს ეწვევა. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც ჩავა უკრაინაში.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა ამერიკის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების, სხვა ცნობილი პირების ვიზიტებით ბოლო ხანებში განებივრებულია: ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე რიჩარდ არმიტაჟი, ფინანსისტი ჯორჯ სოროსი, სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე სტივენ პაიფერი და გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის - საგარეო პოლიტიკის საბჭოს წევრები.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ლეონიდ კუჩმაზე დასავლეთი დიდ ზეწოლას ახდენს.*

# საქართველომ დაიწყო გამთლიანება!

### მიხეილ სააკაშვილის პრესკონფერენცია

**"გასულ კვირას, მრავალწლიანი დაშლის, განადგურების, დასუსტების შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში ისტორიული მოვლენა მოხდა - საქართველომ დაიწყო გამთლიანება,"** - ასე დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინდელი პრესკონფერენცია. მისი განცხადებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გასულ კვირას განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ქართველმა ხალხმა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში შეძენილი კომპლექსი დაძლია და დაამტკიცა, რომ დამარცხებისა და დამცირების ეპოქა დასრულდა. ეს კი იმის დასტურია, რომ საქართველო მოშლილი ქვეყნიდან სრულფასოვან სახელმწიფოდ იქცა. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ აჭარის რეგიონში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში შინაგანი ჯარი პატრულირებს, ჯარი, რომელსაც უკვე აქვს საკვები, ფორმა, ხელფასი და, რაც მთავარია, გამარჯვებულის სულისკვეთება. საგულისხმოა, რომ ბათუმში მოროდიორობის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა, რასაც ადგილი მრავლად ჰქონდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების დროს.

**"აჭარა საქართველოს შემადგენლობიდან ფაქტობრივად გასული იყო,** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, - **მისი შემოერთებით კი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი პრაქტიკულად გაორმაგდა. ამ რეგიონში აღდგენითი პროცესები უკვე დაიწყო.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# "საქართველოს საზღვაო ბანკი" აღარ იარსებებს

ნინო ნარჩემაშვილი

*ცნობილი ფაქტია, რომ "საქართველოს საზღვაო ბანკის" მუშაობაში არაერთი დარღვევა არსებობს. ეს პროცესები უკანასკნელი თვეების განმავლობაში განსაკუთრებით გააქტიურდა და მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე გაჩნდა საქართველოდან ბანკის კუთვნილი აქტივების მთლიანად გატანის საშიშროება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არსებული უხეში დარღვევების გამო "საქართველოს საზღვაო ბანკს" ლიცენზია გაუუქმა და მისი აღდგენის პროცედურას საბანკო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. საზღვაო ბანკში, რომლის დამფუძნებელიც ფონდი "აღორძინება" გახლავთ, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ბანკის ანგარიშებზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ რიცხული თანხების კონსოლიდირებისათვის. გაირკვევა იმ ქვეყნების ნუსხაც, სადაც ბანკი ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# დაკარგული საგანძური დააბრუნეს

ინგა ალავიძე

*სულ ცოტა ხნის წინ დაკანონებული ახალი საპროცესო ნორმის "გარიგებითი სამართლის" პირველი რეალური შედეგი სამართალდამცველებმა გუშინწინ მიიღეს. წლების წინ, სამოქალაქო ომის დროს, ხელოვნების მუზეუმიდან დაკარგული შედევრი, მე-16 საუკუნის გერმანელი ფერმწერის ლუკას კრანახის ტილო - "მაჭანკალი" ქართველმა სამართალდამცველებმა გუშინწინ თბილისში იპოვეს.*

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# საკადრო რევოლუცია თელავში

პირველი გვერდიდან



*აკურის მოსახლეობამ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ობსტრუქცია მოუწყო.*

მისივე თქმით, გუბერნატორი და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მას შემდეგ გაღიზიანდნენ, როცა გაზეთის რედაქცია გამგეობის კანცელარიაში საკადრო დანიშვნის შესახებ ოფიციალური ბრძანებებით და პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდში ჩარიცხული თანხებით დაინტერესდა. გარადა ამისა, ჟურნალისტი ამ ყველაფრის მიზეზად მის გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსაც ასახელებს, რომელშიც რევოლუციის შედეგად მოსულ ჩინოვნიკებს სხვადასხვა მაქინაციებში ამხელდა.

გუშინ, სოფელ აკურის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა და თელავი-თბილისის ავტომაგისტრალი რამდენიმე საათით გადაკეტა. მათი მოთხოვნა უცვლელია, გადადგეს რევოლუციის შედეგად კახეთში მოსული ხელისუფლება: "ჩვენი ხელისუფლება უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება არ ხდება," - ამბობენ აკურელები.

როგორც შემდგომ გაირკვა, აქცია გოჩა მამაცაშვილის კონკურენტმა ნანა მამუკელაშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა გამართეს. უნდა აღინიშნოს, რომ ნანა მამუკელაშვილი ერთი წლის წინ საზღვარგარეთ საოპერაციოდ გაემგზავრა, ჩამოსულს კი მისი თანამდებობა დაკავებული დახვდა. როგორც ქალბატონმა ნანამ გვითხრა, თანამდებობის აღსადგენად მან სასამართლოს მიმართა: "ამის გამო ჩემმა შემცვლელმა ხმიადაშვილმა სარჩელი შეიტანა, რომ მე, თითქოს, უკანონოდ ვიცავდი თავს," - ამბობს მამუკელაშვილი.

მოპიკეტეებს გუშინვე თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი შეხვდა, მაგრამ იგი მოსახლეობისგან წინააღმდეგობას წააწყდა. აქციის წევრები მამაცაშვილისგან თანამდებობის დატოვებას მოითხოვდნენ, თავად გოჩა მამაცაშვილმა კი შექმნილ აურზაურს პროვოკაცია უწოდა: "ეს არის სპეციალურად, თეთრი ძაფით ნაქსოვი, რადგან ვიღაცას ახალი ხელისუფლების სახელის გატეხვა უნდა. რაც შეეხება ჟურნალისტის ცემის ფაქტს, ჩვენ სიტუაციაში გავერკვევით და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, მე შევძლებ გავიგო, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან," - განაცხადა მამაცაშვილმა, რომელიც მოპიკეტეებმა სიტყვის დასრულებისთანავე გააძევეს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინ თელავის ახალი ხელმძღვანელობა სასამართლოში დამარცხდა. "გაერთიანებული დემოკრატების" მხარდამჭერებმა მოიგეს პროცესი, რომელიც რევოლუციის შემდეგ დანიშნული გამგეობის თანამშრომლების უსაფუძვლო გათავისუფლებას ეხებოდა. გამგეობის აპარატის თანამშრომლების თანამდებობიდან მოხსნის ინიციატორი კი, როგორც თელავის ყოფილმა გამგებელმა გელა კირვალიძემ სასამართლოზე განაცხადა, პეტრე ცისკარიშვილი და გოჩა მამაცაშვილი იყვნენ: "პეტრე ცისკარიშვილის გუბერნატორად დანიშვნის დღეს გოჩა მამაცაშვილი შემოვიდა ჩემს კაბინეტში და გამომიცხადა, რომ ყველა თანამშრომლისთვის დმეწერინებინა გათავისუფლების შესახებ განცხადება, ხოლო გამგებლის პირველი მოადგილის ვაკანსიას თავად დაიკავებდა. ამის შემდეგ იძულებული გავხდი, რომ ყველა თანამშრომლისთვის განცხადება დამეწერინებინა". კირვალიძე იმასაც ამბობდა, რომ ერთ-ერთი მოადგილის გათავისუფლების შესახებ ხელმოწერა მას არ გაუკეთებია და გაყალბებულია: "მე კარგად მახსოვს, როგორ მოვაწერე ხელი განცხადებას პირველი მოადგილის თანამდებობაზე გოჩა მამაცაშვილის დანიშვნის შესახებ, მაგრამ ლარიბაშვილის გათავისუფლების შესახებ განცხადება არც მინახავს და არც ხელი მომიწერია," - ირწმუნებოდა კირვალიძე. ასეთი ჩვენების შემდეგ, სასამართლომ გათავისუფლებული თანამშრომლების სასარგებლო განაჩენი გამოიტანა. მიუხედავად ამისა, გათავისუფლებულები თანამდებობაზე არ დაბრუნებულან, რადგან მამაცაშვილმა სასამართლოს გადაწყვეტილება რეგიონის საოლქო პროკურატურაში გაასაჩივრა.

რეგიონში მიმდინარე მოვლენებს კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: "უბრალოდ, მე ერთს ვიტყვი, იმ ხალხს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან, მხოლოდ სკამები აინტერესებთ. მათ ხალხი სულაც არ ადარდებთ. ისინი საბავშვო ბაღის დონეზე წყვეტენ ყველაფერს. ეს არის სუფთა ინტრიგნული გარჩევები. მე ყველას ვურჩევ, რომ ამას თავი დაანებონ, რადგან სასამართლო სულ მალე ობიექტურ განაჩენს გამოიტანს."

რაც შეეხება დაზარალებულ ჟურნალისტს, მას გუშინ პრეზიდენტის და გაერთიანებული ოპოზიციის სახელით ბოდიში პარლამენტარმა მარიკა ვერულაშვილმა მოუხადა. გუშინვე ქაჩლიშვილმა ჩვენება გამოძიებას მისცა, მოგვიანებით კი დეტალები მან რეგიონის ჩინოვნიკებს აუხსნა.

# აჭარის უშიშროების მინისტრი და ბათუმის მერი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ

პრეზიდენტის რწმუნებულმა აჭარაში ლევან ვარშალომიძემ გუშინ მერიის თანამშრომლებს მერის მოვალეობის ახალი შემსრულებელი ედვარდ სურმანიძე წარუდგინა.

ედვარდ სურმანიძე ამ თანამდებობაზე სამი თვის ვადით დაინიშნა. როგორც თავად ახალი მერი აცხადებს, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, სამი თვის შემდეგ მიიღებს თუ არა მონაწილეობას მერის არჩევნებში. "ამ ეტაპზე ერთადერთი, რაც გადაწყვეტილი მაქვს, ის არის, რომ კაბინეტში პრეზიდენტის სურათს დავკიდებ," - აღნიშნა მერმა, რომელიც გუშინ უკვე შეხვდა თამარის დასახლების მოსახლეობას. გუშინვე აჭარის უშიშროების სამინისტროში საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ თანამშრომლებს ახალი მინისტრი, კაკო ცინცაძე წარუდგინა. ცინცაძე, პირველ რიგში, ნარკობიზნესთან აქტიური ბრძოლის დაწყებას აპირებს.

გიგი უგულავას თქმით, აჭარის უშიშროების სამინისტროს სტრუქტურა, ჯერჯერობით, უცვლელი რჩება, ხოლო ერთი თვის შემდეგ უწყება სამმართველოდ გადაკეთდება და მის უფროსობას კვლავ კაკო ცინცაძე გააგრძელებს.

*ინტერ-პრესი*

# აჭარას ახალი უშიშროების მინისტრი ჰყავს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის პოსტზე კონტრდაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი აკაკი ცინცაძე დაინიშნა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი უშიშროების მინისტრი გუშინ უკვე შეუდგა თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას და მუშაობის ტაქტიკაზეც ისაუბრა. ის ამ უწყებაში ძირეული რეფორმების გატარებას აპირებს. როგორც აკაკი ცინცაძე აცხადებს: "აჭარის უშიშროების სამინისტრო ნარკობიზნესსა და კორუფციაში მონაწილეთა წინააღმდეგ იბრძოლებს. სამინისტრო ახალი მეთოდებით ისარგებლებს, უფრო პრინციპული გახდება და, რაც მთავარია, თავისი ყველა ნაბიჯის ცენტრთან კოორდინირებას აპირებს".

სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, ვიდრე საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს გაუქმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, აკაკი ცინცაძე ამ უწყებას უხელმძღვანელებს.

*პრაიმ-ნიუსი*

# ბათუმის ციხეში 132 პატიმარი გაუსაძლის პირობებში იმყოფება

სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ ბათუმის N3 საპყრობილე მოინახულა. სასჯელაღსრულების ამ დაწესებულებაში 132 პატიმარია. როგორც სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი აცხადებს, ისინი გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან. ლომსაძის თქმით, ჭიანურდება სასამართლო პროცესები, ძიება არაკანონიერად მიმდინარეობს, სამართალდამცველები უხეშად არღვევენ პატიმართა უფლებებს. ყველაზე ხშირად ძალადობის კვალი აღენიშნებათ იმ ექვმიტანილებს, რომლებიც ხელვაჩაურის რაიონის პოლიციიდან გადაჰყავთ ბათუმის ციხეში.

სახალხო დამცველის აპარატი განიხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ ფაქტს და მოამზადებს რეკომენდაციებს შესაბამისი უწყებებისათვის.

*მედია-ნიუსი*

# გამსახურდიას საქმეების ძიების დეტალებს პროკურატურა არ ახმაურებს

გენერალურ პროკურატურაში თავს იკავებენ იმ დეტალებზე საუბრისგან, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებისა და მის მიმართ სამშობლოს ღალატის მუხლით აღძრული საქმეების გამოძიებას ეხება.

გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, ამ საქმეების გამოძიება სამი თვის წინ განახლდა. საქმეზე 400 ტომი შეიკრიბა და ამჟამად მათი შესწავლა მიმდინარეობს. გარცელებული ინფორმაციით, პროკურატურამ გამსახურდიას საქმეების გამოძიების ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი დაკითხა, თუმცა ამ ინფორმაციას გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე, საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი რევაზ ზარანდია არ ადასტურებს.

პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების ფაქტზე აღძრული საქმე ანზორ ბალუაშვილის გენპროკურორის მოადგილის პოსტზე ყოფნის დროს შეწყდა იმ მოტივით, რომ გამოძიებამ თვითმკვლელობის ვერსია გაიზიარა. რაც შეეხება მეორე საქმეს, სადაც გამსახურდია სამშობლოს ღალატში, უკანონო ბანდფორმირების შექმნაში, კონსტიტუციური წყობის დამხობისაკენ მოწოდებაში იყო დადანაშაულებული, იგი ბრალდებულის გარდაცვალების გამო დაიხურა.

"გამოძიების დეტალები მას შემდეგ გახმაურდება, რაც პროკურატურა ახლო მომავალში საქმეზე კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს", - აცხადებენ გენერალურ პროკურატურაში

*მედია-ნიუსი*

# ლეოპარდი დაბრუნდა



*საქართველოში (და სამხრეთ კავკასიაში) პირველად გადაღებული ველური ლეოპარდის ფოტო. აპრილი 2004წ.*

აპრილში ორგანიზაცია NACRES მიერ ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში დამონტაჟებულმა ფოტო-ხაფანგმა, სახეობისთვის დამახასიათებელი მთელი სილამაზით, გრაციოზულობითა და მედიდურობით აღსავსე ახალგაზრდა მამრი ლეოპარდი დააფიქსირა.

სავარაუდოდ ეს არ არის ერთადერთი ინდივიდი ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილში. ამჟამად სპეციალური ჯგუფი მივლინებულია ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

საქართველოში ბოლო ლეოპარდი 50 წლის წინ მოკლეს. ბევრს ეგონა, რომ ეს უკანასკნელი ინდივიდი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ცდებოდნენ.

# ცესკო-ს უარი ლეიბორისტებს

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" მიერ შექმნილ 6-კაციან საინიციატივო ჯგუფს სარეფერენდუმო საკითხის და საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაზე უარი უთხრა.

ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ის, რომ "რეფერენდუმის შესახებ" კანონის თანახმად, რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იმართება, ამიტომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რეფერენდუმის ჩატარება შეუძლებელია.

გარდა ამისა, ცესკო-ს განმარტებით, "რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს კანონით რეფერენდუმის მოწყობა არ შეიძლება "კანონის მისაღებად, ან გასაუქმებლად".

ცესკო-ს დღევანდელ გადაწყვეტილებას საინიციატივო ჯგუფი 5 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

*ინტერ-პრესი*

# "გაათავისუფლეთ ქართველი მოსახლეობა სომეხი კრიმინალებისაგან!"



*წალკის ქართულ მოსახლეობას მთავრობის წარმომადგენლები დახმარებას დაჰპირდნენ.*

*ამ მოთხოვნით სახელმწიფო კანცელარიის წინ გუშინ აქცია მოაწყო წალკის რაიონის ქართული ეროვნების 500-მდე მცხოვრებმა, რომელიც, რეგიონში შექმნილი გაუსაძლისი ვითარების გამო, პრეზიდენტთან შეხვედრას დაჟინებით ითხოვდა.*

წალკის რაიონში 1500-მდე ქართული ოჯახი ცხოვრობს, სომეხი ეროვნებისა - 6000-მდე. რაიონში 42 სოფელია, მათ შორის ქართველებით მჭიდროდ დასახლებული - ორი, ხარამა და გუმბათი. გუმბათი პირველი ქართული სოფელია. იქ მოსახლეობა 1998 წელს სვანეთიდან და მაღლამთიანი აჭარიდან ჩაასახლეს.

**"შვიდი წელია, ქართველები უკიდურეს შევიწროებას განვიცდით სომეხი შეიარაღებული ბანდებისაგან; არავინ პატრონი არ გამოგვიჩნდა, რომ გვიშველოს,** - ჰყვება აქციის ერთ-ერთი მონაწილე ედნარ თავართქილაძე, - **ამდენი ადამიანი საერთო უბედურებამ შეგვკრიბა აქ. ოცდამეერთე თავდასხმა მოხდა ქართველებზე 9 მაისს. გვაყენებენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, განუკითხავი ქურდობა და ძალადობა მიმდინარეობს. თითქმის ყველა სომეხს ოჯახში იარაღი აქვს - მარტო ცეცხლსასროლი კი არა, "ბეტეერებიც" კი უყენიათ და სხვა მძიმე ტექნიკაც. ქართველები უძლურები ვართ მათ წინაშე - ჩვენ არც იარაღი გვაქვს და არც დამცველი გვყავს. სომხები იძულებულს გვხდიან, დავტოვოთ საცხოვრებელი ადგილები. ისინი წალკას, ნინოწმინდასა და ახალქალაქს სომხეთის ტერიტორიად თვლიან. თუ ხელისუფლებამ ჩვენი უსაფთხოების დასაცავად სასწრაფო ზომები არ მიიღო, დავკარგავთ ამ ადგილს. წალკის რაიონამდე ჯერ არ მოუღწევია "ვარდების რევოლუციას", ისევ ძველი გამგებელი და სხვა თავკაცები განაგებენ რაიონს და არავითარ ზომას არ მიმართავენ მოსახლეობის დასაცავად. ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნაა, მოგვაშორონ ისინი. დიდმა გაჭირვებამ მოგვიყვანა აქ. არც ფული გვაქვს და არც საჭმელი - ვშიმშილობთ. სანამ პრეზიდენტისაგან არ მივიღებთ გარანტიას, სახლში არ წავალთ."**

აქციის მონაწილეთა შვიდკაციან ჯგუფს უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი შეხვდა. მისგან აქციის მონაწილეებმა უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები მიიღეს.: **"ბატონმა ვანომ, პირველ რიგში, უსაფრთხოების დაცვა აღგვითქვა,** - ამბობს წალკელი გურამ აბულაძე, - **დღეს დილით წალკაში გაიგზავნა შინაგანი ჯარის 150-კაციანი ჯგუფი და 30 სპეცრაზმელი, რომლებიც ჩვენი ოჯახების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ვანო მერაბიშვილმა დაგვაიმედა, რომ ჩვენი მოთხოვნები პრეზიდენტამდე მივიდა და სააკაშვილი პრობლემას უახლოეს მომავალში გადაგვიწყვეტს. ამ წუთებისთვის სახელმწიფო დონეზე ყველა ზომაა მიღებული. გვთხოვა, რომ სახლებში დავბრუნდეთ, მაგრამ აქციის მონაწილეთა ნაწილი თანახმა არ არის - მათ გარანტიების მიღება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან სურთ. თუ პირადად ვერ ვნახავთ, ტელევიზიით მაინც მოგვმართოს".**

აქციის მონაწილის გიორგი ხარატიძის განცხადებით, **"სიტუაცია წალკაში მალევე დარეგულირდება, თუკი დაიჭერენ სომეხი ეროვნების კრიმინალებს, რომლებიც ბანდებს უდგანან სათავეში. ქართველები, პირადად მეც, მონაწილეობას მივიღებთ ამ ოპერაციაში. თუ ახლა ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა ჩვენი მოთხოვნა, უნდობლობას დაიმსახურებს. "ვარდების რევოლუცია" ჩვენთვის ჯერჯერობით ეკლების რევოლუციაა."** პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, წალკის ქართველი მოსახლეობა თბილისში ოჯახებით ჩამოსვლას გეგმავს.

კანცელარიასთან მიმდინარე აქციაზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტამიროვაც მივიდა და მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდა. მისი განცხადებით, სამინისტროში მზადდება კანონპროექტი ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ, რომელიც, პირველ რიგში, ამ ადამიანებს შეეხება. **"ახალ ბიუჯეტში ამისათვის მილიონნახევარი ლარია გათვალისწინებული. პროგრამას გავაცნობთ გაერო-ს განვითარების ფონდს, რომლისაგანაც გარკვეულ დახმარებას ველოდებით, რადგან საქართველოში აქამდე არ არსებობდა კანონი ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ. ეს პროექტი რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და აჭარის მოსახლეობასაც შეეხება. უახლოეს მომავალში ვაპირებ წალკის რაიონში ჩასვლას და მდგომარეობის ადგილზე გაცნობას,"** - ამბობს ასტემიროვა.

*ნინო ბერელიძე*

# პროკურატურას შალამბერიძის მიმართ პრეტენზიები აღარ აქვს

ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ყოფილმა დირექტორმა ივერი შალამბერიძემ ბიუჯეტში 47 ათასი ლარი გადაიხადა და შესაბამისი ქვითარი თბილისის პროკურატურაში უკვე წარადგინა. როგორც თბილისის პროკურორის თანაშემწე ნანა ლომაია ამბობს, საბითუმო ბაზრის მესვეურთა მიერ გადასახადების დამალვის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გაირკვა, რომ შალამბერიძის ხელმძღვანელობის პერიოდში (2000 წელს) საბითუმო ბაზარმა 47 ათასი ლარის ოდენობის დამატებითი ღირებულების გადასახადი არ გადაიხადა. პროკურატურას შალამბერიძის მიმართ პრეტენზიები აღარ აქვს.

შეგახსენებთ, თბილისის პროკურატურაში ჩატარებული გამოძიების მასალების თანახმად, ენერგეტიკის საბითუმო ბაზარმა ბიუჯეტს სხვადასხვა დროს 3 347 ათასი ლარის ოდენობით გადასახადი დაუმალა. ამის გამო პროკურატურამ მიმდინარე წლის 30 იანვარს საბითუმო ბაზრის ყოფილი დირექტორი დავით ჯიბლაშვილი, ხოლო 2 თებერვალს ასევე ყოფილი დირექტორი იოსებ ნატროშვილი დააკავა.

საბითუმო ბაზრის მიერ სადავო თანხის გადახდის შემდეგ ჯიბლაშვილი და ნატროშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

*მედია-ნიუსი*

# დღეს "პოპულარულ ბიზნესმენებს" დააჯილდოებენ

დღეს "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება წლის ყველაზე პოპულარული ბიზნეს-სტრუქტურებისა და საქმიანი ადამიანების დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც აწყობს კონსორციუმი "ქართული ბიზნესის ლობი". კონსორციუმის დამფუძნებლები არიან ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია, სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი "რეიტინგი-კავკასია", "მცირე და საშუალო ბიზნესის კონფედერაცია" და საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა".

**"ჩვენ არ ვავლენთ წლის საუკეთესო კომპანიებს. ჩვენ არ ვავლენთ პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხს, არც წლის სახეებს, ამას სარეიტინგო ბაზარზე მომუშავე ჩვენი კოლეგები აკეთებენ. ჩვენ გამარჯვებულებს ვავლენთ მხოლოდ ერთი - პოპულარობის კრიტერიუმით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვებისაგან განსხვავებით, ჩვენი რეიტინგი წმინდა სოციოლოგიური და მარკეტინგულია და გამოხატავს საზოგადოებრივი აზრის და ექსპერტების დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქართული ბიზნეს-სტრუქტურისა და ბიზნესმენებისადმი,"** - აღნიშნა რეიტინგი-კავკასიის მენეჯერმა გიორგი სამუშიამ.

ნომინანტები სულ 6 ნომინაციაში მიიღებენ მონაწილეობას: ყველაზე პოპულარული სახალხო პროდუქტი; ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია; ყველაზე პოპულარული ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანია; ყველაზე პოპულარული კავშირგაბმულობის კომპანია; ყველაზე პოპულარული ქართული კომპანია; "ყველაზე პოპულარული ბიზნესმენი". თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული სახალხო და ექსპერტული ვერსიით გამოვლინდება. კონსორციუმის გენერალური მდივნის ტარიელ გიორგაძის განცხადებით, მომავალი წლიდან ეს ფესტივალი იანვარში გაიმართება და გარკვეულ დახმარებას გაუწევს როგორც ქართულ კომპანიებს, მათ მარკეტინგულ სამსახურებს და ბაზარზე მომუშავე სხვა სარეიტინგო კომპანიებს, ისე მომხმარებელსაც.

*24 საათი*

# ხვალ "ქართლი-2"-ს შეაკეთებენ

## გსეკ-ის სამცხე-ჯავახეთის ფილიალებში კი რეორგანიზაცია დაიწყება

ხვალ, 13 მაისს, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა მთიანეთის რაიონების, დაახლოებით, 60 პროცენტს ელექტროენერგია მაქსიმალური შეზღუდვით მიეწოდება. შეზღუდვის მიზეზი კი ისაა, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" (გსეკ) 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის "ქართლი 2"-ის რემონტს გეგმავს. სარემონტო სამუშაოები, რომელსაც "ქართლი-2"-ის ოპერატორი "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ჩაატარებს, სრულ 1 დღე-ღამეს გასტანს, რის შედეგადაც გსეკ-ი ამ რეგიონებში მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების ელექტრომომარაგებას შეძლებს.

"14 მაისს ამ რაიონებისთვის დენის მიწოდება დადგენილი გრაფიკის მიხედვით აღდგება," - აცხადებენ გსეკ-ის მენეჯერები. მათი განმარტებით, ეს სარემონტო სამუშაოები გადაუდებლად უნდა ჩატარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხაზზე, შესაძლოა, ავარია მოხდეს.

რაც შეეხება გსეკ-ის მთავარ ამოცანას - რეგიონებში სადისტრიბუციო ქსელებში აღრიცხვიანობის მოწესრიგებას, ამ მიმართულებით გსეკ-ი მუშაობას განაგრძობს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, გსეკ-ის მენეჯერები ამ ეტაპზე კომპანიის ფილიალების რეორგანიზაციით არიან დაკავებულნი. ეს პროცესი უკვე ჩატარდა რუსთავში, ქუთაისსა და ზუგდიდში. ახლა გსეკ-მა სამცხე-ჯავახეთისკენ გადაინაცვლა. გუშინ ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი დინ უაითი სამცხე-ჯავახეთს ეწვია და ამ მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილს კომპანიის ადგილობრივ ფილიალებში მიმდინარე რეორგანიზაციის თაობაზე ესაუბრა. იმისათვის, რომ მომავალ წელს ამ რეგიონმა დენი შეუფერხებლად მიიღოს, ადგილობრივმა ფილიალებმა დენის საფასურის ამოღების მაჩვენებლები უნდა გაზარდონ. ჩასატარებელია გამრიცხველიანების პროცესიც, ამისათვის კი, ბუნებრივია, კომპანიას ადგილობრივი მმართველების მხარდაჭერა დასჭირდება.

*ნიკა მარიამიძე*

# მიხეილ სააკაშვილი ყოფილ კოლეგებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, გუშინ თბილისის საკრებულოს წევრების და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა გაიმართა. როგორც დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დღევანდელი შეხვედრის მთავარი თემა თბილისის ბიუჯეტის გამჭვირვალობა და მასში პრიორიტეტების განსაზღვრა იქნება. ბეგაშვილის თქმით, თბილისის საკრებულო ძირითად ყურადღებას საპენსიო დავალიანებების გაცემას და მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის ფინანსური დახმარების გაწევას მიაქცევს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 20 მაისს სოხუმში, ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შემუშავების პერსპექტივებს განიხილავენ. შეხვედრა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის ინიციატივით შედგება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ-გამათავისუფლებელ დარბაზში" გაერთიანებული პოლიტიკური ძალები აჭარაში ავტონომიის გაუქმებას და რეგიონიდან რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გაყვანას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 12-13 მაისს ნიდერლანდებისა და ნორვეგიის ერთობლივი თავმჯდომარეობით, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს 45 წევრი ქვეყნის, მათ შორის - საქართველოს, საგარეო საქმეთა მინისტრთა კომიტეტის 114-ე სხდომა გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორხევის სამხედრო ბაზაზე მყოფი, ბათუმის 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის 300-მდე მოსამსახურიდან 100 ბათუმში დაბრუნდა. დანარჩენები მუდმივი დისლოკაციის ადგილზე კვირის ბოლომდე ჩავლენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ირაკლი წერეთელი საქართველოს ხელისუფლებისაგან აჭარაში ავტონომიური მმართველობის გაუქმებას მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველომ დაიწყო გამთლიანება!

პირველი გვერდიდან

**უახლოეს დღეებში დავიწყებთ გზების შეკეთებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ასევე სხვა სამუშაოებს, რომლებიც აჭარელი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს."**

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტიდან ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე თვეში 300 ათას დოლარს არეგისტრირებდა, მაშინ, როცა დაკეტილი ჩოლოქის პირობებში, ერთ დღეში ასი ათას დოლარზე მეტი თანხაა შემოსული. ასევე იგეგმება რეგიონში არსებული სამინისტროებისა და სხვა უწყებების რაოდენობის შემცირება, ბიუროკრატიული აპარატის გაუქმება და ქონების ხალხის საკუთრებაში გადაცემა. პრეზიდენტს ავტონომიის ახალი ხელმძღვანელობის სწამს და იმედოვნებს, რომ დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართმევენ თავს.

მიხეილ სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში, ჩვენს ქვეყანაში გაიმართება სუუამის სამიტი. აზერბაიჯანის, მოლდოვის, უკრაინისა და უზბეკეთის პრეზიდენტები ივნისში ბათუმს სწორედ ამ მიზეზით ეწვევიან. ამას გარდა, აჭარაში იგეგმება დიდი ეკონომიკური ფორუმი, რომელზეც რუსეთის ყველა დიდი ბიზნესმენი და რამდენიმე მინისტრი ჩამოვა. პრეზიდენტი უახლოეს მომავალში გეგმავს ვიზიტებს რუმინეთსა და თურქეთის რესპუბლიკაში, რათა აჭარულ დელეგაციასთან ერთად, აღადგინოს ურთიერთობები აჭარასა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის.



პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილი ლოთი ქობალიას გათავისუფლების ფაქტსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ქობალიასა და მის თანამოაზრეებს გასამართლებელი მართლაც აქვთ - ისინი იცავდნენ კანონიერ ხელისუფლებას, რომელიც უკანონოდ, ძალის გამოყენებით დაამხეს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს ხალხი მოღალატეების სტატუსს არ იმსახურებენ, რადგან ისინი თავიანთი ფიცის ერთგულნი იყვნენ. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მათ შორის ბევრი მართლაც იყო გმირი, ბევრიც - მძარცველი და ყაჩაღი, რომლებმაც სამეგრელო, ფაქტობრივად, დაარბიეს, თუმცა პასუხისგებას თავი აარიდეს. იმ პერიოდიდან პატიმრობაში მხოლოდ ლოთი ქობალია იმყოფებოდა, რომელმაც ათი წლიდან ხუთი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა. **"იქ გატარებული ერთი დღე კი ათს უტოლდება,"** - აღნიშნავს პრეზიდენტი და დასძენს, რომ ამ ადამიანმა საკმაოდ ზღო ჩადენილი დანაშაულისათვის.

მიხეილ სააკაშვილს განსხვავებული აზრი აქვს გენერალ რომან დუმბაძესთან დაკავშირებით. მიუხედავად ქვეყნის პრეზიდენტის არაერთი გაფრთხილებისა და მოწოდებისა, რომან დუმბაძემ დაუმორჩილებლობა ღიად გამოაცხადა და ქვეყნის ინტერესების საპირისპიროდ მოქმედებდა. სხვა ჯარისკაცების მსგავსად, მასაც შეეძლო თავისი ქვეყნის ერთგული დარჩენილიყო, თუმცა მან ეს არ ისურვა და, პრეზიდენტის თქმით, მოღალატის სტატუსი სწორედ ამიტომ დაიმსახურა. **"მოღალატეობა ისჯება!"** - განაცხადა პრეზიდენტმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ყველამ უნდა გაითავისოს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. **"თუ მოღალატეები არ დაისჯებიან, საქართველო ფეხზე ვერასოდეს დადგება,"** - დარწმუნებულია პრეზიდენტი.

პრესკონფერენციის დასასრულს მიხეილ სააკაშვილი პენსიების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ქვეყნის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მიღწეული შედეგი საბოლოო არ არის და პენსიების ზრდა გაგრძელდება. ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა სამუშაო ადგილების შექმნაა და ეს უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს. **"ჩვენ საქართველოს გაძლიერების, გაერთიანებისა და რეფორმების ეპოქაში შევდივართ და სიღარიბის დაძლევა ჩემი უპირველესი ამოცანაა,"** - დასძინა ქვეყნის მეთაურმა.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# პარლამენტმა ბიუჯეტი გადააგორა

პირველი გვერდიდან

პირველი: დაუყოვნებლივ შესულიყო ძალაში კანონი მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისთვის პენსიების 50 პროცენტით გაზრდის შესახებ და მთავრობას მის ასამოქმედებლად დამატებით 6,5 მილიონი ლარი გამოენახა. მეორე: გაუქმებულიყო მთავრობის დადგენილების ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, პენსიები მხოლოდ იმ პენსიონრებს ეზრდებათ, ვის მიმართაც სახელმწიფოს დავალიანება არ გააჩნია.

საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციის ეს მოთხოვნები არ გაიზიარა. **"მთელი საპენსიო დავალიანება რომ გაგვესტუმრებინა და მთიან რეგიონებში პენსიები გაგვეზარდა, ოპოზიცია მაინც იპოვიდა საბაბს, რომ ბიუჯეტის პროექტი გაეკრიტიკებინა და მისთვის ხმა არ მიეცა,"** - აცხადებს მაია ნადირაძე, რომლის აზრითაც, ბიუჯეტის პროექტის ლანძღვა ოპოზიციის თვითმიზანს წარმოადგენს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლებს პენსიები დღემდე არ გახსენებიათ, საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანად კობა დავითაშვილის მიერ მომზადებულ სარჩელს კი "შევარდნაძისდროინდელი კლეპტომანი დეპუტატები" აწერენ ხელს. ამასთან, მაია ნადირაძე კოლეგებს შეახსენებს, რომ, თავის დროზე, დავით გამყრელიძემ მაღალმთიანი რეგიონების შესახებ მიღებულ კანონს "უვარგისი" უწოდა, დღეს კი მის დაუყოვნებლივ აღსრულებას დაჟინებით ითხოვს.

საპენსიო საკითხებში ოპოზიციის მოთხოვნები რომ პოპულიზმია, ხათუნა გოგორიშვილს ადვილად შეუძლია დაამტკიცოს. **"პარლამენტარების საპენსიო უზრუნველყოფისთვის ოდნავ ნაკლები თანხებია საჭირო, ვიდრე ეს მაღალმთიანი რეგიონების პენსიონერებისთვის შეღავათების გაცემას სჭირდება. ამიტომ, დეპუტატთა პენსიების მაღალმთიან რეგიონებზე გადამისამართების წინადადებით შემოვალ და ვნახოთ, როგორ დაუჭერთ მხარს,"** - მკაცრ გამოცდას უწყობდა და საკმაოდ არასასურველ ალტერნატივას სთავაზობდა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციას.

მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული საპენსიო სქემის გადასინჯვის წინააღმდეგ ყველაზე მკვეთრად, ცხადია, თავად პრემიერ-მინისტრმა გაილაშქრა. მისი თქმით, ოპოზიციის მოთხოვნებზე დათანხმება სახელმწიფო ბიუჯეტის ტორპედირების ტოლფასია. ზურაბ ჟვანიამ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის "თავხედობაზეც" ისაუბრა და იქვე ისიც შენიშნა, რომ **"ბიუჯეტის შედგენა ცალკეული პიროვნებების ბიზნესინტერესების გათვალისწინებით არ მომხდარა".**

ამასთან, პრემიერ-მინისტრმა თავის გამოსვლაში ვრცლად მიმოიხილა ის ცვლილებები, რომლებიც, პარლამენტართა მოთხოვნების გათვალისწინებით, ბიუჯეტის პროექტში ბოლო მომენტში შევიდა. კერძოდ, მიწისძვრით დაზარალებულთა რეაბილიტაციის პროგრამებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა 15 მილიონი ლარი, რომელსაც თბილისის ბიუჯეტიდან ამავე მიზნისთვის გაღებული 12 მილიონი დაემატება; მიმდინარე წელს პარლამენტის ბიუჯეტი 1,902 მილიონი ლარით გაიზრდება; ექსპრეზიდენტების პენსიებისთვის თავიდან გათვალისწინებული 260 ათასი ლარი სპეცბალანსზე გადავა და მათი განკარგვა და გაცემა მხოლოდ შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ დაიწყება...

რაც შეეხება გუშინ მიღებული ბიუჯეტის შესრულებას, პრემიერ-მინისტრსა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ამაში ეჭვი ოდნავადაც კი არ ეპარებათ. ერთადერთი, ვინც პროგნოზებსა და შეფასებებში შედარებით მეტ სიფრთხილეს იჩენს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძეა. მისი თქმით, ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში ძალიან დიდია უცხოეთიდან მისაღები გრანტებისა და დახმარებების ხვედრითი წილი და მათი მიღების შეფერხების შემთხვევაში, ბიუჯეტის შესრულება შეიძლება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგეს...

საბიუჯეტო ვნებათაღელვა სახელისუფლებო გუნდისთვის გუშინ სასურველი შედეგით დასრულდა, თუმცა, ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დავა პარლამენტში ამით არ მთავრდება: ორ-სამ კვირაში საკანონმდებლო ორგანოში მთავრობა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით წარდგება, რომლის განხილვისას, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტი ხმაური იქნება, ვიდრე ეს საბიუჯეტო ბატალიების დროს იყო.

# კონტრაბანდა საქართველოში

პირველი გვერდიდან

მაგალითად, ერგნეთის ბაზრობაზე ჩატარებული ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების შედეგად, ცხინვალის რეგიონში არსებობდა კონფლიქტის განახლების რეალური საფრთხე. ზუგდიდში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციისა და პარტიზანთა დაპატიმრების შემდეგ, გალის რაიონში გააქტიურდნენ აფხაზი კრიმინალები და შეიარაღებული დაჯგუფებები. პარტიზანები, განსაკუთრებით "ტყის ძმები", ჩართულნი იყვნენ კონტრაბანდაში, თუმცა ამავდროულად ასრულებდნენ აფხაზური შეიარაღებული ჯგუფების გარკვეული "შემაკავებლის" ფუნქციას. პარტიზანული მოძრაობის შეზღუდვის შემდეგ კი, აფხაზები უფრო მეტი აქტიურობით ახორციელებენ რეიდებს ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ გალის რაიონში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2004 წლის თებერვალში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ, პარტიზანული ჯგუფების ზოგიერთმა ლიდერმა თავი შეაფარა აფხაზურ მხარეს. გალის მაცხოვრებლის ინფორმაციის თანახმად, ქართველი კრიმინალების დისლოკაციის ადგილია სოფელი ოკონორე, გალის რაიონში. ოპერაციის შედეგად დააკავეს პარტიზანული ჯგუფების 30 წევრი და ამოიღეს დიდი რაოდენობით იარაღი, თუმცა, როგორც ცნობილია, პარტიზანებმა წინასწარ იცოდნენ ოპერაციის შესახებ და იარაღის დიდი ნაწილი გადაიტანეს აფხაზურ მხარეს. ამდენად, ამოღებული იარაღი არის პარტიზანთა არსენალის მხოლოდ მცირე ნაწილი. აქედან გამომდინარე, პარტიზანები თანამშრომლობენ აფხაზებთან და მათ კვლავაც შემორჩათ "მოკავშირეები" სამართალდამცავ სტრუქტურებში.

ყველაზე საინტერესო ცვლილება პოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგად, არის პარტიზანული მოძრაობის შეზღუდვა ზუგდიდისა და გალის რაიონებში. მთავრობის შეცვლის შემდეგ, პარტიზანებმა დაკარგეს თავიანთი გავლენიანი მფარველები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე, ხოლო სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელების შეცვლამ დაარღვია მათი კრიმინალური კავშირები პოლიციასთან და სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურებთან. მაგრამ ზოგიერთი წყაროს თანახმად, პოლიცია კვლავაც ჩართულია ან მფარველობს კრიმინალურ ბიზნესს. 2004 წლის მარტის შუა რიცხვებში, ზუგდიდში დააკავეს სერგო ჩაჩიბაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ყოფილი უფროსი, რომელიც "თანამშრომლობდა" მოპარული მანქანების ვაჭრობით დაკავებულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან.

სამართალდამცავებმა დაიწყეს ნებისმიერი კონტრაბანდული ტვირთის დაკავება, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ აცილებს ტვირთს და ვის ეკუთვნის იგი. მეორე მხრივ, სამრთალდამცავებმა დაიწყეს პარტიზანული და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების ლიდერების დაპატიმრება. შედეგად, ლიდერები ჩამოსცილდნენ კონტრაბანდულ ბიზნესს, თუმცა ამ ჯგუფების ჩვეულებრივი წევრები კვლავაც ჩართულნი არიან კონტრაბანდაში, უფრო მცირე მასშტაბით. შედეგად, აფხაზურმა შეიარაღებულმა და კრიმინალურმა ჯგუფებმა (ისევე როგორც ოსებმა) დაკარგეს თავიანთი "ბიზნესპარტნიორები" ცეცხლის შეწყვეტის ხაზის მეორე მხარეს, რამაც შედეგად მოიტანა ორგანიზებული კონტრაბანდის შემცირება. ამგვარად, მთლიანი კონტრაბანდული ვაჭრობა შემცირდა 50 პროცენტით, თუმცა მოთხოვნა კონტრაბანდულ საქონელზე დარჩა იგივე და შესაბამისად გაიზარდა წვრილი კონტრაბანდული ვაჭრობის წილი. შედეგად, კონტრაბანდული საქონლის მთლიანი მოცულობა თითქმის არ შეცვლილა, თუმცა შესამჩნევია არალეგალურ პროდუქციაზე ფასების მცირეოდენი ზრდა. ამჟამად, "ჩანთიან ქალებს" გადააქვთ კონტრაბანდული საქონლის უდიდესი ნაწილი და საბითუმო კონტრაბანდა იშვიათობად იქცა. სიგარეტის კონტრაბანდა ხორციელდება რეგულარული სამარშრუტო ავტობუსების საშუალებით, შემდეგ რეისებზე: აჩიგვარა (გალი)-ზუგდიდი და სიდა (გალი)-ზუგდიდი, რომელთაც დევნილები გადაჰყავთ.

მაშინ, როდესაც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართულ მხარეზე, სიტუაცია აფხაზურ მხარეს დარჩა იგივე. უფრო მეტიც, აფხაზი კრიმინალები და შეიარაღებული ჯგუფები გააქტიურდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, შემაკავებელი ფაქტორი იყო ქართველი პარტიზანების არსებობა. თუ ადრე აფხაზური ჯგუფების რეიდები ხდებოდა კვირაში ერთხელ, ახლა ეს ციფრი გაორმაგდა. აფხაზებმა ასევე გააძლიერეს თავიანთი სამხედრო მზადყოფნა, რადგანაც ეშინიათ ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებისა გალის რაიონში. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, აფხაზებმა გაამკაცრეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გადაკვეთა აფხაზეთი-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვარზე. ადგილობრივი მაცხოვრებლების ინფორმაციის თანახმად, აფხაზებმა შექმნეს დამატებითი საკონტროლო პუნქტები მდინარე ენგურზე და გაზარდეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გადაკვეთის გადასახადი - 25 რუსული რუბლიდან 100-მდე. ამ ფაქტს აფხაზები იმით ხსნიან, რომ არ უნდათ, "საზღვარზე" იყოს ხალხის ინტენსიური მიმოსვლა.



*სამართალდამცავები კონტრაბანდული სიგარეტის პარტიას ანადგურებენ.*

2004 წლის 9 მარტს, ქართველმა სამართალდამცავებმა ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე დააკავეს დაახლოებით 60 ტონა საწვავი. ტვირთი გალიდან ზუგდიდში მიემართებოდა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელის, თემურ გაბუნიას თქმით, საწვავის კონტრაბანდას ცდილობდნენ ე.წ. ზვიადისტური ჯგუფები. ზოგიერთი ინფორმაციით, წარსულში არსებობდა დაპირისპირება ზვიადისტურ და პარტიზანულ ჯგუფებს (სარია-ბიგვავას ჯგუფი) შორის, გავლენის სფეროთა გადანაწილების გამო. თუმცა, ამ უკანასკნელმა შეძლო უპირატესობის მოპოვება, რადგანაც მათ პოლიცია "დაუდგა მხარში". როგორც ჩანს, პარტიზანული ჯგუფების ლიდერების - გოჩა სარიასა და სლავა ბიგვავას დაკავებისა და მათი კონტრაბანდული ვაჭრობიდან ჩამოცილების შემდეგ, გააქტიურდნენ ზვიადისტური ჯგუფები, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში წელიწადში საშუალოდ 460 ათასი ტონა კონტრაბანდული საწვავი შემოდის, ზემოაღნიშნული არალეგალური ტვირთის მოცულობა უმნიშვნელოა.

მარტის დასაწყისში, სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ამოიღეს დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სიგარეტი - 1100 ყუთი, მთლიანი ღირებულებით 150 ათასი ლარი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ფორმიანმა ხალხმა გადმოზიდა კონტრაბანდული სიგარეტი გალიდან ზუგდიდში და შეინახა მდინარე ენგურთან ახლოს მდებარე სახლებში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ტკაიაში. ზოგიერთი ინფორმაციით, არსებობს ვარაუდი, რომ ქართული პოლიციაც იყო ჩართული და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავაც მფარველობს კონტრაბანდისტებს. სიგარეტის სახეობებია : "Новости", "Донской Табак", "Троика", "Астра" და "MM". სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული პროკურორის, როლანდ ახალაიას ინფორმაციით, ქართველმა კონტრაბანდისტებმა აფხაზებისგან შეიძინეს სიგარეტი, რეალიზაციის შემდეგ გადახდის პირობით, თუმცა ტვირთის დაკავების შემდეგ, დაიწყო კრიმინალური გარჩევები ამ საკითხზე. როგორც ზუგდიდის პოლიციის უფროსი აცხადებს, ბუნებრივია, რომ ის აფხაზები, რომლებმაც დაკარგეს დიდი რაოდენობით შემოსავალი, პასუხს მოსთხოვენ პარტნიორებს. სწორედ ეს კრიმინალური გარჩევები უდევს საფუძვლად ზუგდიდისა და გალის რაიონებში მომხდარი მკვლელობების, მძევალთა აყვანისა და ადამიანთა გატაცების ფაქტების უმრავლესობას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსგავსი მოცულობის კონტრაბანდული საქონელი მანამდე არასოდეს დაუკავებიათ. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ "დამკავებლებს" ანუ სამართალდამცავ სტრუქტურებს აღარ აქვთ ინტერესი კონტრაბანდულ ვაჭრობაში, ანუ ისინი აღარ იღებენ "წილს" კონტრაბანდისტებისაგან, რაც, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის კონტრაბანდის გამოვლენას და დიდი ოდენობის არალეგალური პროდუქციის დაკავებას.

ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა ერგნეთის ბაზრობაზეც: შარშან არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ვაჭრობა აღარ არის ისეთი ინტენსიური. დახურულია შპს "ექსპრეს-სერვისის" ოფისი, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფს და აცილებდა კონტრაბანდულ ტვირთებს ერგნეთის ბაზრობიდან. მათი წევრები იძებნებიან.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ისაა, რომ ერგნეთის ბაზრობაზე ფაქტობრივად აღარ არსებობს კონტრაბანდული სიგარეტით მასშტაბური ვაჭრობა. თუ შარშან იყვნენ სიგარეტით მსხვილი მოვაჭრეები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი ჯიხურები და მაღაზიები, სადაც მხოლოდ სიგარეტით ვაჭრობა მიმდინარეობდა, ამჟამად შეიმჩნევა მხოლოდ რამოდენიმე ადგილი სიგარეტით საკმაოდ შეზღუდული ვაჭრობით სხვა, ძირითადად, საკვებ პროდუქტებთან ერთად. მარტის დასაწყისში ქართველმა სამართალდამცავებმა ჩაატარეს ოპერაცია ერგნეთის ბაზრობაზე უაქციზო სიგარეტის ამოღების მიზნით, რამაც კინაღამ შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია ქართველებსა და ოსურ "სპეცნაზს" შორის. "საბედნიეროდ, ცეცხლი არავინ გახსნა, თორემ ახალი ომი დაიწყებოდა," - აღნიშნეს წვრილმა მოვაჭრეებმა ერგნეთის ბაზრობაზე. სიგარეტის ბიზნესით, ძირითადად, ოსი მოვაჭრეები არიან დაკავებულნი და ინტერვიუების მიხედვით, ამჟამად მათ გადაწყვიტეს, გადავიდნენ ბაზრის ოსურ ნაწილში, რომელიც კონტროლდება და დაცულია ოსური შეიარაღებული უსაფრთხოების სამსახურის მიერ და მიუწვდომელია ქართველ სამართალდამცავთათვის.

სიტუაციის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

■ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგად, ორგანიზებული კონტრაბანდა კონფლიქტური ზონების გავლით შემცირდა, რადგანაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედმა კონტრაბანდისტებმა დაკარგეს თავიანთი "ბიზნესპარტნიორების" დიდი ნაწილი კონფლიქტური ზონების მოსაზღვრე რეგიონებში;

■ კონტრაბანდა კვლავ რჩება სოციალურ პრობლემად. წვრილი კონტრაბანდული ვაჭრობა გაიზარდა, კონფლიქტურ ზონებში და მის მიმდებარე რაიონებში არსებული უკიდურესი სიღარიბის ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაბანდული საქმიანობა მარგინალური ჯგუფების საარსებო საშუალებაა, კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობა უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის მენტალიტეტზე და ამკვიდრებს გადასახადების გადაუხდელობის პრაქტიკას;

■ დაუშვებელია კონტრაბანდასთან ადმინისტრაციულ-პოლიციური მეთოდებით ბრძოლა, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის დაძაბვამდე და მეტიც, გამოიწვიოს კონფლიქტის განახლება;

■ ახალ მთავრობაში არსებობს კონტრაბანდასთან ბრძოლის პოლიტიკური ნება, პარალელურად შემცირდა ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების კონტრაბანდაში მონაწილეობის ან მისი მფარველობის დონე, რამაც არსებითად დააზიანა კონტრაბანდული ქსელი. თუმცა, ეს ქსელი კვლავაც მოქმედებს და მასთან საბრძოლველად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება (კანონმდებლობის, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო კოდექსის დახვეწა, ადმინისტრირების და აღრიცხვიანობის მოწესრიგება, კონტრაბანდული ვაჭრობის ლეგალიზებისკენ მიმართული ნაბიჯები (ახალი სამუშაო ადგილების შექმნა რეგიონებში და, პირველ რიგში - კონფლიქტური ზონების მომიჯნავე ტერიტორიებზე და კონტრაბანდულ ქსელში ჩართული სოციალურად დაუცველი ფენების ლეგალურ სექტორში დასაქმება).

# "საქართველოს საზღვაო ბანკი" აღარ იარსებებს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება "საქართველოს საზღვაო ბანკისათვის" საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ფაქტს, საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა ცუცქირიძის განმარტებით, ლიცენზიის გამოთხოვა მოხდა არა უშუალოდ რეგიონში შექმნილი სიტუაციის ან პოლიტიკური მოტივების გამო, არამედ მოქმედი საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, ბანკი პრობლემურ და მაღალი რისკების მატარებელ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რასაც დაეყრდნო კიდეც ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება.

მისივე თქმით, ცნობილია, რომ გასულ წლებში სერიოზული პრობლემა იყო ლიკვიდაციის პროცესების ოპტიმიზაცია, რაც, არც თუ იშვიათად, აქტივების "აორთქლებითაც" კი მიმდინარეობდა და, ბუნებრივია, ეს პრობლემა საზღვაო ბანკთან მიმართებაშიც იდგა.

გოგიტა ცუცქირიძის განცხადებით, ამჟამად ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული ლიკვიდატორის მიერ ბანკის ლიკვიდაციის პროცედურა ხორციელდება და მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი საბანკო კანონმდებლობა ბანკის ლიცენზიის აღდგენას ძველი პირობებით არ ითვალისწინებს. ბანკი ექვემდებარება რა ლიკვიდაციას, ხორციელდება ბანკის ლიკვიდატორის მიერ კრედიტორებსა და დებიტორებთან ვალდებულებების გარკვევა და გასტუმრება.

იმის გამო, რომ საზღვაო ბანკი შევარდნაძისეულ ეპოქაში, პრაქტიკულად, აჭარის მთავრობის ბანკს წარმოადგენდა, მისი დეპოზიტების ბაზა დიდი არ არის. გოგიტა ცუცქირიძის ინფორმაციით, მიმდინარეობს ბანკის აქტივების კონსოლიდირება, მათ შორის - საზღვარგარეთის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხებისა და, წესით, ლიკვიდაციის თვალსაზრისით პრობლემები არც ვალდებულებების გასტუმრებას უნდა შეექმნას.

მისივე განმარტებით, ბანკის ვალდებულებების ნაწილში მთავარი კრედიტორია ადგილობრივი ბიუჯეტი და, შესაბამისად, ფიზიკური და



*საზღვაო ბანკი შევარდნაძისეულ ეპოქაში, პრაქტიკულად, აჭარის მთავრობის ბანკს წარმოადგენდა.*

იურიდიული პირების ვადიან და მოთხოვნამდე დეპოზიტების პრობლემა არ უნდა დადგეს, რადგან მათი გასტუმრება, ბანკის აქტივების სიდიდიდან გამომდინარე, ადვილად შესაძლებელია. მთავარია, ლიკვიდაციის პროცესი გეგმაზომიერად წარიმართოს.

სხვა საკითხია ბანკის აქტივების შემდგომი ბედი. საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, რომ საზღვაო ბანკი ფლობდა მოძრავ და უძრავ ქონებას, მათ შორის - ქალაქის ცენტრში მდებარე თანამედროვე სათაო ოფისს და ფილიალებს აჭარის რეგიონსა და თბილისში. მისი შეფასებით, არსებულ ვითარებაში ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა სატენდერო პირობებით რეგიონში მოქმედი წამყვანი ქართული ბანკების ფილიალებისათვის მათი შეთავაზება, თუმცა არც სხვა ვარიანტებია გამორიცხული. შენობა-ნაგებობანი ასევე შეიძლება მიეყიდოს იმ ინვესტორთა ჯგუფებს, რომლებიც რეგიონში მსხვილი კაპიტალდაბანდებების ჩადებითა და ახალი ბანკის გახსნით დაინტერესდებიან.

# ჩაის დარგის რეაბილიტაციისთვის 3,5 მილიონი ლარი გამოიყოფა

*ჩაის დარგის რეაბილიტაციის პროგრამაზე წლეულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3,5 მილიონი ლარი გამოიყოფა. როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში აცხადებენ, ამ პროგრამის განხორციელების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიის განაწილება წლეულსაც ტენდერის წესით მოხდება. პროგრამა დარგის კრიზისიდან გამოყვანაზე, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებასა და რეგიონებში ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე იქნება გათვლილი.*

დიანა ჩაჩუა

სახელმწიფო სუბსიდიის მიღებისთვის გამოცხადებული ტენდერი, რომელსაც სათავეში სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თამაზ თხელიძე უდგას, უკვე დაიწყო და, როგორც სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის უფროსმა კოტე ხუციძემ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, აღნიშნულ მომენტში პირველადი დოკუმენტაციების მიღება მიმდინარეობს. მისივე ინფორმაციით, ტენდერის საბოლოო შედეგები ივნისის შუა რიცხვებში გახდება ცნობილი.

როგორც ხუციძემ განაცხადა, ტენდერში მონაწილეობას არა მარტო ფირმები და კომპანიები, არამედ ცალკეული მეჩაიე-ფერმერებიც მიიღებენ, **"ტენდერში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია,"** - განმარტა მან. პროგრამით გათვალისწინებული თანხის 70 პროცენტი უშუალოდ ჩაის პლანტაციების აღდგენას მოხმარდება, ხოლო დანარჩენი 30 პროცენტი - მეჩაიობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას; კერძოდ, 2 100 ათასი უშუალოდ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციაზე დაიხარჯება, 450 ათასი - ახალ ტექნოლოგიებით შეიარაღებაზე, დანარჩენი - იოდიზირებული ჩაის წარმოებაზე.

ხუციძის თქმით, კონკურსში ისეთი ჩაის ფაბრიკები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებსაც სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციები გააჩნიათ. ამასთან, ტენდერში მონაწილე ფაბრიკა აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს - მისი ტექნიკური აღჭურვილობა მაღალი ხარისხის ჩაის წარმოებას უნდა პასუხობდეს. **"რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოების გატარების არეალს, იგი 5 700 ჰექტარს მოიცავს. ეს ფართობი იმერეთზე, სამეგრელოზე, აჭარასა და გურიაზე ვრცელდება,"** - განაცხადა დეპარტამენტის უფროსმა. უპირატესობა იმ პლანტაციებს მიენიჭება, რომელთა ხვედრითი წილი რეგიონებში ყველაზე მეტია.

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის (სერმა) პრესსამსახურის ხელმძღვანელის კლარა გრიგოლიას განცხადებით, მეჩაიობა, ღვინის შემდეგ, სამართლიანად არის აღიარებული ქვეყნისთვის პრიორიტეტულ დარგად. **"დღეს ჩაის პლანტაციები კატასტროფულ მდგომარეობაშია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი აღნიშნული თანხები, პირველ რიგში, პლანტაციების განახლებას უნდა მოხმარდეს. პლანტაციები ისეთი უნდა გახადონ, რომ პროდუქცია ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი გახდეს. საერთოდ, ქართულ ჩაის უნიკალური თვისებები გააჩნია; მაგალითისთვის, მას არ სჭირდება პესტიციდები, ეს კი მნიშვნელოვანი მომენტია,"** - განაცხადა გრიგოლიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩაის პლანტაციების შენარჩუნების, აღდგენისა თუ გამრავლებისთვის არანაირი ინვესტიცია არ ჩადებულა, შესაბამისად, არ განხორციელებულა აგროსამრეწველო სამუშაოები და ამიტომ მწვანე ფოთლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესდა. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ სუბსიდიას, მსგავსი ფაქტები ადრეც ყოფილა, სახელმწიფო ბიუჯეტი ამისთვის თანხებს ითვალისწინებდა, მაგრამ ამ თანხების გაცემა ძალიან დაგვიანებით ხდებოდა, ზოგი მათგანი კი ჯერაც არ არის ბოლომდე მიღებული. მაგალითად, 2002 წელს ჩაის რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა არ დაფინანსდა 700 ათასი ლარით, 2003 წელს კი - 2 მილიონამდე ლარით. ხოლო უცხოური ინვესტიციები ცნობილი "მარტინ ბაუერის" შემდეგ არც განხორციელებულა.

ჩაის დარგის დღევანდელ მდგომარეობაზე წარმოდგენის შესაქმნელად შემდეგი ფაქტებიც საკმარისია. საბჭოთა ტრადიციებისა და ტექნოლოგიების მქონე ჩაის ფაბრიკები დღესაც აგრძელებენ უხარისხო პროდუქციის წარმოებას. ქართული ჩაი საექსპორტოდ მხოლოდ დაბალი ფასის გამო გადის. ამასთან, ქართველ ჩაის მწარმოებლებს კონკურენციის გაწევა მხოლოდ ფასით შეუძლიათ, ამის ერთადერთი გზა ხარჯების შემცირება, შემცირების ყველაზე მარტივი საშუალება კი იაფი ნედლეულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში ჩაის სექტორში არანაირი ინვესტიცია არ განხორციელებულა და პლანტაციები რთულ მდგომარეობაშია, **"ადვილი წარმოსადგენია, რას ნიშნავს იაფი ნედლეული. ესაა ნამგლით მოჭრილი ჩაის ბუჩქის ტოტები, რომლისგანაც კიდევ უფრო უხარისხო ჩაი მზადდება და ფასიც, უმეტეს შემთხვევაში, თვითღირებულებაზე დაბალია,"** - განაცხადეს "სერმაში".

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ქართული ჩაი ზოგჯერ მაინც ახერხებს საერთაშორისო აუდიტორიის მოწონების დამსახურებას. მარტის ბოლოს ქართულმა ჩაიმ მონაწილეობა მიიღო ლას-ვეგასში ჩატარებულ ჩაის სპეციალიზებულ გამოფენაში, სადაც, როგორც გრიგოლიამ აღნიშნა, ქართულმა ხელით დამზადებულმა ჩაიმ დიდი მოწონება დაიმსახურა. **"ახალ ბაზრებზე შესასვლელად ან ძველის დასაბრუნებლად აუცილებელია არა ცალკეული კომპანიების რეკლამირება, არამედ ქართული ჩაის იმიჯის შექმნა და ამაღლება. ქართულ ჩაის განსხვავებული არომატი და გემო აქვს. ეს უკვე საკმარისია, რომ მან თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე,"** - განაცხადა გრიგოლიამ.






# საკრებულო "თელასს" თანადგომას ჰპირდება

მაია ურუშაძე

საკრებულო "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან" (გსეკ) დავაში "თელასს" მხარს დაუჭერს. როგორც დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი აცხადებს, "თელასი" სრულიად სამართლიანად აპროტესტებს თბილისის ტერიტორიაზე მოქმედ მსხვილ გადამხდელთა გსეკ-ის აბონენტებად გადარეგისტრირების ფაქტებს.

საქმე ისაა, რომ საქართველოს რეგიონებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი უფრო დაბალია, ვიდრე თბილისისთვის. თუ თბილისში 1 კილოვატსაათი დენი 12,18 თეთრს შეადგენს, რეგიონებისთვის ეს ტარიფი 8,2 თეთრს შეადგენს. ამდენად, თურმე "თელასის" მსხვილმა გადამხდელებმა "კოკა-კოლამ" და "ყაზბეგმა" გსეკ-ის აბონენტობა მოისურვეს, რასაც "თელასის" რისხვა მოჰყვა.

**"თავისი გადაწყვეტილების მიზეზად მომხმარებლები სადისტრიბუციო კომპანიის შედარებით დაბალ ტარიფს ასახელებენ, მაგრამ, საეჭვოა, მხოლოდ ეს იყოს მიზეზი,"** - აცხადებს ბეგაშვილი. იგი მიიჩნევს, რომ გსეკ-ს აღრიცხვიანობა მოუწესრიგებელი აქვს, რაც კორუფციული გარიგებებისთვის ნოყიერი ნიადაგია. **"თელასში" კი ყველაფერი "თეთრადაა,"** - ამბობს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე.

"თელასი" კი, ამ პრობლემის მოუგვარებლობისა და "მისი ბუნებრივი აბონენტების" მის წიაღში არდაბრუნების შემთხვევაში, კვლავ ტარიფის მომატებით იმუქრება.

ამ ეტაპზე საკრებულოს "თელასისგან" და გსეკ-ისგან გამოთხოვილი აქვს დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შემდეგაც ის "თელასისგან" გასაქცევად გამზადებული კომპანიების რეალურ ენერგოხარჯებს დაადგენს.

ამ საკითხში თანადგომის გარდა, საკრებულო მზადაა, ლობირება გაუწიოს "თელასისათვის" ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფასაც, რაც კომპანიამ მე-9 ენერგობლოკის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ანგარიშში უნდა მიიღოს.

## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**13 მაისს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გლდანის VII, VIII მიკრორაიონების, შამპანურის ქარხნის საბაღე მეურნეობის დასახლების მაცხოვრებლებს.

**13 მაისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
დოდო აბაშიძის, კიტა აბაშიძის, აჯამეთის, ანაკლიის, ანთელავას, არაგვისპირელის, აღმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), ართვინის, ახალციხის, ახვლედიანის, ბენაშვილის, ბოდავის, ბურების, ბუხაიძის, ჩაისუბნის, ჩანჩიბაძის, ჩერნიშევსკის, ჩერქეზიშვილის, ციმაკურიძის, ჩიქობავას, ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ნინო ჩხეიძის, უშანგი ჩხეიძის, დგებუაძის, დოქის, ერისთავის, ფაბრიციუსის, გაბისკირიას მოედანის, გამცემლიძის, გოცირიძის, გოგიბერიძის, გორკის, გრანელის, ჯავახიშვილის, კალანდარიშვილის, კალატოზის, კანკავას, კარდანახის, კიბალჩიჩის, კიევის, სერგო კლდიაშვილის, კრილოვის, კუმისის, ლენტეხის, მამარდაშვილის, მარჯანიშვილის, მაზნიაშვილის, ნათიშვილის, ნინოშვილის, ოსიაურის, პასტერის, პლატონის, ქედის, საარბრიუკენის მოედანის, სამოქალაქოს, სანკტ-პეტერბურგის, სანთლის, შემოვლის, სპარტაკის, სულიაშვილის, სუნდუკიანის, შურდულის, სხულუხიას, ტეტელაშვილის, ტირიფონის, თოიძის, ტოლსტოის, ტოვსტონოგოვის, ტურგენევის, ტყვიავის, ურიცკის, დიმიტრი უზნაძის, ვარციხის, ვერჰარნის, ვეძათხევის, ზურაბ ჭავჭავაძის, სოსო წერეთლის, წინამძღვრიშვილის, წმიდა ნიკოლოზის, ჭოროხის, ხეთაგუროვის, ვასო აბაშიძის, ათონელის, ბესიკის, ბროსეს, ფურცელაძის, ფხოვის, გრიბოედოვის(ნაწილობრივ), ჯამბულის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლაღიძის(ნაწილობრივ), ორბელიანის, ქუთათელაძის, რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), საქანელას, თაბუკაშვილის, ვირსალაძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ხაზინის, ზუბალაშვილების(ნაწილობრივ), ჭანტურიას ქუჩების მაცხოვრებლებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "სახელმწიფო კანცელარიაში შეიქმნა კომისია, რომელიც შეისწავლის და შეადგენს მსოფლიო ბაზრის ფასებს ყველა სახის საქონელზე," - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ. მისი თქმით, კომისიის მუშაობის შედეგი საშუალებას მისცემს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, განსაზღვროს და დაარეგულიროს რეალური საბაჟო განაკვეთები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექციის მუშაობის შედეგად, ადგილობრივი და იმპორტული თამბაქოსა და ალკოჰოლურ პროდუქციაზე გაცემული აქციზური მარკების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები სამჯერ გაიზარდა. აპრილში ამ გზით ბიუჯეტმა 10 მილიონ 608 ათას 833 ლარის შემოსავალი მიიღო. შეგახსენებთ, რომ აქციზის გადამხდელთა ინსპექცია საქმიანობას 5 აპრილიდან შეუდგა. ინსპექციაში თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელებისა და ნავთობპროდუქტების მწარმოებლები და იმპორტიორები არიან რეგისტრირებულნი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში მიმდინარე სასამართლო პროცესის გამო დროებით შეჩერებული ნავთობსადენის მშენებლობა აღდგა. გარდაბნის რაიონულ სასამართლოში სოფელ კრწანისის მაცხოვრებლების სარჩელი 14 მაისს განიხილება. "თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ კრწანისის მოსახლეობაზე კომპენსაციები უნდა გაიცეს, კომპანია ამ განჩინებას აუცილებლად შეასრულებს, თუმცა პროცესის დასრულებას არ დაელოდება, რადგან ნავთობსადენის მშენებლობა წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს," - აცხადებენ "ბი-პი"-ში. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" იტალიელი ინვესტორების წერილი განიხილა და შესაბამის კომიტეტებს საკითხის სასწრაფოდ განხილვა მოსთხოვა. იტალიელი ინვესტორები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლებამ მათ მიმართ არ შეცვალა დამოკიდებულება, ისინი იძულებულნი იქნებიან, საქართველო დატოვონ და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართონ. **ინტერ-პრესი**

# ბრიტანელი სამხედროები უდანაშაულო ერაყელებს კლავენ

ბაღდადის აბუ-ღრაიბის ციხეში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ერაყელი ტყვეების წამების შედეგად გამოწვეული სკანდალი ჯერ არ ჩამცხრალა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა თავისი თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი დაიცვა და მის გადაყენებაზე უარი განაცხადა, პატიმრების წამების თემა აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში კვლავ აქტიურად განიხილება. მართალია, პრეზიდენტმა ბუშმა ერაყელთა წამების ფაქტი დაგმო, მაგრამ რამსფელდის გათავისუფლებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. პრეზიდენტ ბუშის პარალელურად, ამ თემაზე კომენტარი გააკეთა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა. მან ბოდიში მოიხადა ბრიტანელი ჯარისკაცების საქციელისათვის, რომლებიც ასევე მხილებულნი არიან ერაყელთა წამებაში.

თუმცა, გუშინ ბრიტანელი სამხედროების მკვეთრი კრიტიკით საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაცია "ამნესტი ინტერნეიშენალიც" გამოვიდა. ორგანიზაცია თავის მოხსენებაში პირდაპირ დებს ბრალს ბრიტანელ ჯარისკაცებს მშვიდობიანი ერაყელი მოსახლეობის მკვლელობაში რვა წლის ბავშვის ჩათვლით, რომელიც ჯარისკაცებს არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა კი ამ მოხსენების კომენტირებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. **"ყოველგვარი ეჭვის გარეშე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ჟენევის კონვენციით და საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების დაცვას სერიოზულად ვცდილობთ,"** - ასეთია თავდაცვის სამინისტროს პირველი და, ჯერჯერობით, ერთადერთი კომენტარი ამ საკმაოდ სერიოზულ ბრალდებაზე. სამხედრო უწყების წარმომადგენლის თქმით, ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება ერაყელთა მიმართ ჩადენილი არაადეკვატური საქციელის გამო, მაგრამ ვიდრე თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები მოხსენების ტექსტს არ გაეცნობიან, ამ ბრალდებაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გააკეთებენ.

"ამნესტი ინტერნეიშენალი" კი პირდაპირ აცხადებს, რომ ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიან ერაყელთა მკვლელობის მრავალი ფაქტი გამოძიების გარეშეა დარჩენილი. რაც შეეხება უკვე გამოძიებული ფაქტების შედეგებს, ისინი გაერთიანებული სამეფოს სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მკაცრად გასაიდუმლოებულია.



*კოალიციის ჯარისკაცების მიმართ ბრალდებები ძლიერდება.*

ორგანიზაცია ბრიტანეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, დეტალურად იქნეს გამოძიებული ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ ერაყელი მოსახლეობის დახოცვის ყველა ფაქტი. მოხსენება ორგანიზაციის იმ თანამშრომლებმა შეადგინეს, რომლებიც ერაყში არსებულ ვითარებას თებერვალ-მარტის თვეში ადგილზე გაეცვნენ.

**"ბრიტანეთში ჩვენ გვეუბნებიან, რომ ერაყის სამხრეთში შედარებით სიმშვიდე და უსაფრთხოებაა. თუმცა, ერაყელები კარდინალურად განსხვავებულ სურათს გვიხატავენ,"** - აცხადებს "ამნესტი ინტერნეიშენალის" ბრიტანული ბიუროს დირექტორი ქეით ალენი. მისი თქმით, ხალხი მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს. **"ბრიტანელი სამხედროების მიერ მშვიდობიანი ერაყელების მკვლელობის ფაქტების გამოძიება საიდუმლო ვითარებაში და დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს,"** - დასძინა ქეით ალენმა.

რვა წლის ბავშვის მკვლელობის შესახებ "ამნესტი ინტერნეიშენალს" თვითმხილველებმა მოუთხრეს. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბრიტანელმა სამხედრო მოსამსახურემ ერაყელ ბავშვს 60 მეტრის დაშორებიდან ესროლა. **"ეს არ იყო გამაფრთხილებელი გასროლა,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრიტანელი სამხედროების მიერ თვითნებურად მოწყობილ სასამართლოებს, რაც ორგანიზაციის მოთხოვნით აუცილებლად უნდა შეწყდეს, ხოლო ასეთი ფაქტები გამოძიებული იქნეს.

ამ სკანდალის პარალელურად, ერაყში უცხოელ მოქალაქეებზე თავდასხმები კვლავ გრძელდება. ორშაბათს დაუდგენელი პირები რუსეთის მოქალაქეებს დაესხნენ თავს, რის შედეგადაც ერთი რუსი სპეციალისტი მოკლეს, ხოლო ორი გაიტაცეს.

ერაყში რუსეთის საელჩოს წარმომადგენლების განცხადებით, რუსი სპეციალისტების ავტომანქანას დაუდგენელმა მებრძოლებმა ასევე ავტომანქანით გადაუჭრეს გზა და სროლა აუტეხეს. **"ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ყველა შესაძლო კონტაქტი იქნება გამოყენებული, ყველა შესაძლებელ დონეზე. და რაც უფრო ნაკლებს ვისაუბრებთ ამ თემაზე, უფრო ეფექტური აღმოჩნდება ჩვენი ძალისხმევა,"** - განუცხადა სააგენტო "ბიბისის" რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა ერაყში.

# არჩევნების წინ ვაშინგტონი კიევზე ზეწოლას ზრდის

პირველი გვერდიდან

ყველა ეს ვიზიტი უკრაინაში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან არის დაკავშირებული, რომელიც ოქტომბერში გაიმართება. არჩევნების წინ შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის უკრაინის გეოპოლიტიკური ორიენტაციის შესახებ მეტოქეობა გამწვავდა.

შეერთებული შტატებიდან წამოსული მესიჯები ერთმანეთისაგან იმის მიხედვით განსხვავდება, ვინ აგზავნის მათ. შესაბამისად, პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და მისი მომხრე ოლიგარქები იმის გარკვევას ცდილობენ, არჩევნების რამდენპროცენტიან გაყალბებას მოითმენს ვაშინგტონი. კიევს, რასაკვირველია, ურჩევნია, რომ ამერიკამ, ისევე როგორც აზერბაიჯანში, თვალი დახუჭოს მასობრივ დარღვევებზე, ვიდრე - საქართველოს მსგავსად, მკაცრად გააკრიტიკოს უკრაინის ხელისუფლება.

ბუშის ადმინისტრაციიდან ორი ტიპის მესიჯი მოდის. პირველი - სამადლობელი, რადგან უკრაინამ ერაყში ამერიკის საოკუპაციო ჯარის მხარდასაჭერად 1700 ჯარისკაცი გააგზავნა. მეორე მესიჯი შედარებით მკაცრია. ადმინისტრაცია კუჩმასა და მის მოკავშირეებს აფრთხილებს, რომ თუ არჩევნები გაყალბდა, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში უკრაინის გაწევრიანებას პრობლემები შეექმნება. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ცდილობენ, უკრაინის მმართველ წრეებზე უფრო დიდი ზეწოლა მოახდინონ.

დემოკრატები, როგორც წესი, უკრაინის წვლილს ერაყში არ აღნიშნავენ. ისინი მთავარ აქცენტს არჩევნების წინ უკრაინაში დემოკრატიული რეფორმების შეჩერებაზე აკეთებენ. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა უკრაინის ხელისუფლება "კამპანიის ძალადობრივი მეთოდებით წარმოების" გამო მკაცრად გააკრიტიკა. ოლბრაითმა ასევე მკაცრად გააკრიტიკა ბუშის ადმინისტრაცია, რომელიც, მისი თქმით, უკრაინაში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, "უცნაურად დუმს". მისი განცხადებით, ადმინისტრაცია მხოლოდ "კერძო საუბრებში აღნიშნავს დარღვევებს".

ოლბრაითმა ხაზი გაუსვა, რომ "იმას, თუ რომელ გზას აირჩევს უკრაინა, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისათვის". მისი აზრით, შეერთებული შტატების სტრატეგიას სამი ძირითადი მიმართულება უნდა ჰქონდეს: პირველი, შეერთებულმა შტატებმა ერთმნიშვნელოვნად უნდა განაცხადოს და მოსთხოვოს კიევს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება; მეორე, შეერთებულმა შტატებმა დახმარება უნდა გაუზარდოს უკრაინის თავისუფალ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებას; მესამე, შეერთებულმა შტატებმა უნდა იმუშაოს ევროკავშირთან ერთად, რათა უკრაინას სტიმული მისცეს, მაგალითად: გენერალური გეგმა ევროკავშირსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად, ასევე ნატო-ს ფარგლებში უფრო ფართო სამხედრო თანამშრომლობა.

ოლბრაითი და მარკ მედიში, დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატის ჯონ კერის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, კუჩმასთვის მკაცრი სანქციების დაწესების მომხრეები არიან, თუ იგი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას არ უზრუნველყოფს. ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კუჩმა გააფრთხილა, რომ თუ არჩევნები გაყალბდება, მაშინ არა მარტო უკრაინის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას დაემუქრება საფრთხე, არამედ მმართველი წრეების "საბანკო ანგარიშებსა და სავიზო პრივილეგიებს შეექმნება პრობლემები".

მედიშმა მხარი აუბა ოლბრაითს. "ოლბრაითის სიტყვები დემოკრატიულ პარტიაში არსებულ ტენდენციას გამოხატავს. თუ უკრაინის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში მოაქციოს, მაშინ მათ მოსალოდნელი შედეგებიც უნდა გაითვალისწინონ. ჩვენ ვეღარ ვილაპარაკებთ პარტნიორობაზე," - აღნიშნა მედიშმა.

ეს ლიტონი სიტყვები არ არის. შეერთებულმა შტატებმა უკვე გააფრთხილა კუჩმა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს, იმის მიუხედავად, რომ როგორც უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, კუჩმა მხოლოდ ერთი საპრეზიდენტო ვადით იყო არჩეული, რადგან კონსტიტუცია 1996 წელს მიიღეს. მანამდე პრეზიდენტის კაბინეტში გატარებული წლები მხედველობაში არ იქნა მიღებული.

შეერთებული შტატების ერთ-ერთი სანქცია, სავარაუდოდ, კუჩმასა და მისი უახლოესი წრისათვის ვიზებზე უარის თქმა იქნება. ამგვარი რამ ბელარუსისა და მოლდოვას სეპარატისტული რეგიონის დნესტრისპირეთის მიმართ უკვე განხორციელდა, რომელთა მაღალჩინოსნებს ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებში ჩასვლა ეკრძალებათ. დიდია იმის ალბათობა, რომ მაღალჩინოსნების, მათ შორის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეფის ვიქტორ მედვედჩუკის ანგარიშები ვირჯინიის კუნძულებზე გაიყინება. შეერთებულმა შტატებმა უკვე მიიღო კანონი ამერიკაში იმ პოლიტიკოსების შესვლის შეზღუდვაზე, რომლებსაც სამშობლოში კორუფციაში ადანაშაულებენ.

კუჩმა და მისი მოკავშირეები დილემის წინაშე დგანან. თუ ისინი თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს ჩაატარებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო გაიმარჯვებს. მათ ეშინიათ, რომ ამ შემთხვევაში ქონებას დაკარგავენ, ხოლო ბევრ მათგანზე სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძვრება.

მეორე მხრივ, თუ ისინი არჩევნებს გააყალბებენ და თავიანთი კანდიდატის, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვებას უზრუნველყოფენ, მაშინ უკრაინა მეორე "ბელარუსად" გადაიქცევა. ეს კი მმართველ წრეებს საზღვარგარეთ არსებული ქონების ფასად დაუჯდებათ.

# ბუშის გეგმები კუბელ დისიდენტებს არ მოსწონთ

კუბის დისიდენტთა ნაწილს არ მოეწონა პრეზიდენტ ბუშის განცხადებები. მათ მძაფრად გააკრიტიკეს ამერიკის პრეზიდენტის ახალი პოლიტიკა "წითელი კუნძულის" მიმართ და კუბის საშინაო საქმეებში ჩარევა დააბრალეს.

კუბის ყველაზე გავლენიანი დისიდენტი, ევროპარლამენტის ანდრეი სახაროვის სახელობის პრემიის ლაურეატი, ოსვალდო პაია აცხადებს, რომ ამერიკელებმა კი არა, კუბელებმა უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორ გადავლენ კასტროს რეჟიმიდან დემოკრატიაზე.

კიდევ რამდენიმე დისიდენტმა ჰავანაში აშშ-ს წარმომადგენელს საპროტესტო წერილი გადასცეს. ელოი გუტიერეს მენოიოს სახელმწიფო მდივნის სახელზე დაწერილ წერილში ნათქვამია, რომ აშშ-ს გეგმა ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივების ტოლფასი იქნება. კასტროს კიდევ ერთი მოწინააღმდეგე, ელისარდო სანჩესი ამბობს, რომ ამერიკელთა ახალი ინიციატივა "აბსოლუტურად უკუშედეგის მომტანია და (კუბის საშინაო საქმეებში) გარე ძალის ჩარევას ნიშნავს".

გასულ კვირას პრეზიდენტმა ბუშმა გამოაქვეყნა გეგმა, რომლის თანახმად, ამერიკული მაუწყებლობის კუბაზე გასავრცელებლად ამერიკელები რამდენიმე მილიონს კიდევ გამოყოფონ. ამავე გეგმის თანახმად, ამერიკის მთავრობა ფიდელ კასტროს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა და კრიტიკოსებს დაფინანსებას მკვეთრად გაუზრდის.

კუბის შესახებ თეთრმა სახლმა 500-გვერდიანი მოხსენება მოამზადა. პრეზიდენტ ბუშის თქმით, ახალი მიდგომა ბოლოს მოუღებს კასტროს რეჟიმს, რომელიც ქვეყანას 45 წლის მანძილზე მართავს. გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, არ დაუშვას კუბის დიქტატორის ადგილას მისი უმცროსი ძმის რაულის მოსვლა.

თეთრი სახლის ახალი პოლიტიკა კუბაში მგზავრობასა და იქ ფულის გადაგზავნას მკვეთრად ზღუდავს. კუნძულის მიმართ გამკაცრებულ პოლიტიკას კუბური წარმოშობის ამერიკელი კონგრესმენები მოწონებით შეხვდნენ.

თუმცა, ბუშის ახალი ინიციატივა დემოკრატებმა და დამოუკიდებელ კონგრესმენთა ჯგუფმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატმა ჯონ კერიმ ბუშის ახალ წინადადებას "არჩევნების პერიოდში პოლიტიკანობა" უწოდა.

რა ბედი ეწევა აშშ-ს ახალ ინიციატივას და უწერია თუ არა მას განხორციელება, ჯერჯერობით უცნობია. გასათვალისწინებელია, რომ ბუშმა ეს განცხადება ფლორიდის ამომრჩევლებთან შეხვედრისას გააკეთა - ფლორიდაში კი კუბიდან გამოსულთა ძალიან დიდი მასა ცხოვრობს. შესაძლოა, ბუშის სიტყვები ამომრჩეველთა გულის მონადირებისათვის იყო გამიზნული და ამერიკის ადმინისტრაციას კომუნისტური კუნძულის მიმართ სერიოზული ზრახვები არც ამოძრავებდეს.

# პერმანენტული დაძაბულობა ღაზას სექტორში

გუშინ ღაზას სექტორში აფეთქებების ხმა ისევ ისმოდა. თუმცა, ამჟამად, მსხვერპლთა შორის ისრაელის ჯარისკაცებიც აღმოჩნდნენ. ისრაელის შეიარაღებული ძალების ჯავშანმანქანა ნაღმზე აფეთქდა და, დაუზუსტებელი ცნობებით, ექვსი ჯარისკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. "სი-ენ-ენ"-ის ცნობით, დაღუპულია 5 პალესტინელიც.

ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა ამ თვეშიც გაგრძელდება. თუმცა, იგი ახლა, უმეტესწილად, ღაზას სექტორში საცხოვრებელი სახლების ნგრევით გამოიხატა. ორშაბათს სწორედ ამ მიზნით ატარებდნენ რეიდს ებრაელი სამხედროები. თვითმხილველები ყვებიან, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე ჯავშანმანქანა ნაღმზე გადავლისას ნამსხვრევებად იქცა. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ მისგან თითქმის არაფერი დარჩენილა.

გაერო-ს სააგენტო, რომელიც პალესტინელი ლტოლვილების საკითხზე მუშაობს, აქვეყნებს მოხსენებას, სადაც ნათქვამია, რომ უკანასკნელ პერიოდში ღაზას სექტორში ებრაელთა მიერ 130 საცხოვრებელი სახლია დანგრეული. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაერო-ს მონაცემებს ისრაელის ხელისუფლება გადაჭარბებულს და რეალურიდან შორს მდგომს უწოდებს. ისრაელის შეიარაღებული ძალების პრესსამსახური აცხადებს, რომ სამხედროები მხოლოდ იმ სახლებს ანგრევენ, საიდანაც ტერორისტები ახდენენ თავდასხმებს. ორშაბათს ებრაელებმა კიდევ 13 სახლი დაანგრიეს.

თავის მოხსენებაში გაერო-ს აღნიშნული სააგენტოს ხელმძღვანელი პიტერ ჰანსენი გმობს ისრაელის ქმედებებს და აცხადებს, რომ საერთაშორისო სამართლით მკაცრადაა აკრძალული მშვიდობიანი მოსახლეობის კოლექტიური დასჯა. "ინტიფადის დაწყებიდან უსახლკაროდ დარჩენილი 17 ათასი პალესტინელიდან უდიდესი ნაწილი არაფერშია დამნაშავე. ისინი, უბრალოდ, ცუდ დროს და ცუდ ადგილას აღმოჩნდნენ."

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა პირობა დადო, ბოლო მოუღოს ღაზას სექტორში მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებებს და ამის გაკეთებას იგი თავისივე ინიცირებულ "დაშორიშორების გეგმის" განხორციელებამდე აპირებს. თუმცა, სავარაუდოდ, ებრაელთა მიერ "სისხლის სისხლის წილ" დაღვრა შურისგების ახალ აქტებს წარმოშობს და კონფლიქტის მოგვარებას უპერსპექტივოს ხდის.

# რუსული ენა პოსტსაბჭოთა სივრცეში ურთიერთგაგების გასაღრმავებლად

დსთ-ს ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება გაძნელდება, თუ რუსული ენა, როგორც ერთაშორისი ურთიერთობების საშუალება, დაიკარგება, - ასეთი იყო დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის მოსაზრება, რომელიც მან სააგენტო "რია-ნოვოსტი"-სთან ინტერვიუში გამოთქვა.

"ვფიქრობ, რომ თანამეგობრობაში მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება სერიოზულად გართულდება, თუ რუსული ენა კომუნიკაციის საყოველთაო ფუნქციას დაკარგავს. რუსული ენის ამ დონეზე შენარჩუნება და მხარდაჭერა ყველა იმ ქვეყნის საზრუნავი უნდა იყოს, რომლებიც დსთ-ს ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების განვითარებით დაინტერესებულნი არიან," - ამბობს იური იაროვი. მისი სიტყვებით, მრავალი წლის მანძილზე ერთიან სივრცეში თანაცხოვრების პერიოდში ქვეყნებმა მემკვიდრეობით მიიღეს არა მხოლოდ ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის შემავსებელი ეკონომიკური სისტემები, არამედ ურთიერთდამოკიდებული კულტურულ-ენობრივი ფასეულობებიც, რომელთა შექმნაშიც დიდი როლი სწორედ რუსულმა ენამ ითამაშა. აქედან გამომდინარე, იაროვს მიაჩნია, რომ უგუნურობა იქნებოდა, ახალი სახის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარებისას ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი გათვალისწინებული და წინ წამოწეული არ ყოფილიყო. "სხვათა შორის, იმის გამო, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსული ენა ისევ რჩება ერთაშორის ურთიერთობების საშუალებად, დსთ-ს წესდების თანახმად, თანამეგობრობის სამუშაო ენად რუსული გვევლინება," - აღნიშნავს აღმასრულებელი მდივანი.

საინტერესოა, რომ ბოლო დროს იური იაროვის მთავარი საზრუნავი ამ საკითხის მოგვარება გამხდარა და ამის შესახებ დსთ-ს ეგიდით ჩატარებული რამდენიმე კონფერენციაც მიუძღვნია. რაც მთავარია, იაროვს თავის საქმიანობაში ისეთი პარტნიორებიც შეუძენია, როგორიც ყირგიზეთის ლიდერი ასკარ აკაევია.

სავარაუდოდ, იური იაროვისათვის მეტად სამწუხარო ფაქტი იქნებოდა უკრაინის მიერ საინფორმაციო საშუალებებში უპირატესად მშობლიური ენის გამოყენების დაკანონება.

## ორი სიტყვით

**ჩეჩნეთი.** გუშინ დილით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გროზნოში ჩავიდა, სადაც 9 მაისს აფეთქებული აჰმად კადიროვის ოჯახის წევრებს შეხვდა. რუსეთის პრეზიდენტმა კადიროვს რუსეთის გმირის ვარსკვლავი მიანიჭა, რომელიც მის ოჯახს გადასცა. ხოლო, ტერაქტის შედეგად ასევე დაღუპულ, ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს "ორდენი მამაცობისათვის" მიანიჭა. გუშინვე რუსეთის პრეზიდენტმა ჩეჩნეთის მთავრობის სხდომა ჩაატარა, სადაც ერთ-ერთ მთავარ საკითხად კადიროვის შემცვლელის თემა განიხილებოდა. ჯერჯერობით, ჩეჩნეთის პრეზიდენტის მოვალეობას, დროებით, ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი აბრამოვი ასრულებს. დამკვირვებლები კი უკვე დარწმუნებულები არიან, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტად კრემლი აქტიურად განიხილავს აჰმად კადიროვის შვილის რამზან კადიროვის კანდიდატურას, რომელიც, ჯერჯერობით, ჩეჩნეთის პირველ ვიცე-პრემიერად არის დანიშნული. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩეჩნეთში, სავარაუდოდ, სექტემბერში ჩატარდება.

■ ■ ■

**ბრაზილია.** ბრაზილიის პრეზიდენტი ლუიშ ინასიუ და სილვა აპირებს, უახლოეს მომავალში უჩივლოს გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსს", რომელმაც კვირას გამოქვეყნა სტატია, სადაც სილვას ალკოჰოლის გადამეტებულ სიყვარულში ბრალი დასდო.

ბრაზილიის მთავრობის პრეს-სამსახურმა "ნიუ-იორკ ტაიმსში" დაბეჭდილ ამ მასალას ცილისწამება და სიცრუე უწოდა.

"ბრაზილიის ლიდერის ლოთობა ქვეყნის შეშფოთებას იწვევს," - ასეთი სათაური ადევს "ნიუ-იორკ ტაიმსში" დაბეჭდილ მასალას. ხოლო სტატიის გვერდით კი მოთავსებულია ფოტო, რომელზეც ასახულია, თუ როგორი სიამოვნებით მიირთმევს პრეზიდენტი ლულა ლუდის ფესტივალზე ალკოჰოლურ სასმელს.

ბრაზილიის ელჩმა შეერთებულ შტატებში უკვე მიიღო შესაბამისი ინსტრუქცია გაზეთის მთავარ რედაქტორთან გასაუბრების და სარჩელის აღძვრის თაობაზე.

ბრაზილიის პარლამენტში ამ თემაზე სპეციალური დებატებიც კი მოეწყო. დეპუტატებმა ამ მასალას, თითქმის ერთხმად, შეურაცხმყოფელი უწოდეს. "სინამდვილეში კი სიმთვრალის ნიშნები აშშ-ს საგარეო პოლიტიკას გააჩნია," - განაცხადა ერთ-ერთმა პარლამენტარმა.

# წესები მშენებლობით დაინტერესებულთათვის

*წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ აშენებული ობიექტის დანგრევის პრეცედენტი არ ყოფილა. ხშირად მენაშენე ჯერ დაიწყებდა მშენებლობას და პროექტს შემდეგ ათანხმებდა. სახლები, უმეტესად, დაკანონებული უკანონობით შენდებოდა. წინამძღვრიშვილის №107-ში გუშინ მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. ქალაქის ძველ ნაწილში აშენებული ცხრასართულიანი სახლი არანაირ ნორმებში არ ჯდება, თუმცა მენაშენეს დოკუმენტები წესრიგში აქვს. მშენებლობის შეჩერებას ის ხალხიც აპროტესტებს, რომელიც ამ ადგილზე ცხოვრობდა და ახლა ბინებს ელოდება.*

თამარ დვალი

წინამძღვრიშვილის №107-ში, სადაც ადრე ბარაკის ტიპის სახლები იყო, 1999 წელს მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის ნებართვა გაიცა. რადგან ეს ტერიტორია თბილისის ძველ ნაწილშია, მენაშენეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ნებართვაც უნდა ჰქონოდა, თუმცა მას იგი არ აუღია. არქიტექტურის სამსახურმა პროექტი დაამტკიცა და მშენებლობაც დაიწყო. ცოტა ხანში მენაშენეს მეზობლებმა უჩივლეს, რის ნიადაგზეც, მშენებლობა დროებით შეჩერდა. ამის შემდეგ არქმშენინსპექციამ საქმე განიხილა და სასამართლოს მიმართა, რათა მენაშენეს დარღვევები გამოესწორებინა და შესაბამისი ნებართვებიც აეღო. სასამართლომ მენაშენეს დააკისრა ჯარიმა, რომლის გადახდის შემდეგ მთავარი არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დიმიტრი მოსულიშვილმა მშენებლობის გაგრძელების ნებართვა გასცა.

გუშინ ობიექტზე მისული თბილისის არქმშენინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ ჭიჭინაძე მშენებლობის ნორმების დარღვევაზე ლაპარაკობდა: **"ამხელა შენობა ასეთ გარემოში არანაირ ნორმას არ შეესაბამება. ზონირების შესახებ ახალი რეგლამენტი 2001 წელს დაამტკიცა საკრებულომ. გამოდის, რომ აქ არც მენაშენეა დამნაშავე და არც მოსახლეობა. სახელმწიფომ ბიუჯეტში უნდა გამონახოს სახსრები, რომ ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა დააკმაყოფილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიმართავენ ინვესტორს, რომელიც, მოგების ნახვის მიზნით, მრავალსართულიან სახლს ააშენებს. ახლა რომ მენაშენეს ზედა სართულების მონგრევა მოვთხოვოთ, მაშინ სახელმწიფომ იმ ხალხს, ვისაც ეს ბინები ეკუთვნის, დღევანდელი საბაზრო ღირებულებით კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. ისინი ხომ უკვე კერძო საკუთრებაშია".**

წინამძღვრიშვილის ქუჩაზე წარმოქმნილი პრობლემა ერთი მაგალითია ჩვენს ქალაქში შექმნილი მძიმე საერთო სურათისა. როგორც რესპუბლიკის არქიტექტურულ-სამშენებლო ზედამხედველობითი სამსახურის უფროსი ნესტან თათარაშვილი ამბობს, შემუშავებულია ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი მხარე გაცილებით მოწესრიგდება: **"წლების განმავლობაში მშენებლობის სფეროში ყველაფერი ქაოტურად იყო მოწყობილი. ყველაზე დიდ პრობლემას საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა ქმნიდა. კორუფციის გაძლიერებას უხერხემლო კანონი უწყობდა ხელს. ამიტომ არის, რომ დღეს, თითქმის, ყველა უკანონო მშენებლობა, დოკუმენტურად, კანონიერია. ჩვენს სამსახურს კანონი არ აძლევდა უფლებას, რომ თავიდანვე ჩარეულიყო მშენებლობის პროცესში და ზედამხედველობა გაეწია მისთვის. ახლახან შევიმუშავეთ კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, აღსრულების, სამშენებლო წარმოების, ზედამხედველობისა და მეწარმეთა შესახებ კანონებში შევა ცვლილებები და არქმშენინსპექციას უფლებები გაუფართოვდება".**

მისი თქმით, აქამდე არქმშენინსპექციას, სასამართლოს ნებართვის გარეშე, არ ჰქონდა იმ ობიექტების შემოწმების უფლება, სადაც მშენებლობას მეწარმე ახორციელებდა. ამას დიდი დრო სჭირდებოდა. ახალი კანონპროექტის თანახმად კი, არქმშენინსპექციის აქტის საფუძველზე, რომელსაც ადმინისტაციული აქტის ძალა ექნება, მშენებლობა შეჩერდება. თუკი მენაშენე მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება უკანონოა, სასამართლოს თავად მიმართავს. აქტის არასწორად შედგენის შემთხვევაში, არქმშენინსპექციას ჯარიმა დაეკისრება. **"მთავარია, რომ დროზე შეგვეძლება მშენებლობის შეჩერება. აქამდე ამ უფლების მოპოვებას იმდენი დრო სჭირდებოდა, რომ მენაშენე სახლის აშენებას ასწრებდა. მისი დანგრევა შემდეგ შეუძლებელი ხდებოდა. კანონპროექტის თანახმად, არქიტექტურის სამსახურის მიერ ნებართვის გაცემისთანავე ჩვენ გვექნება საქმეში ჩართვის უფლება. თავად არქიტექტურის სამსახურს კი ნებართვის გაცემისას ისეთი მკაცრი საფეხურები დაუწესდება, რომ გაყალბებას ვეღარ შეძლებენ",** - დარწმუნებულია თათარაშვილი.

თბილისის ისტორიულ ნაწილში მშენებლობებზე მორატორიუმი 2004 წლის 13 აპრილს გამოცხადდა. არქმშენინსპექციის მოკვლევით, ქალაქის ამ ნაწილში ამჟამად 80-მდე უკანონო მშენებლობაა. მენაშენეებს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ნებართვა არ გააჩნიათ, არქიტექტურის სამსახურის ნებართვა კი, მეტწილად, აქვთ. ძველ კანონში პირდაპირ იყო მითითებული, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს უკანონო მშენებლობების დემონტაჟის უფლება ჰქონდათ. თუმცა, ამ კანონს ახლდა გაუგებარი პუნქტიც, რომელიც გაღლეტილ საბიუჯეტო ორგანიზაციებს სთხოვდა, დემონტაჟამდე დეპოზიტზე წინასწარ დაედოთ ათასობით დოლარი. ასეთი რამ შეუძლებელი იყო და ამიტომაც, უკანონოდ აშენებული შენობის დანგრევის პრეცედენტი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. კანონპროექტის თანახმად, უკანონოდ აგებულის დანგრევა მენაშენეს ხარჯზე მოხდება. ამავე დროს დადგება ნებართვების უკანონოდ გამცემთა პასუხისმგებლობის საკითხიც.

დაინგრევა თუ არა უკანონოდ აგებული შენობები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სპეციალისტებს უჭირთ. **"ჯერ უნდა მოხდეს შენობების აღწერა, შემდეგ დასხდნენ სპეციალისტები და შეიმუშაონ სტრატეგია; უნდა გაიწეროს პროგრამა. ამ შენობების უკან ფულიანი ხალხი დგას. შესაძლებელია, მეპატრონეებს თვეში დიდი ოდენობის გადასახი დაუწესდეთ, რის შემდეგაც, თავად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გადახდას დანგრევა სჯობია",** - მიიჩნევს ნესტან თათარაშვილი. მისივე თქმით, წესიერ ადამიანს, პირიქით, გაუადვილდება მშენებლობის დაწყება, რადგანაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრთამის გადახდა აღარ მოუწევს.

# მოულოდნელი რეიდი

*თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციისა და ვეტერინარიული სამსახურის თანამშრომლებმა გასულ კვირას ფიცი დადეს, რომ კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ. გუშინ მათ ჟურნალისტების თანდასწრებით მოწყობილ რეიდზე საკუთარი მიუკერძოებლობის დემონსტრირებაც მოახდინეს.*

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ დილით სანიტარიული და ვეტერინარიული სამსახურების ხელმძღვანელები მეტროსადგურ "ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ჯიხურებს ისე მოულოდნელად დაეცნენ თავს, წინასწარ ჟურნალისტებისთვისაც არ უთქვამთ, რეიდის მოწყობას სად აპირებდნენ. **"ადრე მოვაჭრეებს წინასწარ აფრთხილებდნენ და ისინიც საეჭვო პროდუქციის გადამალვას ასწრებდნენ. ეჭვი გვაქვს, რომ ამას ეკოპოლიციის ზოგიერთი თანამშრომელი აკეთებდა. ახლაც ვიცით, რომ გარე მოვაჭრეებს მფარველები ისევ შემორჩათ, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდებიან",** - განაცხადა ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ტყეშელაშვილმა.

სანიტრები და ვეტერინარები ამჯერად სავაჭრო ჯიხურებში თოკებზე გაკიდულ თევზს დაერივნენ, ქათმის ხორცისა და ძეხვეულის შემოწმება კი შემდეგისთვის გადადეს. ჯიხურებში, ძირითადად, შებოლილი "სიგა" იყო გამოფენილი, რა თქმა უნდა - ყოველგვარი მაცივრისა და შეფუთვის გარეშე. ჯიხურების გვერდით მოწყობილ ქოლგადაფარებულ მაგიდებზე კი მამაკაცები იქვე ნაყიდ თევზს გემრიელად შეექცეოდნენ. **"რას ჭამთ, ხალხო, დაიწამლებით - აქ ყველაფერი უვარგისი იყიდება. გუშინ ამ ადგილას ნაყიდი თევზით ორი კაცი მოიწამლა და ინფექციურ საავადმყოფოში ძლივს გადაარჩინეს",** - შესძახეს მაკონტროლებლებმა მოქეიფეებს. ზოგმა მათგანმა ჭამას მაშინვე ანება თავი, თუმცა ზოგზე ასეთ გაფრთხილებასაც არ უმოქმედია - გუშინაც ვჭამე და ცოცხალი ვარ, ახლა რაღა მომივაო, - არხეინად ჩაილაპარაკეს. სამაგიეროდ, მაკონტროლებლების გამოჩენამ ჯიხურებში მოვაჭრეები დააფრთხო. თოკზე ჩამოკონწიალებული "სიგა" ჯიხურებიდან სანიტარიული და ვეტერინარიული სამსამხურების თანამშრომლების ჩანთებში ისე უცებ აღმოჩნდა, თევზის გადამალვა მხოლოდ რამდენიმემ მოასწრო. **"იმას წაართვით, ვისაც კონტრაბანდა შემოაქვს და ათასობით თევზს ყიდის. ჩვენ ხუთ ცალს რომ გვართმევთ, თავის რჩენა აღარ გვინდა? სახლები დავაგირავეთ და პროდუქტი იმით ვიყიდეთ",** - აუჯანყდნენ მოვაჭრეები მაკონტროლებლებს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მათი პროდუქტი იქვე, ბაზრის ლაბორატორიაში რამდენიმე წუთში გაანადგურეს.



*სანიტარიული სამსახურის მოულოდნელმა ვიზიტმა მოვაჭრეები შეაშფოთა.*

# 12 მილიონი სახლების აღსადგენად

*თბილისის ახლად დანიშნული ხელმძღვანელობისთვის პრეზიდენტის მიერ მიცემულ ექვსი თვის ვადაში მოსაგვარებელ პრობლემათაგან ერთ-ერთი პირველი ადგილი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა საკითხს უკავია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქალაქის ბიუჯეტიდან 12 მილიონი ლარი გამოიყოფა. მერია და ფინანსთა სამინისტრო დაზარალებულთა დახმარების ფორმაზეც შეთანხმდნენ.*

ნანა ქადაგიშვილი

2002 წლის აპრილში მომხდარი მიწისძვრიდან ორი წლის განმავლობაში დაზარალებულებისთვის ბევრი არაფერი გაკეთებულა. მათ პირველადი ჰუმანიტარული დახმარება (ძირითადად, პროდუქტი და მატერიალური ნივთები) გაუწიეს უცხოურმა თუ ქართულმა ორგანიზაციებმა. სახელმწიფომ კი, აპრილშივე შექმნილი ფონდის საშუალებით, მათთვის მხოლოდ 256 თავშესაფრის ყიდვა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში დროებით შესახლება მოახერხა. დაზარალებულთა დახმარების ფონდის შექმნიდან ერთი წლის თავზე თბილისის საკრებულო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაზარალებულთათვის განკუთვნილი თანხების არამიზნობრივად გამოყენებასა და შესყიდული თავშესაფრების უვარგისობაზე ალაპარაკდა. ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ გუდავაძე კი აცხადებდა - ის გავაკეთეთ, რის საშუალებასაც ფონდში გადარიცხული მცირე თანხა იძლეოდაო; თუმცა, თავშესაფრებს დასაწუნი არაფერი სჭირსო. ასე იყო თუ ისე, სიმართლე დღემდე არავის გაურკვევია.

2003 წელს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა ფონდში რეორგანიზაცია დაიწყო. საკრებულომ იგი ჯერ ქალაქის საბინაო სამმართველოს შეუერთა, შემდეგ კი ისევ გამოყო. თუმცა, იურიდიულად დღემდე არ დაუმტკიცებია. ფონდის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა თბილისის ახალი პრემიერისგან საკუთარი წესდების დამტკიცებასა და ფონდის რეგისტრირებას ითხოვს. ბიძინა ბრეგაძე კი სხვანაირად ფიქრობს: **"ბიუჯეტიდან დაზარალებულებისთვის გამოყოფილი თანხა ფონდში აღარ შევა, რადგან ეს კვლავ კორუფციის წყაროდ იქცევა. თანხა, რაიონების მიხედვით, ქალაქის საბინაო სამსახურებში გადანაწილდება".**

256 თავშესაფრის შეძენის შემდეგ ძველ ხელისუფლებას დაზარალებულებისთვის აღარაფერი გაუკეთებია; ცენტრალური ბიუჯეტიდან ოთხი მილიონი ლარის გადარიცხვას მთელი წლის განმავლობაში ამაოდ ჰპირდებოდა. შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ ეს თანხა გაანახევრა, მაგრამ ქალაქისთვის დარჩენილი ორი მილიონიც აღარ გადაურიცხავს. ახალი ხელისუფლება დაზარალებულებს 12 მილიონის გამოყოფას ჰპირდება. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით, ეს თანხა თბილისის ბიუჯეტიდან გამოიყოფა: **"ცენტრალური ბიუჯეტიდან, მსოფლიო ბანკისა და გერმანიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით, მხოლოდ ავარიული სკოლები, საბავშვო ბაღები და საზოგადოებრივი დაწესებულებები დაფინანსდება. მსოფლიო ბანკი - ხუთ მილიონ დოლარს, ხოლო გერმანიის განვითარების ბანკი სამ მილიონ ევროს გამოყოფს. თბილისის ბიუჯეტი წელს 70-75 მილიონი ლარით გაიზრდება. ამიტომ, ქალაქის ხელმძღვანელობამ დაზარალებულთა პრობლემის მოგვარება თვითონ უნდა შეძლოს. თანაც, გამოყოფილი თანხები მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს და არა - ფულადი კომპენსირების სახით".**

ფინანსთა მინისტრის მოადგილეს თბილისის ახლად დანიშნული პრემიერიც ეთანხმება. **"თბილისის 2004 წლის ბიუჯეტიდან ავარიული სახლების აღსადგენად 12 მილიონი ლარი გამოიყოფა. ეს თანხა, ფულადი კომპენსაციის სახით, აღარ გაიცემა. 12 მილიონით, უპირველესად, მესამე კატეგორიის ავარიული სახლები და მაღალსართულიანი კორპუსები აღდგება",** - აცხადებს ბრეგაძე.

# ოცდამეერთე საუკუნის წმინდა მამები

*21-საუკუნის ადამიანისთვის წმინდანთა ცხოვრება, თითქოს, სადღაც საუკუნეების სიღრმეში ჩაკარგული და რეალურობას მოწყვეტილია. 8 მაისს ორი გვარი - მაისურაძეები და მხეიძეები წმინდა მამებმა საუკუნოდ დააახლოვეს - ანჩისხატის ეკლესიასა და ბეთანიის მონასტერში წმინდა იოანე აღმსარებლისა და წმინდა გიორგი აღმსარებლის ხატები დაბრძანდნენ.*

დალი კუპრავა

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (2003წ) წმინდანებად შერაცხა ბეთანიელი ბერები. წმინდა სინოდმა განაჩინა: არქიმანდრიტი იოანე (მაისურაძე) და არქიმანდრიტი გიორგი (მხეიძე), სქიზმაში იოანე, ათეისტურ პერიოდში საქართველოს ეკლესიაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის წმინდანებად შეირაცხონ და სახელად ეწოდოთ იოანე აღმსარებელი და გიორგი-იოანე აღმსარებელი. მათი ხსენების დღედ დადგინდეს ძვ. სტ. 8 სექტემბერი, ახ.სტ. 21 სექტემბერი. დაიწეროს ხატი და შედგეს ტროპარ-კონდაკი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევითა და მაისურაძეების გვარის ინიციატივით, ხატმწერმა მერაბ დევიძემ წმინდა იოანეს ხატი დაწერა, შემდეგ კი მხეიძეებმა წმინდა გიორგი აღმსარებლის ხატი დააწერინეს მხატვარ ქეთი მხეიძეს. კათოლიკოსის ნებითვე დაიწერა ორივე წმინდანი ერთად გამოხატული, "როგორც პეტრე და პავლე". ხატებმა 8 მაისს ბეთანიის მონასტერში დაივანეს.

რა თქმა უნდა, წმინდა მამები გვაროვნულ ჩარჩოში არ თავსდებიან, მაგრამ არც ისე ბევრია ქართული გვარი, რომელსაც საკუთარი გვარის წარმომადგენელი წმინდანი ჰყავს. ხატების დაბრძანებას მაისურაძეებისა და მხეიძეების გვარის ყველა თაობა ესწრებოდა. ანჩისხატის მოძღვარმა მამა რევაზმა პარაკლისი ჩაატარა ანჩისხატის ეკლესიაში და წირვა - ბეთანიის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ წმინდა ბერები.

მათი საფლავები ერთმანეთის გვერდით, მონასტრის ეზოს აღმოსავლეთის მხარესაა. მამა იოანე (მაისურაძე) სულიერ მოღვაწეობას 17 წლის განმავლობაში ათონის მთაზე ეწეოდა; ცრემლმორეული იგონებდა, თუ როგორ გამოდევნეს ათონის მთიდან ბერძნებმა ქართველი ბერები: მუსლიმებიც არ მოგვექცეოდნენ ისე, ბერძნები რომ მოგვექცნენო. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და არქიმანდრიტ გიორგისთან (მხეიძესთან) ერთად ბეთანიის მონასტერში ილვწოდა. ბეთანიაში დამკვიდრებამდე და შემდეგაც ისინი დევნას განიცდიდნენ და არა მხოლოდ "ბოლშევიკური" ქვეყნისგან - საკუთარი ოჯახის წევრებისგანაც. გიორგი მხეიძე, რომელიც ერთ დროს ილია ჭავჭავაძის პირადი მდივანიც ყოფილა, საკუთარმა ძმებმა ორჯერ ძალით გაკრიჭეს. საგვარეულო ამბად იმასაც მოგვითხრობენ, როგორ მოუწყეს მას გამოცდა: ძმებმა გიორგი მხეიძეს საცდუნებლად მასთან სიძვის დიაცი შეაგზავნეს. ბოლშევიკებმა მამა იოანეს დახვრეტაც სცადეს, მაგრამ სასწაულებრივი ძალით გადარჩენილა.

ბეთანიის მრევლი მათი მადლის, ღირსებისა და მაღალი სულიერების ამბავს ჰყვება. ისინი ხომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გარდაიცვალნენ - მამა იოანე 1957 წელს, მამა გიორგი - 1963 წელს, მათი მოღვაწეობის მომსწრენი ცოცხლები არიან. ბეთანიელი ბერების მაღალი სულიერება ათეისტებზეც კი ახდენდა გავლენას და მაშინ, როცა საქართველოში, თითქმის, ყველა მონასტერი დაიხურა, ბეთანია, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ, კვლავ მოქმედად რჩებოდა. მართალია, ოფიციალურად, ბეთანიის მონასტერი მოქმედად არ ითვლებოდა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა ბერებს ხელფასიც დაუნიშნა - ვითომ, როგორც მომვლელებს. სინამდვილეში კი იქ ნამდვილი სამონასტრო ცხოვრება მიდიოდა: აღესრულებოდა ღვთისმსახურება, ესვენა ხატები, მამები სამონაზვნო სამოსში იყვნენ შემოსილები; ნათლავდნენ, ჯვარსაც წერდნენ ქალაქიდან ხელისუფლების მეთვალყურეობას გამორიდებულ მორწმუნე წყვილებს. ერთხელ ბერებს სამი ძროხა დაეკარგათ, სდიეს კვალს, მაგრამ ვერ მიაგნეს. ხანი გამოხდა, მამა გიორგისთან ერთად საავადმყოფოს პალატაში რაიონის მილიციის უფროსი მოხვდა; თქვენი დაკარგული ძროხები ჩვენ ვიპოვეთ, დავკალით და შევჭამეთ. ამ ცოდვის გამო მოვხვდი აქო, - უთხრა მან მამა გიორგის. ერთხელ კი მაშინდელი ცკ-ს მდივანი კანდიდ ჩარკვიანი ჩასულა ბეთანიაში და ბერებისთვის უთქვამს, - თუ რამე დაგჭირდეთ, ჩემთან მოდითო. ბეთანიელი მამები უჩვეულო გულკეთილობითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. მორწმუნეები არქიმანდრიტთა საფლავებს დღესაც დიდი კრძალვით მიეახლებიან.



*კურთხევის ცერემონიალი.*

ბერების გარდაცვალების შემდეგ კი მონასტერი დაცარიელდა. ერთი რუსი კაცი სამ წელიწადს უვლიდა მონასტერს, მაგრამ უსიამოვნებები ჰქონდა მლოცველებთან. გიორგი ლეონიძეს რომ გაუგია, - ბეთანიას ახლა რუსი კაცი უვლისო, - შეწუხებულა: ისე გავწყდით ქართველები, რომ ჩვენი წინაპრის ნაამაგარისთვის ვერ მოგვივლია?! რუსი თუ გაგვიფუჭებს რამეს, თორემ რას გაგვიკეთებსო.

შემდეგ ვანო პაპამ გადაიბარა მონასტერი; წერილებს სწერდა მთავრობას და 1973 წელს დაიწყო მონასტრის აღდგენა, რასაც ხუთი წელი დასჭირდა.

დღეს ბეთანიაში ბერები და მორჩილები ცხოვრობენ - მონასტრის საძმო. სამონასტრო ცხოვრება წესისამებრ მიედინება. წმინდა ბეთანიელი ბერები ეზოში განისვენებენ, წმინდანთა ხატებმა მონასტერში დაივანეს.

მხეიძეებმა და მაისურაძეებმა კი თავისი გააკეთეს: გაერთიანდნენ, შთამომავლობას ღვთისადმი და წინაპრებისადმი მადლიერების მაგალითი უჩვენეს. ეს ძალიან ბედნიერი დღე იყო დიდ-პატარა მაისურაძეებისა და მხეიძეებისათვის.

დღის ბოლოს ბუნებამ მათაც მოუწყო გამოცდა - გაწვიმდა. მანქანებს ბეთანიიდან უკანა გზაზე ამოსვლა გაუჭირდათ, ლაფში "აბუქსავდნენ". ვინ იცის, იქნებ მინიშნებაც იყო, - მონასტერში მანქანით მისვლას, ფეხით სიარული გერჩიოთო; ვინ იცის, იქნებ ნათესავებს გაეხუმრნენ წმინდა მამები.

## ანალგოსი!

### სიახლე გერმანიიდან!

ანალგოსი - პრეპარატი გარეგანი გამოყენებისათვის! ახასიათებს არაჩვეულებრივი ფარმაკოლოგიური ეფექტურობა, კარგი ამტანობა, მარტივი გამოყენება და შესანიშნავი შედეგი.

ანალგოსი ეფექტურად გამოიყენება შემდეგი დაავადებების მკურნალობის დროს:




**სახსრების რევმატიული დაავადებები;**

**ნევრალგიური დაავადებები: ნევრალგია, ნევრიტი, ლუმბაგო, იშიაზი;**

**პერიფერიული ადგილობრივი სისხლისმიმოქცევის მოშლა;**

ანალგოსი წარმატებით გამოიყენება აგრეთვე სპორტულ მედიცინაშიც - კუნთების გახურება ფიზიკური დატვირთვის წინ და შემდეგ, სპორტული ტრავმების მკურნალობა, კუნთების და მყესების ფუნქციონალური დარღვევები (მიალგია, ტენდოვაგინიტი).

**გამოიყენეთ ანალგოსი! დაივიწყეთ ტკივილი!**

RIEMSER

**ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ: GPC ასისტანსი, ტელ: 922970**

GPC

# დაკარგული საგანძური დააბრუნეს

პირველი გვერდიდან

კრანახის ტილო 1920 წლიდან საქართველოში ინახებოდა და ის 10 წლის წინათ - 1994 წლის 27 ივლისს - ხელოვნების მუზეუმში მომხდარი ყაჩაღური თავდასხმისას მოიპარეს. ექსპერტთა განცხადებით, კრანახის "მაჭანკალი" 20-დან 40 მილიონ დოლარამდეა შეფასებული. მათივე მტკიცებით, ტილო ორიგინალია და ამის მრავალი დამადასტურებელი ნიშანი არსებობს. კრანახის ტილოსთან ერთად ნაპოვნია დალის პეიზაჟი, რომელიც "მაჭანკალთან" ერთად ხელოვნების მუზეუმიდან გაიტაცეს.

სამართალდამცველები არ ახმაურებენ, სად და ვისი დახმარებით მიაკვლიეს წლების წინათ დაკარგულ საგანძურს. თუმცა, მკაცრად გასაიდუმლოებული ოპერაციის დეტალებმა მაინც გაჟონა და ცნობილი გახდა, რომ თბილისის პროკურატურისა და პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა შედევრები გუშინწინ, გვიან ღამით, ყოფილი ქორწინების სახლის მიმდებარე ტერიტორიის სიახლოვეს იპოვეს. საგანძურის სამალავის შესახებ ინფორმაცია თბილისის პროკურორს ერთ-ერთმა ბრალდებულმა მიაწოდა, ანუ პროკურორსა და დაკავებულს შორის დაიდო საპროცესო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, სამართალდამცველებმა მიიღეს უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, გაფორმებული გარიგების თანახმად კი, ბრალდებულს სასჯელის ფორმა შეუმსუბუქდება. რადგანაც გარიგებითი სამართალი ინფორმატორის ვინაობის გასაიდუმლოებას მკაცრად ითვალისწინებს, საზოგადოებისთვის არასდროს გახდება ცნობილი, თუ ვისი დახმარებით დაუბრუნდა სახელმწიფოს წლების წინათ მოპარული შედევრები. ბრალდებულთან დადებულ შეთანხმებას თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი მკაცრად იცავს და მის დარღვევას არ აპირებს. **"დაკავებულსა და ჩვენ შორის საპროცესო შეთანხმება დაიდო. მისგან მივიღეთ ღირებული ინფორმაცია, სამაგიეროდ, მას სასჯელი შეუმსუბუქდება, რადგანაც დაკავებულთან თანამშრომლობის შედეგად ქვეყანას დაუბრუნდა დაკარგული საგანძური. თანაც, აღსანიშნავია, რომ ის მძიმე დანაშაულში არ არის ბრალდებული. საპროცესო შეთანხმებით, მისი ვინაობა საიდუმლოა და ამიტომაც ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ამ პირობის დარღვევას კანონი მკაცრად გვიკრძალავს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ყაჩაღთა ვინაობა ცნობილი გახდება და დაკავებაც მოხერხდება, საგანძურის გამტაცებელთა ვინაობას საზოგადოება შეიტყობს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა.



დაბრუნებული შედევრი.

თავის დროზე ხელოვნების მუზეუმის გაძარცვა და კრანახის შედევრის მოპარვა "მხედრიონს" დაბრალდა. თუმცა, მაშინვე ეს ვერსია გამოირიცხა, რადგან მხედრიონელები თავად იყვნენ მისი პოვნით დაინტერესებულნი. **"საქმე ისაა, რომ თბილისის ომის დროს, როცა ლენინის მოედანსა და რუსთაველს ჩვენ ვაკონტროლებდით, ხელოვნების მუზეუმიდან არაფერი დაკარგულა. ყველაზე მეტად ხელოვნების მუზეუმსა და ბანკს ვიცავდით. კრანახის შედევრს ძალიან კარგად ვიცნობ, ჩემი ბავშვობა ამ მუზეუმში, ამ ტილოსთან მაქვს გატარებული და მისი დაკარგვა ძალიან გავიცადე. იმ არეულობის პერიოდში, როცა არც დენი იყო, არც დაცვა და, საერთოდ, ყველაფერი მოშლილი იყო, მუზეუმის გაქურდვა პრობლემას არ წარმოადგენდა. შედი და გამოიტანე, რაც გინდა! - აი, ასეთი სიტუაცია იყო, მაგრამ მაშინ ჩვენ შევძელით საქართველოს საგანძურის დაცვა. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის შემდეგ, მაშინ, როცა უკვე შედარებით მშვიდი სიტუაცია იყო, ხელოვნების მუზეუმი გაიძარცვა, ვინ გააკეთა ეს, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა "მხედრიონის" ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა გიგა არველაძემ.

მიგნებული შედევრები - დალის "პეიზაჟი" და კრანახის "მაჭანკალი" - თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მიიტანა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადასცა.

თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის ლევან მაისურაძის განცხადებით, 1994 წელს გარკვეულმა პირებმა სამი ფერწერული ტილო გაიტაცეს. სამწუხაროდ, მესამე შედევრს - შარდენის "ნატურმორტს" - სამართალდამცველებმა, ჯერჯერობით, ვერ მიაკვლიეს. თუმცა, თბილისის პროკურორის განცხადებით, "გარიგებითი სამართლის" ობიექტი - ინფორმატორი ბრალდებული - სამართალდამცველებთან თანამშრომლობას აგრძელებს და ხელოვნების მუზეუმს სავარაუდოდ, შარდენის ტილოც დაუბრუნდება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველებისთვის ცნობილია იმ პირთა ვინაობა, ვისთანაც ინახებოდა ნახატები. არსებული ინფორმაციით, დაგეგმილი იყო შედევრების უცხოეთში გატანა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ღირებული მონაცემები მსუბუქი ბრალდებით რამდენიმე დღის წინათ დაკავებული ერთ-ერთი გავლენიანი პირისგან მიიღეს. მართალია, მას უკვე შეუფარდეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა, მაგრამ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მას უახლოეს დღეებში პატიმრობიდან გაათავისუფლებენ.

# ვინ იყო დაინტერესებული ჭანკოტაძის დაპატიმრებით?

*ორი თვის წინ დაპატიმრებული, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავჯდომარის ზურაბ ჭანკოტაძის დაკავების თემა გუშინ მისმა ადვოკატმა გოჩა სვანიძემ კვლავ აქტუალური გახადა და საზოგადოებას ჭანკოტაძის საქმესა და ავიაციასთან დაკავშირებით ახალი და უცნობი დეტალები გააცნო.*

თამარ კაციტაძე

**"ოფიციალური ვერსიით, ზურაბ ჭანკოტაძის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა და მისი დაპატიმრება იმდენად უსაფუძვლო და უსუსურია, რომ ბუნებრივად ისმის კითხვა - ვის ინტერესშია ეს ყველაფერი?"** - ეს არის ის მთავარი კითხვა, რაც ადვოკატმა პრესკონფერენციაზე დასვა და ორი თვის მანძილზე შეკრებილი მასალებით და თავად ჭანკოტაძის მიერ №7 იზოლატორში დაწერილი განცხადებით უპასუხა კიდეც.

ჭანკოტაძე წერს: **"როგორც ანალიზმა მაჩვენა, ჩემი დაპატიმრების რეალური მიზეზი პოლიტიკასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ იგი ატარებს კერძო ინტერესს და მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ დაინტერესებულ პირთა წრეში, ვისაც აწყობდა უცხოური ავიაკომპანიების შეჩერება".**

როგორც უკვე ცნობილია, მიმდინარე წლის 16 მარტს დაკავებული საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ყოფილი თავმჯდომარის დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი გახდა აჭარის იმჟამინდელი მეთაურისთვის - ასლან აბაშიძისთვის საჰაერო სივრცის ჩაკეტვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რასაც გოჩა სვანიძე უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

**"13 მარტის ღამეს ავიაციის ადმინისტრაციის შენობაში რამდენიმე შეიარაღებული პირი შევიდა და შენობა დაიკავა. ესენი იყვნენ: გიორგი კარბელაშილი, "არიზენას" წარმომადგენლები, ავიაციის თანამშრომლები და სხვები. სწორედ მათ დაწერეს ნოტამი, რომელზე, კანონით, ხელი უნდა მოეწერა თავჯდომარეს, მის მოადგილეებს ან საჰაერო სივრცის გამოყენებისა და დარეგულირების სამმართველოს უფროსს, მაგრამ აღნიშნულ უკანონო დადგენილებაზე დაფიქსირებულია არაუფლებამოსილი პირის, საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლის - ჯორბენაძის ფაქსიმილე. მომხდარის შესახებ კი ავიაციის ხელმძღვანელობამ დილით გავიგეთ",** - ასე იხსენებს საჰაერო სივრცის გამოყენების და დარეგულირების სამმართველოს უფროსი თემურ ელიზბარაშვილი ჭანკოტაძისათვის საბედისწერო ღამეს.



მარიკა ახვლედიანის ფოტო

ზურაბ ჭანკოტაძის დაკავების თემა გოჩა სვანიძემ კვლავ აქტუალური გახადა.

ავიაციის თანამშრომლები არც ჭანკოტაძის და ასლან აბაშიძის კეთილგანწყობილ ურთიერთობას ადასტურებენ. მათი თქმით, ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარესა და აჭარის მეთაურს შორის სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მტირალას მთაზე მომხდარ ტრაგედიაში ბათუმის დისპეტჩერი დაადანაშაულეს და ჭანკოტაძემ აჭარის ავიაციის ცენტრთან დაქვემდებარება მოითხოვა.

ერთი სიტყვით, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჭანკოტაძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეში მყოფის გამართლებას მაქსიმალურად შეეცადა და აღნიშნულ საქმეს "შეკვეთილი" უწოდა.

**"დავალება არ მოდის პირველი პირებისგან, არც პრეზიდენტისგან, არც გენპროკურორისგან და არც პრემიერ-მინისტრისგან. ეს არის შუა ფენის შეკვეთა, რომლებსაც საკუთარი უკანონობის გამართლება სურთ",** - განაცხადა გოჩა სვანიძემ.

სხვათა შორის, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ადვოკატის კრიტიკა დაიმსახურა გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელიც საქაერონავიგაციას ეხება. სვანიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები არ ეთანხმებიან წერილის ავტორს და სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს.

# აჭარელი მაღალჩინოსნები პრეზიდენტს დაპირებას ახსენებენ, მაგრამ...

*აჭარელი მაღალჩინოსნები სამთვიან წინასწარ პატიმრობას თბილისში №5 საპყრობილეში გაატარებენ. ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ მიიღეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა.*

თამარ კაციტაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი და ქობულეთის რაიონის ყოფილი გამგებელი ტარიელ ხალვაში აჭარაში მომხდარი რევოლუციის შემდეგ სამართალდამცველებმა დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს. თუმცა, თავად კუპრეიშვილი და ხალვაში დაკავების შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ და ირწმუნებიან, რომ ისინი სამართალდამცველებს საკუთარი ნებით ჩაბარდნენ. კერძოდ, როგორც გოგი კუპრეიშვილის ადვოკატები აღნიშნავენ, მართალია, მათი დაცვის ქვეშ მყოფის პატიმრობა ოფიციალურად 8 მაისიდან იწყება, მაგრამ იგი სამართალდამცველებს საკუთარი ნებით 5 მაისს ჩაბარდა.

ორივე აჭარელი მაღალჩინოსნის უკანონო ქმედებებით გენერალური პროკურატურა ჯერ კიდევ "აჭარის რევოლუციამდე" დაინტერესდა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე დაახლოებით ერთი თვის წინ რამდენიმე მუხლით აღძრა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი თავდაპირველად ეჭვმიტანილი იყო, ამჟამად კი ბრალდებულია თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში. სხვა დანაშაულებთან ერთად, საქმე ეხება ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობის საკითხსაც. ხოლო ხალვაში, რომელიც თავის დროზე აჭარის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი იყო, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, არჩევნებისთვის ხელის შეშლასა და საარჩევნო კომისიის თავჯდომარის აჭარაში არშეშვებაშია დადანაშაულებული.

არც ერთი დაპატიმრებული წარდგენილ ბრალდებებს არ აღიარებს და გამოძიების პროცესში დუმილის უფლებით სარგებლობს; თუმცა გუშინ, სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, გოგი კუპრეიშვილმა დუმილი დაარღვია და განაცხადა: **"ჯერ ერთი, 5 მაისს აჭარის ყოფილ ლიდერ ასლან აბაშიძეს გავემიჯნე. გარდა ამისა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარის ყოფილ ხელმძღვანელობას (მათ შორის - მეც) დაჰპირდა, რომ გადადგომის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიგვცემდა და საქმეს შეწყვეტდა. მე ვენდე პრეზიდენტს, მაგრამ მან დაპირება არ შეასრულა",** - ამბობს კუპრეიშვილი, რომელსაც რამდენიმე დღიანი პატიმრობის შემდეგ ნერვებმა უმტყუნა. მან სასამართლო პროცესის წინა ღამეს პროტესტის ნიშნად თვითმკვლელობა სცადა და ვენები გადაისერა.

კუპრეიშვილის მსგავსად, პროტესტის თავისებური გზა აირჩია ხალვაშმაც. იგი გუშინდელ პროცესს არ დასწრებია; სამაგიეროდ, მისმა ადვოკატმაც პრეზიდენტისგან მიცემული პირობა გაიხსენა და ქობულეთის ყოფილი გამგებელი პოლიტიკურ პატიმრად გამოაცხადა.

მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე სასამართლომ არც ხალვაშის და არც კუპრეიშვილის დაცვის მხარის არგუმენტები არ გაიზიარა და, საბოლოოდ, გენპროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა. აჭარელი მაღალჩინოსნების ადვოკატები კი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში გაასაჩივრებენ. შეცვლის თუ არა ცენტრალური ხელისუფლება რამდენიმე დღეში აჭარელი მაღალჩინოსნებისადმი დამოკიდებულებას, მომავალი გვიჩვენებს.

სწორედ იმ დროს, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის მაღალჩინოსნებს სამი თვით წინასწარ პატიმრობას უფარდებენ, ქართველი სამართალდამცველები ავტონომიის ტყეებში იმ ხალხს ეძებენ, რომლებიც იქაურმა ხელისუფლებამ საგანგებოდ შეაიარაღა.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო და სხვა ძალოვანი სტრუქტურები საკმაოდ დელიკატურად და ორგანიზებულად მუშაობენ, რათა ასლან აბაშიძის მხარდამჭერ, რამდენიმე ათეულ შეიარაღებულ პირთა მხრიდან საფრთხე მოიხსნას.

აჭარის ახალი ხელისუფლებისთვის ჯერჯერობით უცნობია, რომელ თანამდებობის პირს ეკუთვნის ეს შეიარაღებული ხალხი და რომელი რაიონის ტყეებში არიან ისინი გახიზნულნი. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ "ხიზანნი" სწორედ კუპრეიშვილის შეიარაღებული დაჯგუფების წევრები იყვნენ.

# იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივა

*იუსტიციის სამინისტრომ გარდაბნის რაიონში საინტერესო პროექტის განხორციელება დაიწყო - დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, პატიმრები დაასაქმეს. გარდაბნის ცენტრში მინი-ფეხბურთის კორტზე აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად 10 პრობაციონერი გამოიყვანეს. მსჯავრდებულები, სამუშაოს შესრულებისათვის, 7-დან 10 ლარამდე დღიურ ანაზღაურებას მიიღებენ.*

მაია მოსიაშვილი

**"პირველ ეტაპზე ჩვენ დავიწყეთ ათი პრობაციონერის დასაქმება გარდაბნის რაიონში. იმ ადამიანებს, რომელიც სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ არიან, უკვე მიეცათ საშუალება, დასაქმდნენ და მიიღონ ხელფასი. ქვემო ქართლის რეგიონი პირველია, სადაც ამგვარი პროექტი განხორციელდა,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემ.

**"ეს მხოლოდ პირველი ეტაპია. დაგეგმილია კიდევ 10-15 ადამიანის დასაქმება მარნეულის რაიონში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე. პრობაციონერები იქ სამლებრო და მოსაპირკეთებელ სამუშაოებს შეასრულებენ. გაცილებით მეტი, დაახლოებით 50 ადამიანი დასაქმდება ისევ გარდაბნის რაიონში. მათი დახმარებით გარემონტდება ყოფილი სამხედრო ნაწილი, სადაც მომავალში ქართული ჟანდარმერიის ქვემო ქართლის დანაყოფი განთავსდება. საზოგადოებისათვის საჭირო საქმით პირობით პატიმრობაში მყოფი ხალხის რესოციალიზაცია, ვფიქრობ, შედეგიანი იქნება. მათ უნდა იგრძნონ, რომ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, ამიტომ სამუშაოში გარკვეულ ანაზღაურებასაც მიიღებენ. გარდაბანში და მარნეულში მათ კუთვნილ გასამრჯელოს ადგილობრივი გამგეობები გაიღებენ,"** - განაცხადა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრე არაყიშვილმა.

26 წლის ზურა ბუჯანაძეს, 25 წლის პაატა მჭედლიშვილს, 29 წლის გიორგი წიკლაურს და 57 წლის თეიმურაზ ვეფხვაძეს ერთი რამ აქვთ საერთო - ისინი პირველი პრობაციონერები არიან, რომელთა დასაქმებასა და რესოციალიზაციაზეც სახელმწიფომ იზრუნა:

- აქ მუშაობა ძალიან მომწონს, გავაკეთებთ სტადიონს. ისევ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს არ დარჩებათ?!

- სამი ბავშვი მყავს და აბა, როგორ უნდა ვარჩინო, თუ არ ვიმუშავე.

- ყველგან თუ გაკეთდება ასეთი რამ, ძალიან კარგი იქნება. აქამდე არსად ვმუშაობდი. არადა, ყოველთვის მზად ვიყავი ამისთვის.

- რატომ ვმუშაობ აქ? თავისუფლება მინდა და იმიტომ... - ასეთია მსჯავრდებულთა განწყობილება.

პრობაციონერთა უმრავლესობას იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივა მოსწონს, თუმცა, ანაზღაურების მიღების პერსპექტივაზე მეტად მათ ის ხიბლავთ, რომ ამ გზით საშუალება ეძლევათ, პირობითი სასჯელის ვადა შეიმოკლონ.

**"მათი თავისუფლება ძალიან შეზღუდული არც ახლაა, თუმცა პროგრამაში მონაწილეობა მათ საშუალებას აძლევს, ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ. თუ ოფიცერი, რომელიც მათთან მუშაობს, ჩათვლის, რომ ისინი საზოგადოებისათვის საშიშნი არ არიან, ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ დარჩენილი ვადა შეუმცირდეთ,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## აფხაზი ქალის აღსარება

*ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ცნობილია, რომ პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით. პროექტი პარალელურია და რიგითი ადამიანების მიერ ჩაწერილი "ცხოვრებისეული ისტორიები" გადაიცემა როგორც თბილისში, ასევე სოხუმში. ცოტა ხნის წინ, აფხაზმა კოლეგებმა პროექტის ქართველ კოორდინატორს აფხაზეთში ჩაწერილი ექვსი აუდიოდღიური გამოუგზავნეს, რომელშიც რიგითი აფხაზები საუბრობენ თავიანთ ყოფით პრობლემებზე, განწყობებზე, წარსულსა და აწმყოზე. აუდიოდღიურები თავად პროექტის მონაწილე, აფხაზი ჟურნალისტების მიერაა დასათაურებული. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ რაზე ოცნებობს აუდიოდღიურების პირველი გმირი - თანამედროვე აფხაზი ქალი.*

მე დღეს, მთელი დღე რაღაც მოწყენილი ვარ, არ ვიცი, რატომ.

სულ მინდა გავიხსენო ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო მომენტები, რომლებიც, სხვათა მსგავსად, ალბათ, მეც მრავლად მქონია ცხოვრებაში. მაინც, რა შეიძლება, გავიხსენო? რა თქმა უნდა, ასეთ დროს ყველა თავისი ახალგაზრდობის იმ წლებს იხსენებს, როდესაც ვიღაცას ან მართლა უყვარდა, ან უბრალოდ, ეჩვენებოდა, რომ უყვარდა. იმ დროს, თითქოს შენც ყოველთვის ვიღაცა გიყვარდა. ამის გამო, ყოველთვის ირგვლივ ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო, თითქოს ხეებიც სხვაგვარად ყვაოდა, ადამიანები უფრო სხვანაირები იყვნენ - ყველაფერი იყო ძალიან კარგად და შენც თავს ბედნიერად გრძნობდი... ასე მეგონა მაშინ, რომ ჩემს ირგვლივ ყველა ბედნიერი იყო!

ჩვენ ხშირად მიგვეჩქარებოდა დაგვიანებულ პაემანზე ზღვის სანაპიროზე, იქ, სადაც ხის პატარა სკამები იდგა, რომლებიც ჩაკარგული იყო ბზის ხშირ ბუჩქებში. იქიდან ჩანდა მხოლოდ ზღვა, უკიდეგანო და ლურჯი, რომელიც განსაკუთრებით ლამაზი ზამთარში იყო...

მე ვიცი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ სხვაზე ზრუნვა და ფიქრია. მე არასდროს მიცხოვრია მხოლოდ ჩემი თავისთვის, არასდროს ვყოფილვარ მხოლოდ ჩემს თავზე მზრუნველი. მე ყოველთვის მყავდა საზრუნავი - ჩემი მშობლები, ოჯახი, შვილი, და ჩემთვის თითქმის არ მიცხოვრია.

შეიძლება ითქვას, რომ მე აქამდე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, სულ სხვისთვის ვცხოვრობდი, მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ სხვაზე ზრუნვა იყო. ახლა ვხვდები, რომ ასე არ უნდა მეცხოვრა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა... ჩემგან მაგალითი არ უნდა აიღოთ... უნდა იცხოვრო, უნდა გიყვარდეს, ოჯახიც უნდა გქონდეს, გვერდით კი ყოველთვის უნდა გყავდეს საყვარელი ადამიანი. იმიტომ, რომ ქალი მეორე ნახევრის გარეშე იგივეა, რაც ფრინველი ერთი ფრთის გარეშე.

მარტოობა ძალიან ძნელია, თუნდაც გყავდეს ათი შვილი, დები, ძმები, მშობლები, ცხოვრება მაინც არაა სრულყოფილი, თუ გვერდით არა გყავს საყვარელი ადამიანი - მეუღლე ან თუნდაც, დავუშვათ, საყვარელი. ოღონდ, ნუ იქნები მარტო!

ცოტა ხნის წინ, ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ ერთი ოთხმოცი წლის ბებია ჩიოდა: მეზობლებმა იგი იმისთვის გაკიცხეს, რომ ასეთ ასაკში გათხოვდა. ის კი წერდა, რომ იყო ძალიან ბედნიერი, რადგან იპოვა ისეთი ადამიანი, ვისაც მისი დახმარება სჭირდება, ვისაც ჩაის მიუტანს...

ასე რომ, არსებობს იმედი... იქნებ, ოდესმე მეც მომაკითხოს აფხაზმა "ჯიგიტმა" და წამიყვანოს შორს, ძალიან შორს, რომ ვერავინ გვიპოვოს და არავის შეშურდეს ჩემი, არავინ დამძრახოს ამისთვის...

***რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი,***
***რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".***

მოკლედ

### საერთაშორისო გარანტიების შემუშავების მიზნით

20 მაისს სოხუმში, ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შემუშავების პერსპექტივებს განიხილავენ. შეხვედრა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის ინიციატივით შედგება.

საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ოფისში მიღებული ინფორმაციით, მოლაპარაკებებში საქართველოს მხრიდან მონაწილეობას მიიღებს კონფლიქტების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, ხოლო აფხაზთა მხრიდან - სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.

20 მაისისთვის დაგეგმილ მოლაპარაკებებზე მხარეები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ 21-23 აპრილს ჟენევის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრში გაერო-ს ინიციატივით დაწყებულ მოლაპარაკებებს განაგრძობენ, რომელშიც მონაწილეობა სამხედრო საკითხებში საერთაშორისო ექსპერტებმა მიიღეს. ამავე შეხვედრაზე აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესამუშავებლად, გაერო-ს დაკვეთით, რუსეთის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრისა და ჟენევის სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტები განიხილეს.

როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, სოხუმში ვიზიტისას იგეგმება გოგა ხაინდრავას შეხვედრები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხემძღვანელობასთან. არ არის გამორიცხული, რომ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებათა ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბას, პარლამენტის თავმჯდომარეს ნუგზარ აშუბას და სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრს რაულ ხაჯინბას შეხვდეს.

### ისევ 5 წლიანი ცენზის შესახებ

22 - 25 მაისისთვის დანიშნულ სხდომაზე აფხაზეთის პარლამენტი აფხაზეთში შემოდგომისთვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის "პრეზიდენტის არჩევის შესახებ" ახალი კანონის მიღებას ვარაუდობს, რომლის მიხედვითაც, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმ პირებს ეკრძალებათ, რომლებსაც უკანასკნელი 5 წელი აფხაზეთში არ უცხოვრიათ.

ამის შესახებ დღეს აფხაზური პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის უფროსმა მიხეილ ადლეიბამ განაცხადა. იგი იმედოვნებს, რომ ცენზთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, აფხაზეთის პოლიტიკური წრეები და პარლამენტის წევრები კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიიღებენ და არჩევნების წინ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარებას არ დაძაბავენ.

მისივე თქმით, გასულ კვირას პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი "პრეზიდენტის არჩევის შესახებ", რომლითაც პრეზიდენტობის კანდიდატთათვის 5 წლიანი ცენზის შენარჩუნების გარდა, მიღებულია მუხლი, რომლითაც აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზები.

პრეზიდენტობის კანდიდატთათვის 5 წლიანი ცენზის შენარჩუნების მომხრეა არძინბას დღევანდელი ხელისუფლება, მისი მხარდამჭერი რესპუბლიკური პარტია "აფსნი" და ასევე სახელისუფლებო მოძრაობა "ახაცა". ცენზის გაუქმებას მოითხოვენ ოპოზიციური გაერთიანება "აიტაირა" და ყველაზე გავლენიანი, აფხაზ მეომარ-ვეტერანთა მოძრაობა "ამცახარა". ცენზთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება ჯერ არ დაუფიქსირებია მოძრაობა "ერთიან აფხაზეთს", რომლის ლიდერები ნოდარ ხაშბა, სერგეი შამბა, სერგეი ბაღაფში და საიდ ტარკილი არიან.

დამკვირებელთა შეფასებით, აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში არძინბას ხელისუფლება პრეზიდენტობისკენ სავალ გზას ულობავს მოსკოვში მოღვაწე პრეზიდენტობის კანდიდატს, აფხაზეთის შინაგან საქმეთა ექს-მინისტრს ალექსანდრე ანქვაბსა და ქალაქ სოხუმის ექს-მერს ნოდარ ხაშბას, რომელიც რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის სერგეი შოიგუს პროტეჟედ ითვლება.

*ინტერ-პრესი*


**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***


პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## დევნილი სასამართლო - უპრეცედენტო შემთხვევა მსოფლიო მართლმსაჯულებაში

*"აფხაზური კლუბის" ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას დევნილების მიერ დადებითად შეფასდა აფხაზეთის მართლმსაჯულების საქმიანობა და აღინიშნა: აფხაზეთის სხვა ლეგიტიმურ უწყებებსაც რომ ასე ემუშავათ, შეიძლებოდა მათ წინააღმდეგ პრეტენზიები არც ყოფილიყოო. დღეს წარმოგიდგენთ აფხაზეთის მართლმსაჯულებას დევნილობაში და შემოგთავაზებთ ინტერვიუს მის ხელმძღვანელთან, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ბატონ ვახტანგ თორდიასთან.*

პირველი კლასის მოსამართლე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ვახტანგ თორდია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ 1993 წლის 9 თებერვალს დაინიშნა. მაშინ აფხაზეთში ომი მძვინვარებდა, მაგრამ უზენაეს სასამართლოს, სადაც ქართველ კოლეგებთან ერთად აფხაზებიც მოღვაწეობდნენ, ფუნქციონირება არ შეუწყვეტია და ასე გაგრძელდა ბოლომდე.

დევნილობაში, აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების მესვეურთა მეცადინეობის შედეგად, 1997 წლის 27 ნოემბერს პრეზიდენტის 699-ე ბრძანებულებით შეიქმნა დევნილი სასამართლოები, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას დევნილთა მიმართ, ანუ განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნიათ. ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება და მსოფლიო მართლმსაჯულების პრაქტიკაში უპრეცედენტო მოვლენა. აფხაზეთის საერთო სასამართლოების უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან ტერიტორიულად გაერთიანდა ერთად მოქმედი ორ-ორი რაიონული (საქალაქო) სასამართლო. შესაბამისად:

გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფელად განისაზღვრა ქუთაისი.

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფელად - ზუგდიდი, ოჩამჩირეს რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოების ადგილსამყოფელად - სენაკი, ხოლო სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოების ადგილსამყოფელად - თბილისი.

ამის გარდა, აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში აისახა დევნილობის პირობებში მყოფი აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსი. აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე, კანონმდებლობით განისაზღვრა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე არა მარტო სასამართლო განსჯადობა, არამედ საგამოძიებო ქვემდებარეობაც.

განისაზღვრა, აგრეთვე, აფხაზეთის საერთო სასამართლოების კომპეტენცია იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ მათი კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლების შემზღუდველი საპროცესო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს აპარატი დაკომპლექტებულია კონკურსის შედეგად შერჩეული მოხელეებით. ბოლო ასეთი კონკურსი ჩატარდა 2003 წლის ივლისში. მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე მეტყველებს ის, რომ 2003 წელს ბევრმა მათგანმა საკვალიფიკაციო გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს ექვსი მოსამართლე: სიხარულიძე, ქირია, ჭიჭილეიშვილი, ზარქუა, ფრუიძე და შერვაშიძე მივლინებულნი არიან თბილისის საოლქო სასამართლოში, სადაც ისინი მეტად საპასუხისმგებლო სასამართლო უფლებამოსილებებს ასრულებენ.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 2000 წლის 16 ივნისს დაფუძნდა ჟურნალი - "აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე", რომლის სარედაქციო კოლეგიაში ცნობილი იურისტები შედიან.

უმაღლეს სასამართლოში მეცნიერული საწყისების განვითარების, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან კონტაქტების გაღრმავების, მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცების მიზნით შექმნილია სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

სასამართლო რეფორმის განხორციელების პერიოდში ხუთჯერ ჩატარდა აფხაზეთის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია, რაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაცვას ემსახურებოდა.

მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მუდმივად ზრუნავს სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. თბილისის მერიის დახმარებით მოასფალტდა სასამართლოსკენ მიმავალი გზა, მოხდა შენობის გაზიფიცირება, გარემონტდა სხდომათა დარბაზები. ქუთაისში და ზუგდიდში განლაგებული სასამართლოების სამუშაო პირობები კი ყველა ევროპულ სტანდარტს აკმაყოფილებს.

ამრიგად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო გახლავთ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გარანტი, რაც უდავოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ემსახურება.

## ვახტანგ თორდია: "კანონი და სამართალი საქართველოს მხარესაა"

ლელა მარგიანი

*ვახტანგ თორდია დაიბადა სოხუმში 1953 წელს. 1975 წელს მან წარჩინებით დაამთავრა კიევის ეროვნული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. 1985 წლიდან არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი.*
*1993 წლის 9 თებერვალს კი დაეკისრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.*
*1998 წლის 27 ივლისს ვახტანგ თორდია აირჩიეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ. იგი არის საქართველოსა და აფხაზეთის იუსტიციის საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.*
*ვახტანგ თორდიამ მოამზადა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული საქალაქო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიის, ადგილსამყოფელისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ", კანონპროექტი "აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე აფხაზეთის სასამართლოთა განსჯადობისა და სისხლის სამართლის საქმეებზე საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ" და პროექტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ".*
*იგი არის სამეცნიერო ნაშრომებისა და სამი მონოგრაფიის ავტორი. მას მინიჭებული აქვს მოსამართლის პირველი საკვალიფიკაციო კლასი.*



*ვახტანგ თორდია.*

ვახტანგ თორდია: აფხაზეთის უმეტეს ტერიტორიაზე, უკვე 12 წელია, საქართველოს იურისდიქცია ვერ ვრცელდება. ამის გამო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ორგანოებს შეკვეცილი უფლებამოსილება გააჩნიათ. აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ დღის წესრიგში მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. იყო აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, არის თუ არა მათი არსებობა საჭირო. იმ დროს, ტრაგედიის პირველსავე წლებში, გადაწყდა რომ ამ ტერიტორიული სტრუქტურების არსებობა აუცილებელია. ამიტომ ისინი საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა და უკვე 12 წელია, რაც ფუნქციონირებენ.

**- კი, მაგრამ მათ მიმართ დევნილ მოსახლეობას გაუჩნდა გარკვეული პრეტენზიები.**

- გარკვეული დადებითი ქმედებების მიუხედავად, მათ მიმართ მთელი რიგი პრეტენზიები არსებობს. ბევრი რამ განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ ასევე ბევრი რამ ვერ შეასრულა საქართველოს ყოფილმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

**- თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების მიმართ დევნილთა დამოკიდებულება სხვანაირია, ისინი მადლიერებას გამოხატავენ. თქვენ რითი ახსნით ამ ფაქტს?**

- სასამართლო ხელისუფლებამ რეალური ფუნქციები შეიძინა. სამწუხაროდ, ამ მხრივ სხვა სტრუქტურები საკმაოდ შეკვეცილი უფლებამოსილებით ფუნქციონირებენ. როდესაც შესწავლილ იქნა დევნილი სტრუქტურების არსებობასთან დაკავშირებული ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სამართლებრივი პრობლემები, საბოლოოდ განისაზღვრა აფხაზეთის სასამართლო ხელისუფლების მოქმედების არეალი, მისი იურისდიქცია. ადრე არსებული რვა სასამართლო ორგანოდან ჩამოყალიბდა - ოთხი და, შესაბამისად, განისაზღვრა მათი დისლოკაციის ადგილები. ერთი სიტყვით, შედეგად მივიღეთ არსებული სასამართლო ხელისუფლების ისეთი სტატუსი, რომლის მიხედვითაც სასამართლო ხელისუფლებას სპეციალური იურისდიქცია გაუჩნდა, ხოლო მათი უფლებამოსილება ხორციელდება არა ტერიტორიული პრინციპით, არამედ საქართველოში კომპაქტურად მაცხოვრებელი დევნილი მოსახლეობის მიხედვით. ამან გამოიწვია ის რომ, ფაქტობრივად, საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებზე ორმაგი იურისდიქცია ხორციელდება.

კარგი იქნებოდა, სასამართლო ხელისუფლების მაგალითზე, გარკვეული აღმასრულებელი ხელისუფლების მისამართითაც მომხდარიყო მსგავსი ცვლილებები, ანუ გარკვეული ღონისძიებების შედეგად მათაც რეალური ფუნქციები შეეძინათ.

დღეს არსებობს დევნილთა სამინისტრო, არსებობენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები. დევნილთა დაბრუნებამდე უპრიანი იქნებოდა მათი ფუნქციური გამთლიანება. ეს გამოიწვევდა თვით ამ სტრუქტურების აღმასრულებელი ხელისუფლების განმტკიცებას და გაზრდიდა მათ კომპეტენციას.

**- რამდენად უზრუნველყოფილნი არიან თქვენი მოსამართლეები?**

- სასამართლო რეფორმის დიდი ნაწილი უკვე განხორციელდა, მაგრამ ცხოვრებამ ცხადყო, რომ რეფორმა გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს, რადგან ნებისმიერი მოვლენა, თუ ის არ უმჯობესდება, განიცდის დეგრადაციას. რეფორმასთან დაკავშირებით, საჭიროა, ევროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც გულისხმობს, რომ იუსტიციის საბჭოს უმრავლესობა მოსამართლეებით დაკომპლექტებული უნდა იყოს. უნდა არსებობდეს სწავლების ცენტრი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაც. თუ მოსამართლე ვერ იქნება სათანადოდ უზრუნველყოფილი, ანუ დამოუკიდებელი, იგი თავის ფუნქციას სრულყოფილად ვერ განახორციელებს.

ჩვენი მოსამართლეების ანაზღაურება რეფორმის საწყის ეტაპზე საკმაოდ მაღალი იყო და, დაახლოებით, 400-500 დოლარს შეადგენდა. მაგრამ შემდგომმა ინფლაციამ, ეს თანხა თითქმის გაანახევრა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მოსამართლეთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი მეტ ყურადღებას მოითხოვს.

სულ ახლახან შეიქმნა საქართველოს მოსამართლეების რეგისტრირებული კავშირი, აფხაზეთისა და აჭარის რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც თავის შემადგენლობაში აერთიანებს აფხაზეთისა და აჭარის მოსამართლეებს. კავშირი მოწოდებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, სოციალური და მატერიალური ინტერესების დაცვისათვის. იმედია, ეს კავშირი მომავალში კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

**- და მაინც, დღეს ბევრს საუბრობენ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით?**

- როდესაც აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა ვილაპარაკოთ კონსტიტუციური პრინციპებიდან გამომდინარე, ხელს უწყობს თუ არა მათი არსებობა კონსტიტუციური წყობის განმტკიცებას. იმის თქმა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ უნდა არსებობდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხუთი წელია, ისინი არ არიან არჩეულები, ცოტა გაუგებარია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო რომ ამ ხნის განმავლობაში არ აგვირჩევია, ეს ამ ხალხის ბრალი არ არის. ეს არც სახელმწიფოს ბრალია. ამაში დამნაშავეა ის უბედურება, რაც ჩვენ გარეშე ძალებმა მოგვახვიეს თავს. თორემ ჩვენ დღესაც კი არაფერი გვაქვს გასაყოფი აფხაზებთან, ჩვენს მოძმე ხალხთან.

ჩვენ გამოსავალი უნდა მოვძებნოთ, ოღონდ არა ამ ორგანოების მოსპობით და ახალი არჩევნებით. დღეს უმაღლესი საბჭოს არარსებობა ნიშნავს აფხაზეთის პრობლემის "ცხინვალიზაციას". ბუნებრივია, ეს დაუშვებელია. ვინც ამას უჭერს მხარს, ის მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. პირიქით, ჩვენ უნდა ვიფიქროთ სტრუქტურების განმტკიცებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების გაუქმება არ მოხდება.

**- ჯერ კიდევ აქტუალურია საკითხი არჩევნებთან დაკავშირებით.**

- აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თანამეგობრობა აფხაზეთში ჩატარებულ არც ერთ ახალ არჩევნებს არ ცნობს ლეგიტიმურად. გაერო-მ და ეუთო-მ აღიარეს, რომ აფხაზეთში ჩატარებული ნებისმიერი ახალი არჩევნები არის "ნონსენსი". ამიტომ, ჩემი აზრით, თუ იქ ჩატარებული არჩევნები მიუღებელია, ჩვენთან ჩატარებული უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც ასევე მიუღებელი იქნება.

თუმცა, არ უარვყოფ, რომ ამ ორგანოებს "ახალი სისხლი", ახალი სახეები სჭირდება. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, თუ დამატებითი არჩევნები ჩატარდებოდა, თუკი ამისი პოლიტიკური ნება იქნება.

დამატებითი არჩევნები მაინც სხვა რამეა. მისი გამართლება დღევანდელი პოლიტიკური რეალობით შეიძლება. იგი გულისხმობს, რომ აფხაზეთის რაიონებისთვის უფლება მიგვეცა, საკუთარი კანდიდატები წამოეყენებინათ. ხელისუფლების გადასაწყვეტია, არჩევნები პროპორციული იქნება, თუ მაჟორიტარული. ეს მხოლოდ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეხება. მაგრამ ყველაფერი მაინც საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია და მის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

**- როგორ გესახებათ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზები დღევანდელი რეალობიდან?**

- აჭარის მოვლენების შემდეგ, აფხაზეთისაკენ ნაბიჯების გადადგმა უფრო რეალური გახდა. ძალიან დიდი იმედით ვუყურებ ჩვენი ხელისუფლების ამ შემართებას, პრინციპულობასა და დიდ ჟინს. ამის დასტურია თუნდაც ბაბურინის განცხადება იმის თაობაზე, რომ ანალოგიური სცენარი შესაძლებელია განხორციელდეს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. მართალია, რეაქციული განცხადებებიც მოვისმინეთ, მაგრამ ბაბურინის ეს აზრი ძალიან რეალურად მეჩვენება.

**- ამასთან დაკავშირებით, ოპოზიციურ კულუარებში იმასაც ჩურჩულებენ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არის გარიგება: აჭარა მე, აფხაზეთი - შენ.**

- იმ ადამიანებს, ვინც ავრცელებს ჭორს, თითქოს გარიგება მოხდა და აფხაზეთი საბოლოოდ ჩაბარდა "პატრონს", უნდათ სასურველი რეალობად წარმოგვიდგინონ.

ამას არც ქართველები დაუშვებენ და არც ნამდვილი აფხაზები. საერთაშორისო სამართალზე აღარაფერს ვამბობ.

**- ე.ი. იმედი გაჩნდა, მაგრამ მაინც რა გზით უნდა გაგვიმართლდეს ეს იმედი?**

- კონფლიქტი უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით. ამ მიმართულებით სერიოზული რესურსები კიდევ გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ტოლერანტობა ჩვენი აფხაზი ძმების მიმართ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს პრინციპების საფუძველზე, რომელსაც აფხაზებიც გაგებით ხვდებიან - არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადაიდგას საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის საზიანოდ.

**- როგორი დამოკიდებულება გქონდათ აფხაზებთან?**

- აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დავინიშნე 1993 წლის თებერვალში. მაშინ სოხუმში დღეში 800-1000 ჭურვი ფეთქდებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვმუშაობდით. ჩვენს გვერდით იყვნენ აფხაზი და სომეხი მოსამართლეებიც - ედიკ აგრბა, შურა აგრბა, რაზმიკ არაკელიანი. კონსულტანტად მუშაობდა აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ეროვნებით აფხაზი მეჯით არგუნიც და ასე ვიყავით სექტემბრის ბოლომდე. ყველაფერს ვინაწილებდით და ერთმანეთს მხარში ვედექით.

**- თუ გრძელდება თქვენი ურთიერთობები აფხაზებთან?**

- დღესაც კეთილი ურთიერთობები გამაჩნია არაერთ აფხაზთან - სოხუმელებთან, მოსკოველებთან. ზოგიერთთან ნათესაური კავშირიც მაქვს.

დღეს ისინი დიდი გულისყურით აკვირდებიან მოვლენათა განვითარებას საქართველოში და იმასაც ხედავენ, რომ მეორე შვეიცარია ვერ შექმნეს და ვერც შექმნიან.

ჩვენს დაპირისპირებაში ძირითადი როლი შეასრულა მესამე, რუსულმა ძალამ. დანარჩენი იყო გაუგებრობა ჩვენსა და აფხაზებს შორის, მაგრამ ახლა ამის ქექვის დრო არ არის. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ და წინა პლანზე ის არგუმენტები წამოვწიოთ, რაც ერთმანეთთან გვაახლოებს. ჩვენ საერთო პრობლემები გაგვაჩნია. ისინი ჩვენს გარეშე ფეხზე ვერ დადგებიან. იმედი მაქვს ჩვენი ახალი ხელისუფლებისა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა ტოლერანტული დამოკიდებულებით დაარწმუნოს აფხაზი ერი, რომ ჩვენ ერთ სახელმწიფოში ბედნიერი ცხოვრება და კეთილი მომავალი გველის.

რაც შეეხება მესამე ძალას, კანონი და სამართალი საქართველოს მხარეზეა და მსოფლიო თანამეგობრობა უსამართლო გადაწყვეტილებას არ დაუშვებს. ამის ყველა პირობა არსებობს, რასაც აჭარის მოვლენებიც ადასტურებს. ანალოგიური შემართების შემთხვევაში, აფხაზეთის საკითხიც დადებითად გადაწყდება.

**- ჩვენ ვთქვით, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, მაგრამ აფხაზეთში დაბრუნებისათვის რა უნდა ვქნათ ჩვენ, საზოგადოებამ?**

- ჩემი სურვილი იქნებოდა, შექმნილიყო ეროვნული თანხმობის დარბაზი, სადაც გაერთიანდებოდა საქართველოს მთელი ელიტა. ეს საშუალებას მოგვცემდა, ჩამოგვეყალიბებინა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ერთიანი კონცეფცია და შეგვექმნა კოორდინირებული მუშაობის პრეცედენტი აფხაზეთთან მიმართებაში.

ნომრის სტუმარი

# ქონება კლანურად არ განაწილდება

მაია ჭალაგანიძე

*აჭარაში დღეს უმესაკუთროდ დარჩენილი ბევრი ქონებაა. სავარაუდო პატრონებით, ალბათ, ბათუმი სავსეა. ერთს ტელევიზიის ქონება უნდა, მეორეს - საოცნებო ჰამერი, მესამეს - ადამიანებზე უკეთ მოვლილი და ნაფერები ბუთქუნა კავკასიური ნაგაზები... და თუ საზოგადოება დღეს შეეგუა აზრს, რომ "რევოლუციის გმირებს" ეს ყველაფერი ეკუთვნით, 12 წელიწადში აუცილებლად გვეყოლება კიდევ ორი ახალი ბაბუ თავისი ბაბუინებით.*
*პრეზიდენტმა ბათუმში უშიშროების მინისტრი და გენერალური პროკურორი დატოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხეები ჯერ კიდევ მოსალოდნელია. კონკრეტულად როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, რას ელის ხელისუფლება - ამის შესახებ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი, ვანო მერაბიშვილი გვესაუბრება.*


ვანო მერაბიშვილი.
ვახო ხაჯალიას ფოტო

კუპრეიშვილს ხელშეუხებლობის გარანტიები იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუკი გადაწყვეტილებას დროულად მიიღებდა.

ასეთი ძლიერი საქართველო რამდენიმე საუკუნე არ ყოფილა. გვაქვს საკმაოდ კარგი დისციპლინა, ვაკონტროლებთ სიტუაციას და არც კლანურ, არც მაფიოზურ გადანაწილებას არ დავუშვებთ.

მოსალოდნელია, ბევრმა დაიბრალოს, რომ ყოველთვის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა აბაშიძეს.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ევროპა ცალკეა და საქართველო - ცალკე. ვართ ევროპული სტრუქტურების ნაწილი და ვალდებულებიც ვართ, დავიცვათ ჩვენი ინტერესები.

სამი-ოთხი თვის მუშაობის შედეგად დავასკვენით, რომ ვართ საკმაოდ ეფექტური ხელისუფლება და მთავრობა.

**- შეუდგა უშიშროების საბჭო საკუთარი ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას? რა განსაკუთრებული ცვლილებებია სახეზე?**

- ვფიქრობ, რომ საზოგადოებისთვის სტრუქტურების ფორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია შედეგი. შედეგებით კი გამოჩნდა, რომ ეფექტურები ვართ.

**- რა საფრთხეებია მოსალოდნელი აჭარაში? ბათუმში უშიშროების მინისტრი და გენერალური პროკურორი დარჩნენ. აჭარაში დიდი და უკანონო ფინანსური ინტერესები ტრიალებდა. რამდენად შეეგუებიან ეს ძალები მარცხს და ფინანსური წყაროების დაკარგვას?**

- რაიმე სერიოზული კონტრძალები და პრობლემები იქ არ არსებობს. ახლა მთავარი იარაღის ამოღება და შეიარაღებული დაჯგუფებების განიარაღებაა. უშიშროების მინისტრი იქ არის, რათა ამ ყველაფერმა უსისხლოდ და გართულებების გარეშე ჩაიაროს.

**- განიარაღების პროცესი ენთუზიაზმით მიმდინარეობს?**

- ხან ისე და ხან - ასე.

**- აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, გოგი კუპრეიშვილმა, ხელშეუხებლობაზე მიცემული პირობის დარღვევაში დაადანაშაულა ხელისუფლება. რატომ მისცა ხელისუფლებამ გარანტია, თუკი ის დამნაშავე იყო?**

- კუპრეიშვილისთვის გარანტიები არავის მიუცია. მან რამდენიმეჯერ იგნორირება გაუკეთა საქართველოს უშიშროების მინისტრის მიერ მიცემულ დავალებას. მას მინისტრი ერთი თვის წინ, ორი კვირის წინ, ამ პროცესებამდე ორი დღით ადრეც რამდენჯერმე შეხვდა. კუპრეიშვილმა ამ შეხვედრებს აბსოლუტური იგნორირება გაუკეთა. მას ხელშეუხებლობის გარანტიები იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუკი გადაწყვეტილებას დროულად მიიღებდა. მან ყველა პირობა დაარღვია, ვერ ჩაეტია ჩემ მიერ მიცემულ ვადებში. მოგეხსენებათ, ამ საკითხებზე მეც და უშიშროების მინისტრმაც გავაკეთეთ განცხადებები. კუპრეიშვილი მხოლოდ მაშინ "გადადგა", როდესაც ასლან აბაშიძეს პრაქტიკულად დატოვებული ჰქონდა ბათუმი. ასე რომ, მასთან დაკავშირებით არ ყოფილა დადებული პირობა და არც არასდროს დაიდება.

ვინც მას დღეს თბილისში იცავს, კუპრეიშვილის აგენტები არიან, რადგან სწორედ კუპრეიშვილი იყო აჭარასა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აგენტურული ქსელის მამამთავარი. ჩემი ინფორმაციით, ყველა ტერორისტული აქტი, რაც კი საქართველოში მომხდარა, მისი დაგეგმილიცაა.

**- სისხლის სამართლის საქმეები აღძრულია იმ პირებზეც, ვინც დღეს მიმალვაშია. რა ღონისძიებებს გეგმავს მათ წინააღმდეგ ხელისუფლება?**

- გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი კანონით არის გათვალისწინებული.

**- დადგება თუ არა ასლან აბაშიძის პასუხისმგებლობის საკითხი? ელისტაში დაგეგმილ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჭადრაკში აბაშიძე ჩასვლას და სიტყვით გამოსვლას აპირებს. გააპროტესტებს თუ არა ამას საქართველოს ხელისუფლება?**

- ელისტის შესახებ ვერაფერს გეტყვით. პრეზიდენტი თავის მიცემულ სიტყვას ხელშეუხებლობის შესახებ შეასრულებს. თუ, რა თქმა უნდა, ისინი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს არ ჩაიდენენ.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია საქართველოში გამოჩნდეს აბაშიძის ქონების იმ ნაწილის მყიდველი, რაც აუქციონზე იყო წარმოდგენილი?**

- ისეთი არაფერი ქონება არ არის გამოტანილი... რატომ არ გამოჩნდებიან? საბედნიეროდ, საქართველოში არიან ადამიანები, მეწარმეები, ბიზნესმენები, ვინც ამ ქონების შეძენას შეძლებენ. მართალია, კარგად შენახული, მაგრამ, მაინც ნახმარი მანქანებია და მათ ძალიან დიდი ფასი არ ექნება.

**- როგორც ამბობენ, აჭარაში, ნაძარცვი ქონება, ძირითადად, სამხედროფორმიანებს გააქვთ.**

- მოველოდით, რომ მოროდიორობის სერიოზული ფაქტები იქნებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად და ჩვენი შეიარაღებული ძალების სასამაყოდ მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა - ძარცვა-გლეჯის ფაქტები, პრაქტიკულად, არ არსებობს და ეს იმ ფონზე, როდესაც კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა მთლიანად დაყარეს საკუთარი ქონება და აჭარა დატოვეს. ამ ფონზეც კი არ ხდება მოროდიორობა, თუ არ ჩავთვლით მომიტინგეთა ემოციურ შეჭრას უზენაეს საბჭოში და სუვენირებად ჭიქებისა და სხვადასხვა ნივთების წამოღებას, რაც იმ ღამის ეფექტი იყო. თუმცა, ჩვენ მაინც მზად ვიყავით მოროდიორობის აღსაკვეთად. საბედნიეროდ, ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და რაიმე დამატებითი ზომების მიღება საჭირო არ გახდა. ჩვენ ვამაყობთ ქართული შეიარაღებული ძალებით.

**- რევოლუციის შემდეგ ქონების, ძალთა და გავლენათა გადანაწილება ხდება. ამ მხრივ, რა პროცესები მიმდინარეობს აჭარაში და გვეყოლება თუ არა გამარჯვებული?**

- ასეთი ძლიერი საქართველო რამდენიმე საუკუნე არ ყოფილა. გვაქვს საკმაოდ კარგი დისციპლინა, ვაკონტროლებთ სიტუაციას და არც კლანურ, არც მაფიოზურ გადანაწილებას არ დავუშვებთ. ქონება სამართლიანობის პრინციპით განაწილდება. მეწარმეებს, რა თქმა უნდა, ექნებათ ინვესტიციების განხორციელების საშუალება იმისთვის, რომ ეს ბრწყინვალე მხარე აყვავდეს.

**- აჭარაში მოსალოდნელია სტრუქტურული ცვლილებები. ახლოვდება უმუშევრობა, რაც რევოლუციით მოსულ ძალებს პოპულარობას დაუკარგავს. როგორ აიცილებს თავიდან ხელისუფლება სოციალურ საფრთხეებს?**

- აჭარა ასლან აბაშიძის საკუთრება იყო და მის გარდა ვერავინ ვერანაირ ბიზნესს ვერ აწარმოებდა. ახლა აჭარაში ინვესტიციების ბუმი იქნება. შეიქმნება უამრავი სამუშაო ადგილი და არათუ უმუშევრობა იქნება, არამედ, მერწმუნეთ, რომ სამუშაო ადგილებსა და კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა გაიზრდება. იქ არაფერი შემცირებულა, პირიქით, საქართველოს არც ერთი კუთხე ისე სწრაფად არ განვითარდება, როგორც აჭარა, რადგან სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას ველით.

**- თუკი აქამდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული ხელისუფლებები ზოგადად ადევნებდნენ თვალს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს, აჭარის მოვლენების და ცნობილი განცხადებების შემდეგ რა ზომებს იღებენ სოხუმსა და ცხინვალში?**

- გვაქვს ინფორმაცია.

**- ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თავდაცვა გააძლიერეს?**

- ამის შესახებ გარკვეული ინფორმაციები გვაქვს.

**- აჭარაში ახლა აქტიურად მოძრაობენ ძალები, რომლებიც ხუთი თვის წინ, ან ცოტა უფრო მერეც აბაშიძის ერთგული მსახურები იყვნენ. როგორ შეარჩევთ კადრებს, რევოლუციური აქტივობა იქნება თუ არა მთავარი განმსაზღვრელი თანამდებობებზე დანიშვნისას?**

- საქართველოში კადრების დეფიციტი არ არსებობს. კადრებს შეარჩევენ ისინი, ვისაც ამის უფლებამოსილება გააჩნია. აღებულ ვალდებულებებს შევასრულებთ. ლაპარაკია სანდოობაზე, პროფესიონალიზმსა და არაკორუმპირებულობაზე. სწორედ ამ კრიტერიუმებით შეარჩევენ ადამიანებს. რა თქმა უნდა, მოხარულნი ვართ, რომ ზოგიერთმა თავისი ვაჟკაცური ნაბიჯით ხელი შეუწყო აბაშიძის რეჟიმის რღვევას, თუმცა მოსალოდნელია, ბევრმა დაიბრალოს, რომ ყოველთვის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა აბაშიძეს.

**- გენერალური პროკურორი აჭარაშია. თქვენი აზრით, ბევრი რამ შეიცვლება აბაშიძის ხელისუფლების მიერ გამოტანილ ვერდიქტებში?**

- ამის შესახებ გენერალური პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას.

**- როგორ ფიქრობთ, აჭარაში დანიშნული პირები შეძლებენ ადგილობრივი მმართველობის მომავალ არჩევნებში დამაჯერებლად გამარჯვებას?**

- ასე რომ არ ვფიქრობდეთ, ალბათ, არც დავნიშნავდით. იმედი გვაქვს, რომ დროებითი საბჭო და მათი დანიშნული პირები აჭარაში მცხოვრებ ადამიანებს მოკლე დროში დაანახებენ, რომ ისინი ეფექტურები არიან, ხალხისთვის ფიქრობენ და შესაბამისად, არჩევნების სერიოზული წარმატებით მოგების შანსები აქვთ.

**- შეხვდით კანცელარიასთან შეკრებილ ქართველ წალკელებს. საიდან დაიწყო კონფლიქტი და რა გარანტიები მისცა მათ ხელისუფლებამ?**

- ეს პრობლემა დიდი ხანია, არსებობს. სიტუაციას ვაკონტროლებთ და ბოლომდე ასე იქნება.

**- დღესდღეობით წალკაში იარაღის დიდი რაოდენობაა, თუმცა აქ განიარაღებაზე ისე ხმამაღლა არ საუბრობენ, როგორც აჭარაში.**

- ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო იყოს სტაბილური, დემოკრატიული ქვეყანა.

**- შეგიძლიათ, დაასახელოთ, კონკრეტულად რა ძალებმა მოაწყვეს ეს პროვოკაცია, ოღონდ მითიური მესამე ძალის გარეშე?**

- ინფორმაციები გვაქვს და შესაბამისად ვმოქმედებთ.

**- უშიშროების საბჭოს მდივნის აზრით, რა მოჰყვება პრეზიდენტის მიერ ევროსაბჭოს მისამართით გამოთქმულ მკაცრ კრიტიკას? გააფუჭებს თუ არა ეს საქართველოს ურთიერთობებს ამ ორგანიზაციასთან და პირადად შვიმერთან?**

- საუბარია შემდეგ პოზიციაზე - საქართველოში ჩამოსულმა ყველა დიპლომატმა გარკვეული ნორმები და წესები უნდა დაიცვას. საქართველო არ არის ჩამორჩენილი, მეათეხარისხოვანი ქვეყანა. ეს არის თანამედროვე ევროპული ქვეყანა, რომელიც საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესშია. სამი-ოთხი თვის მუშაობის შედეგად დავასკვენით, რომ ვართ საკმაოდ ეფექტური ხელისუფლება და მთავრობა. ამიტომ, როგორც შიდა ძალებთან, ისე გარე არაკეთილმოსურნე და თავისუფლად მოღვაწე უცხოელებთანაც შესაბამისი მიდგომა გვექნება, რადგანაც ჩვენც ევროპული ოჯახის ჩვეულებრივი წევრები ვართ.

ევროსაბჭოში ჩვენსავით ევროპული ქვეყნები შედიან და ისინი ჩვენი მეგობრები არიან. ამიტომაც, როგორც ნებისმიერი წევრი ქვეყნის აზრს, ჩვენს პოზიციასაც გაიგებენ. ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ევროპა ცალკეა და საქართველო ცალკე. ვართ ევროპული სტრუქტურების ნაწილი და ვალდებულებიც ვართ, დავიცვათ ჩვენი ინტერესები.

**- როგორ აფასებს უშიშროების საბჭო ძალოვანთა მუშაობას? ახლა, როცა ძალოვანთა მთელი ყურადღება აჭარისკენაა მიმართული, რა ხდება დანარჩენ საქართველოში, კორუფცია ყვავის?**

- ძალოვანი სტრუქტურებით კმაყოფილი ვარ, რადგანაც შედეგებმა გვაჩვენა, რომ საკმაოდ ეფექტურად შეგვიძლია დასახული ამოცანების შესრულება.

**- თქვენ კოჯრის ბატალიონის წვრთნებს დაესწარით. ასევე კმაყოფილი ხართ?**

- ეს არის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ყველაზე ელიტური შენაერთი. ასეთი ტიპის სპეციალური დანიშნულების რაზმი ამიერკავკასიაში არ არსებობს.

**- გაზაფხულდა, დგება პანკისის "სეზონი." რა ვითარებაა იქ და როგორ მუშაობენ ქართული სპეცსამსახურები?**

- პანკისში არავითარი პრობლემა არ წარმოიშობა. საქართველოში იმდენად სერიოზული ხელისუფლებაა, რომ პრობლემას წარმოშობის ოდნავი ნიშნების გამოჩენისთანავე აღვკვეთავთ.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25





# აფიშა

## თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
სანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
შვარცის მიხედვით
"ჩვეულებრივი სასწაული"
რეჟისორი: გოგი თოდაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
გაბრიელ გარსია მარკესი
"სიყვარულის სულთათანა"
სოფიკო ჭიაურელი თემურ ჩხეიძის სპექტაკლში
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"ვან ჰელსინგი"
დას: 12:00; 14:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ბინძური ცეკვები 2"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ.

"სიცოცხლის გამტაცებელი"
დას: 16:00; 18:00 სთ.

**კინოს სახლი**
პრემიერა
"მოულოდნელი დილა"
(რეჟისორი ზაზა სვანიძე)
დას: 17:00 სთ.

## გამოფენა

**ძველი გალერეა**
იაკობ ჯუღაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**"ორიენტი"**
ფოტოგამოფენა "მე და ჩემი თანატოლი"

**სალონი "ხელოვნება"**
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "საფეხურები"

**"ქარვასლა"**
ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
სკოლა-კოპლექს "სადუნთან" არსებული შემოქმედებითი სახელოსნოს მოსწავლეთა საქველმოქმედო გამოფენა

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს,** 13 მაისს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება". სტუმარი – შოთა იათაშვილი; თემა – "80-იანელების, 90-იანელებისა და 2000-იანელების მწერლები და პოეტები (მსგავსებები და განსხვავებები)".

**პარასკევს,** 14 მაისს, 17 საათზე ზაზა შათირიშვილის წიგნის - "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" (გამომცემლობა "ლოგოს-პრესი") პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

**23 მაისს და 6 ივნისს**

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოადგენს მუსიკალურ წარმოდგენას ალექსანდრე პუშკინის ზღაპრების მოტივებზე - Превращения в Лукоморье
დამდგმელი რეჟისორები: ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი
კომპოზიტორი თენგიზ ჯაიანი.
დას: 13:00; 15:00 სთ.

# ტურნირი კავკასიის თასზე

14 მაისს ვერის პარკში საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია ტრადიციულ ტურნირს გამართავს. საერთაშორისო შეჯიბრი, "კავკასიის თასი", თბილისში 1996 წლიდან იმართება. წლევანდელ ღონისძიებაში ამიერკავკასიის ქვეყნების წარმომადგენელთა გარდა, მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, ისრაელის მოცეკვავეები. ტურნირში 7-დან 35 წლამდე ასაკის მოცეკვავეები მონაწილეობენ.

ტურნირი საქართველოს სპორტული ცეკვების ფედერაციის ყოველწლიური ღონისძიებაა. "მარტო სომხეთიდან 64 სტუმარს ველოდებით. მაგრამ, ფავორიტები, ჩვენი აზრით, მაინც რუსეთიდან იქნებიან. ისე კი, თასი ყოველთვის ჩვენთან რჩებოდა", - ამბობენ ფედერაციის წარმომადგენლები. ტურნირზე რამდენიმე უმაღლესი კლასის მოცეკვავეს ელიან. ამას გარდა, მოწვეულია საერთაშორისო ჟიური ცხრაკაციანი შემადგენლობით; წლევანდელი ტურნირის სტუმარი, მთავარი მსაჯის რანგში იქნება სპორტული ცეკვების საერთაშორისო პრეზიდიუმის მთავარი საბჭოს სპორტული დირექტორი ჰაინ შპეკერი.

საქართველო სპორტული ცეკვების საერთაშორისო ფედერაციის წევრი 1992 წლიდან გახდა. რესპუბლიკური მასშტაბით ჩვენთან სპორტული ცეკვების (მაშინ სამეჯლისო ცეკვები ერქვა; მოგვიანებით ის ჩვენათანაც სპორტის ერთ-ერთ სახეობად აღიარეს) კონკურსი 70-იანი წლებიდან იმართებოდა; 1976 წლიდან ჩამოყალიბდა სამეჯლისო ცეკვების საბჭო; 1986 წელს - გაერთიანება; ხოლო, 1991 წლიდან - გაერთიანება. დღეისათვის საქართველოს სპორტცეკვების ეროვნულ ფედერაციას ჰყავს საერთაშორისო კატეგორიის ხუთი მსაჯი. ამ დროისათვის ფედერაციაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებული დაახლოებით ოცდახუთი სტუდიაა გაერთიანებული.

წლევანდელ ტურნირს გამარჯვებულები რამდენიმე კატეგორიაში ეყოლება. წარმოდგენილი იქნება როგორც ევროპული, ისე ლათინო-ამერიკული ცეკვები. სტუმრები საკუთარ თავზე იღებენ ტურნირში მონაწილეობისთვის საჭირო თანხებს; ორგანიზატორების თქმით, ისინი მხოლოდ წამყვანი წყვილებისთვის საცხოვრებელი პირობების შექმნასა და მოწვეული მსაჯების სასტუმროში განთავსებაზე იზრუნებენ.

*24 საათი*

# ახალი რესურსები თეატრალურ სარდაფში

თეონა ჯაფარიძე

"თეატრალური სარდაფი" ნოვატორულ გადაწყვეტილებას იღებს და საკუთარ ბაზაზე სამსახიობო ხელოვნების სახელოსნოს ხსნის. ნოვატორულს-თქო იმიტომ მოგახსენებთ, რომ სახელოსნო მსახიობის ახალი ტიპაჟის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. პირობები ასეთია: სახელოსნოში მიიღებიან თეატრალური ინსტიტუტის, კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები და დიპლომანტები. სახელოსნოში მოხვედრილები ერთი წლის მანძილზე პრაქტიკას გაივლიან და პარალელურად მონაწილეობას მიიღებენ თეატრალური სარდაფის სპექტაკლებში. სწავლება კი უფასოა. ჯგუფს თეატრალური სარდაფის ხელმძღვანელები - ლევან წულაძე და ოთარ ეგაძე უხელმძღვანელებენ.

რა შეიძლება კიდევ ისწავლოს უკვე დიპლომანტმა, მომავალმა მსახიობმა? კომუნიკაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში, როცა დროის ფაქტორს ძირითადი



*ოთარ ეგაძე და ლევან წულაძე.*

მნიშვნელობა მიენიჭა და როცა ელვისებური სისწრაფით იცვლება ღირებულებები და კრიტერიუმები, თეატრალური ხელოვნებაც ცვლილებებს მოითხოვს, რათა თავი დაიცვას არქაულობის მოსალოდნელი იარლიყისაგან. რაც არ უნდა ნოვატორული იყოს სპექტაკლის რეჟისურა, მსახიობის ტრადიციული თამაში დროს უკან დააბრუნებს. ამიტომ ტრადიციული თეატრალური სასწავლო დისციპლინების - სამსახიობო ხელოვნების, მეტყველების, ქორეოგრაფიისა თუ ვოკალის სწავლებას უნდა დაემატოს კიდევ რაღაც, რაც უფრო მობილურსა და დროსთან შეთანხმებულს გახდის მომავალ მსახიობს.

**"უნდა შეიცვალოს მსახიობის დამოკიდებულება თავისი პროფესიის მიმართ. ერთხელ და სამუდამოდ მან თავიდან უნდა ამოიგდოს დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ რეჟისორი მსახიობის მეუფეა. მსახიობი, პირველ რიგში, ხელოსანია, რომელმაც თავად უნდა შექმნას როლი, ხელოვნება."** ასე ფიქრობს რეჟისორი ოთარ ეგაძე. **"ჩვენს სახელოსნოში მოსულებს სელექციის ერთი ეტაპი უკვე გავლილი უნდა ჰქონდეთ და ტრადიციული განათლებაც მიღებული. ჩვენ აქ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ვასწავლით მათ. დროს არ დავკარგავთ, თან ვასწავლით, თან სპექტაკლებში დავაკავებთ"** - მიხსნის ჭოლა (რეჟისორი ლევან წულაძე).

ვაკის თეატრალურ სარდაფში გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ სახელოსნოში მსურველები კონკურსის გავლით მიიღებიან და კონკურსი ორ ტურად ჩატარდება. ჩემი ვარაუდით მაისის ბოლოს კასტინგში მონაწილეთა დიდი რიგი გაიჭიმება. მალე ქართულ თეატრალურ სივრცეში ახალი ცნება დამკვიდრდება - "სარდაფის სახელოსნო".

# როსტროპოვიჩის ორი ცხოვრება

### დიდი მაესტროს გამომშვიდობება "დონ კიხოტთან"

მადი სერებრიაკოვა

**"ზოგიერთ მუსიკოსს ჰგონია, რომ კარგად ასრულებს, თუ ზუსტად კითხულობს იმას, რაც კომპოზიტორმა დაწერა ნოტებით. მაგრამ, ეს არის რაღაც მეორადი, კომპოზიტორის ქმნილების შემდეგ. ძალიან ცოტა მუსიკოსის ხვედრია, რომ დაწერილ ნოტებს მიღმა წაიკითხოს და შეასრულოს ის გრძნობები და ემოციები, რომელიც კომპოზიტორს ამ ნოტებს აწერინებდა"** - მსტისლავ როსტროპოვიჩმა ეს სიტყვები თითქოს საკუთარ თავზე წარმოთქვა. ლეგენდარულ ვიოლონჩელისტს დღემდე ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში. იმ ნაწარმოებებს შორის (მრავალი სპეციალურად მისთვისაც იწერებოდა), რომელიც ისტორიას საუკეთესო სახით სწორედ როსტროპოვიჩის ინტერპრეტაციით შემორჩა, რიჰარდ შტრაუსის "დონ კიხოტი" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. თავად როსტროპოვიჩს სალვადორ დალიმ "რუსი დონ-კიხოტი" უწოდა. დიდი ჩელისტის მიერ უკანასკნელად შესრულებული "დონ კიხოტი" ფირზე ქართველმა რეჟისორმა ზურაბ ინაშვილმა აღბეჭდა. მუსიკალურ-დოკუმენტური ფილმი "მაესტროს გამოთხოვება "დონ კიხოტთან", რომელიც იაპონიის საზოგადოებრივი ტელევიზიის დაკვეთით შეიქმნა, გუშინ საქართველოში პირველად კონსერვატორიის დიდ დარბაზში აჩვენეს.

**"ზურაბ ინაშვილი იმ განსაკუთრებულ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელნიც საკუთარი ხელოვნებით მუსიკას ემსახურებიან"** - აღნიშნა მუსიკათმცოდნე მარინა ქავთარაძემ, რომელმაც ფილმი ქართველ მაყურებელს წარუდგინა - **"თავის დროზე, შტრაუსი შეეცადა იმდენად ზუსტად გაეცოცხლებინა სერვანტესის "დონ კიხოტი" მუსიკაში, რომ ნატურალისტურ-ფერწერულ ხერხებსაც არ მოერიდა. ეს ფილმი კი, შეიძლება ითქვას, კინოხელოვნების საშუალებით კიდევ ერთხელ გაცოცხლებული "დონ კიხოტი", ერთგვარი კინო-პოეზიაა შტრაუსის გენიალურ მუსიკაზე და ჩვენი დროის უდიდეს ვიოლონჩელისტზე, უკანასკნელ დონ კიხოტზე - მსტისლავ როსტროპოვიჩზე".**



*მსტისლავ როსტროპოვიჩი.*

ფილმის გადაღებას საინტერესო პრეისტორია აქვს. ფილმის იდეა თავად როსტროპოვიჩს წლების წინათ გაუჩნდა. ფილმის პირველ, დოკუმენტურ ნაწილში, თავად ჩელისტი ჰყვება "დონ კიხოტის" - მისი ბავშვობისდროინდელი გატაცების შესახებ. **"წლების მანძილზე ვოცნებობდი მეთამაშა ოპერაში, მაგრამ ხმა არ მაქვს"** - იხსენებს მაესტრო. შემდეგ, მან შტრაუსის "დონ კიხოტი" აღმოაჩინა, რომელმაც ჩელისტს ღრმა დრამატული სახეების შექმნის საშუალებაც მისცა და, ამასთანავე, მისთვის ესოდენ საყვარელ გმირთანაც დაახლოვა. შემთხვევითი არ არის, რომ მრავალი წლის წინათ, სალვადორ დალის მიერ ნაჩუქარი ალბომის ყდაზე გამოჩენილმა მხატვარმა როსტროპოვიჩს დონ კიხოტი სახელდახელოდ მიუხატა და "უკანასკნელ დონ-კიხოტსო" - მიაწერა. როსტროპოვიჩს "დონ კიხოტს" უწოდებს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დირიჟორი სეიჯი ოძავაც, რომელიც ჩელისტის მიერ ამ ნაწარმოების უკანასკნელად შესრულებისას იაპონიის სახელმწიფო ორკესტრს დირიჟორობდა.

დიდებული ვიოლონჩელისტის ბიოგრაფია მართლაც სავსეა უცნაურად თავგადასავლებით, "დონ კიხოტური" ნაბიჯებით. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ცხოვრებისას, იგი საკუთარ სახლში მალავდა კომუნისტების მიერ დევნილ სოლჟენიცინს. ემიგრაციაში იგი იმ წლებში წავიდა, როცა კაპიტალისტურ დასავლეთზე ფიქრიც კი სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. ზურაბ ინაშვილის ფილმში კიდევ ერთი "დონ კიხოტური გმირობაა" აღბეჭდილი: ბერლინის კიდლის ნგრევის პირველ კადრებს როსტროპოვიჩმა პარიზში ტელევიზიით უყურა. იმავე დღეს, საკუთარი ვიოლონჩელიანად იგი ბერლინში გაემგზავრა და კედლის ნანგრევებთან აღტკინებული გერმანელებისთვის დაუკრა - **"ბერლინის კედლის დანგრევამ ორი სამყარო გააერთიანა. როცა ნანგრევებს ვუყურებდი, ვგრძნობდი, რომ ჩემი ორი ცხოვრებაც მთლიანდებოდა - ცხოვრება რუსეთში და ცხოვრება ემიგრაციაში."**

რევაზ ინაშვილის ფილმი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი დოკუმენტური ხასიათისაა. იგი ასახავს როსტროპოვიჩისა და იაპონიის ორკესტრის მზადებას უკანასკნელი "დონ კიხოტისათვის", ასევე, როსტროპოვიჩის მოგონებებს და მაესტროს მიერ დაწვრილებით აღწერილ შტრაუსის ნაწარმოების ინტერპრეტაციას. სიმფონიური პოემა ინტროდუქციის, თემისა და 10 ვარიაციისაგან შედგება. როსტროპოვიჩი ყოველ ტაქტს დაწვრილებით აღწერს, უყვება ორკესტრს სიუჟეტს, ხატავს კადრებს, საოცარი დრამატული ოსტატობით განასახიერებს პერსონაჟებს. სერვანტესის გმირისადმი ყველაზე გულგრილ მსმენელსაც კი ააღელვებდა ჩელისტის "გაკვეთილი დონ კიხოტობაში". **"ჩვენ მართლაც დონ კიხოტები ვართ** - აღნიშნავს როსტროპოვიჩი ბოლოს - **ჩვენც გვაქვს იდეალების, ფანტაზიის სამყარო, რომლისკენაც მივდივართ ყველა ცხოვრებისეული წინააღმდეგობის ჯინაზე... ბოლო ტაქტებში, როცა დონ კიხოტი კვდება, თითქოს წინასწარ განვიცდი საკუთარ სიკვდილს, აი ასე, უკანასკნელ ამოსუნთქვაზე, უკანასკნელად ჩაებღაუჭები სიცოცხლეს და მორჩა..."**

მეორე ნაწილი სწორედ ისეთია, როგორიც როსტროპოვიჩს წლების მანძილზე წარმოედგინა: კინოს ენაზე გაცოცხლებული სერვანტესი/შტრაუსის გმირები, ესპანეთის ბუნება, დონ კიხოტის ფანტაზიები და რეალობა. ქართველი რეჟისორისა და დიდი ვიოლონჩელისტის შემოქმედებითი თანკვეთა მაშინ დაიწყო, როცა როსტროპოვიჩმა პირველად ნახა ინაშვილის მიერ გადაღებული "ქართველები მარიას თეატრში". მაესტრო იმდენად აღაფრთოვანა მის მიერ გაცოცხლებულმა ჯორჯ ბალანჩინის, ვახტანგ ჭაბუკიანის, სოლიკო ვირსალაძის კინო-პორტრეტებმა, რომ თავად მიიწვია იგი იაპონიაში ფილმის გადასაღებად. ფილმის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ იგი როსტროპოვიჩის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების ნაწილია. ფილმის საავტორო უფლება იაპონიის საზოგადოებრივ ტელევიზიას ეკუთვნის. საქართველოში კი მისი ჩვენება "ჯი ემ თი" ჯგუფის დახმარებით მოხერხდა.

# ელინოფილური დღეები დასრულდა

*ძველი და ახალი საბერძნეთის კულტურისა და ხელოვნების მოყვარულთ, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და სკოლებთან ურთიერთთანამშრომლობით უდიდესი დღესასწაული მოუწყო. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა. გამოფენა, თეატრალური წარმოდგენა, კინოჩვენება, პოეზიის საღამოები, წიგნების პრეზენტაციები, მოხსენებები უახლესი აღმოჩენების შესახებ - აი, არასრული ჩამონათვალი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში იმართებოდა. ღონისძიებები თბილისის გარდა ტარდებოდა ახალციხეში, რუსთავში, ქუთაისში.*

თამარ ჯაჯანიძე

ელინოფილია, ბაირონიდან მოყოლებული, მსოფლიოში გავრცელებული ტერმინია და საბერძნეთის გულშემატკივრებს აერთიანებს. საქართველოში ელინოფილური დღეების ჩატარება კი ნამდვილად არ არის გასაკვირი საქმე. საქართველოს ურთიერთობანი ანტიკურ და განსაკუთრებით შუა საუკუნეების საბერძნეთთან დღემდე ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევის საგანია. უპრიანი, ალბათ, სწორედ ამიტომ იყო ელინოფილური დღეების ვანსა და მცხეთაში უახლესი აღმოჩენების შესახებ მოხსენებებით გახსნა. ამას მოჰყვა ბელგიელი პროფესორის ფრედი დეკრეუსის მოხსენებათა ციკლი თემაზე: "ბერძნული დრამა და თანამედროვეობა." გამოამზეურეს ელინოლოგიის სფეროში გამოცემული წიგნები და ორი ახალი წიგნიც შეჰმატეს ს.ყაუხჩიშვილის სახელობის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას. გაიმართა ბერძნული პოეზიის საღამო და საღამო, "ელადა ქართულ პოეზიაში", რომლებშიც თსუ-ს სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს საღამოები მთარგმნელის და პროფესორის კლასიკური ფილოლოგიის დარგში ქალბატონ ნანა ტონიას ინიციატივით განხორციელდა.

საინტერესოდ აღინიშნა ბერძენი რეჟისორის თეო ანგელოპულოსის ფილმი: "დასი"("კომედიანტები"), რომელიც კინომცოდნე გოგი გვახარიამ წარმოადგინა. ოთხ საათიანი კინოსეანსის მიუხედავად, ანტიკური დრამის სიუჟეტის ძაფებს ჩაჭიდებულნი დაუღალავად შევცქეროდით ეკრანს. გოგი გვახარიას ნათქვამი გამართლდა, ევროპის კინოფესტივალებზე პატივმიუგებელი რეჟისორი, მართლაც, ნოვატორულ კინოხედვას გვთავაზობს. მეოცე საუკუნის საბერძნეთში გათამაშებული "ორესტეა", ამ ტრაგედიის კიდევ ერთი ინტერპრეტაციაა. შორი კადრების გამოყენებით კი, გვახარიას თქმისა არ იყოს, რეჟისორმა "ზემოდან, შორიდან დანახვის" უპირატესობაც გვაგრძნობინა.

ელინოფილური დღეების ფარგლებში კიდევ ერთი საინტერესო პროექტი შემოგვთავაზა კავკასიურმა თეატრალურმა ლაბორატორიამ. რეჟისორმა დავით საყვარელიძ-[illegible] პიესის ავტორმა, შოთა იათაშვილმა აღნიშნა, მისი მიზანი "თანამედროვე ადამიანის ხედვის კუთხით, თუმცა ანტიკური პრინციპების დაცვით, ამ ტრაგედიის დაკარგული ნაწილების ხელახლა დაწერაა". შოთა იათაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი პიესის ტექსტი, მართლაც, დრამატული და პოეტური აღმოჩნდა. "ეს სპექტაკლი არის მცდელობა იმისა, რომ ასეთ ლიტერატურულ - დრამატულ სვლებს მოვუძებნოთ თანამედროვე სივრცითი გადაწყვეტა,"- აღნიშნა დავით საყვარელიძემ და, მართლაც, სპექტაკლი საკმაოდ ორიგინალური აღმოჩნდა. სცენას ზიგზაგისებურად დალაგებული მაგიდები წარმოადგენდა. წინასწარ ჩაწერილი ხმა დინამიკებიდან ისმოდა და სხეულის მაქსიმალურ პლასტიკაზე გადასული მსახიობები ცოტათი პანტომიმის მსახიობებს ჰგავდნენ.

ელინოფილური დღეები "საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის" ახალი გამოცემის პრეზენტაციამ დააგვირგვინა. ეს პრეზენტაცია ღვაწლმოსილი მეცნიერის, აკადემიკოს თინა ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 85 წლის საიუბილეოდ გაიმართა.

# ვერდის ბარიტონი

## ინტერვიუ ლადო ათანელთან

სალომე გოფოძე
სპეციალურად „24 საათისათვის"
ბერლინი

მსოფლიოში ცნობილმა ბარიტონმა, ბატონმა ლადო ათანელმა თავის ბერლინელ თაყვანისმცემლებს კვლავ აჩუქა რამდენიმე დაუვიწყარი საღამო.

27 მარტს ბერლინის Deutsche Oper-აში გაიმართა პუჩინის ოპერის "გოგონა დასავლეთიდან" პრემიერა. ბატონი ლადო მეუღლესთან, ქალბატონ მანანა ჩიქოვანთან ერთად უკვე რამდენიმე წელია ბერლინში ცხოვრობს. რაც შეეხება მის საოპერო მოღვაწეობას, იგი უდიდესი წარმატებით გამოდის სხვადასხვა ქვეყნების ცნობილი საოპერო თეატრების სცენებზე.

ლადო ათანელს ევროპაში "ვერდის ბარიტონს" უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ეს სწორედ ის ბარიტონია, რომელსაც კაპუჩილის და ბრუზონის შემდეგ ელოდა მუსიკალური საზოგადოება. კრიტიკოსები მას მუდამ "საღამოს სრულყოფილ ვარსკვლავად" მოიხსენიებენ, რომელიც პირველიდან ბოლო ბგერამდე ყველაფერს არაჩვეულებრივად ასრულებს. "ყოველთვის გვაოცებს ლადო ათანელის არაჩვეულებრივი ბარიტონი. ეს არის უდიდესი კულტურით, გემოვნებით და ამასთანავე მშვენიერი გარეგნობით დაჯილდოებული მომღერალი, ელეგანტური მეტყველებით და მამაკაცური ტემბრით, რომელიც დიდ ხანია, აღარ მოგვისმენია" - წერდნენ კრიტიკოსები "ტრავიატას" პრემიერის შემდეგ. ხოლო "ნაბუქოს" პრემიერის შემდეგ New Times და Opera News აღნიშნავდნენ, რომ ეს არის არაჩვეულებრივი ხმა, რომელსაც დიდხანს ელოდა მსმენელი.

ლადო ათანელის ძლიერი, გაწონასწორებული, სუფთა და ჟღერადი ბარიტონით აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები ყოველთვის მოუთმენლად ელიან ყოველ ახალ შეხვედრას მომღერალთან და მისი ხმის მოსასმენად სხვადასხვა ქალაქებსა თუ ქვეყნებშიც კი მიემგზავრებიან.

დღეს ათანელი მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალია, ყველაფერი კი დაიწყო თბილისის კონსერვატორიაში, რომლის დამთავრების შემდეგაც, ლადო ათანელიშვილის დებიუტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა.

**- ბატონო ლადო, ხომ არ გაიხსენებდით თბილისის პერიოდს, თქვენს პედაგოგებს?**

- პირველი კურსიდანვე ვსწავლობდი აწ გარდაცვლილ დოცენტ, ბატონ ჯემალ ლორთქიფანიძესთან და მასთანვე დავამთავრე თბილისის კონსერვატორია. თეატრის დასის სტაჟიორად მეხუთე კურსიდანვე ვიყავი ჩარიცხული. პარალელურად ვმეცადინეობდი ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან და იმ დროიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, ჩემი ხელოვნების დახვეწას და სრულყოფას განვაგრძობ საყვარელ მაესტროსთან.

ჩემი დებიუტი 1989 წლის 1 ივლისს შედგა. ეს დღე ჩემთვის მართლაც დაუვიწყარია, არა მარტო იმიტომ, რომ დებიუტი მქონდა და პირველად შევდგი ფეხი ჩვენი საყვარელი, დიდი ტრადიციების მქონე თეატრის სცენაზე, არამედ იმიტომაც, რომ არაჩვეულებრივი დებიუტი გამოვიდა. ჩემი პარტნიორები იყვნენ ნუგზარ გამგებელი, იანო ალიბეგაშვილი და სპექტაკლს დირიჟორობდა ჩვენი დიდი მაესტრო, ბატონი ჯანსუღ კახიძე. ამ გამოსვლას მართლაც არაჩვეულებრივი გამოხმაურება მოჰყვა როგორც უფროსი კოლეგებისგან, დირექციისგან, ასევე პრესის მხრიდან. ამბობდნენ, რომ საქართველოს შეემატა ახალი, ძლიერი ძალა და მას შემდეგ ვცდილობ გავამართლო მათი წინასწარმეტყველება.

**- რომელი საოპერო პარტიები გაქვთ თბილისის სცენაზე შესრულებული?**

- რენატოს შემდეგ შევასრულე ჟერმონის პარტია ვერდის "ტრავიატაში". შემდეგ მას მოჰყვა ფიგაროს პარტია როსინის "სეველიელ დალაქში". გერმანიის მაშინდელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში გასტროლების დროს შევასრულე ანდრეი ბალკონსკის პარტია პროკოფიევის "ომი და მშვიდობაში". ასევე შევასრულე მოხუცი რაინდის პარტია პროკოფიევის ოპერაში "ქორწინება მონასტერში" და მურმანის პარტია "აბესალომ და ეთერში", რის შემდეგაც უკვე დაიწყო ევროპული პერიოდი.

**- ეს, ალბათ, მაშინ, როდესაც თქვენ ბარსელონაში საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი აიღეთ.**

- დიახ, ეს გახლდათ 1991 წლის, 23 ნოემბერი, ანუ ზუსტად გიორგობა დღეს. 200 მონაწილიდან მე ავიღე პირველი პრემია და გრან პრი. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა დიდ იტალიელ ვარსკვლავებთან: ბარიტონ ჯუზეპე ტადეისთან და სოპრანო პრიმადონნა, ქალბატონ მაგდა ოლივიეროსთან. ქალბატონი ოლივიერო გახლდათ თავმჯდომარე, ტადეი კი ჟიურის წევრი. ეს გახლდათ ჩემი პირველი კონკურსი. სულ სამ კონკურსში მაქვს პირველი ადგილი აღებული.

ამ პერიოდში საქართველოში, მოგეხსენებათ, დაძაბული მდგომარეობა იყო. მე რამდენ ხანსაც შემეძლო, დაუღალავად ვშრომობდი საქართველოში, მაგრამ შემდეგ ძალიან გამიჭირდა. ჩემს შემოქმედებით წინსვლას დიდი საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომ გადავწყვიტე მუშაობა საზღვარგარეთ გამეგრძელებინა.

**- გერმანიაში როდის დაიწყეთ მოღვაწეობა?**

- პირველად 1995 წლის იანვარში მქონდა დებიუტი ქალაქ აუგსბურგში. ეს იყო ამ თეატრში ჩემი და ასევე პუჩინის ოპერის "ტოსკას" დებიუტიც, სადაც მე სკარპიას პარტია შევასრულე. ამას მოჰყვა მიონხენგლადბახის და კრეფელდის თეატრები, სადაც ოთხი სეზონი ვიმყოფებოდი და საკმაო გამოცდილება შევიძინე. რეპერტუარს, რა თქმა უნდა, მე თვითონ ვირჩევდი. მყავდა მაყურებელი, ორკესტრი და საერთოდ, მეგობრებმა თეატრიდან და თაყვანისმცემლებმა არაჩვეულებრივი თბილი ატმოსფერო შემიქმნეს. შემდეგ იქიდან გადმოვედი ბერლინის Deutsche Oper-აში. სადაც ორი წელი ერთგულად ვემსახურე საოპერო ხელოვნებას.

**- Deutsche Oper-აში თქვენ მოასწარით ლეგენდარულ გიოტც ფრიდრიხთან ერთად მუშაობა და მის მიერ დადგმულ "ტრავიატაში" შეასრულეთ მამა ჟერმონის პარტია, რომელიც თქვენი თაყვანისმცემლებისთვის დღემდე დაუვიწყარია. რა მოგცათ ამ დიდ პიროვნებასთან მუშაობამ, რა შეგძინათ ახალი და საერთოდ რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის მასთან ურთიერთობა?**

- მართლაც მერგო წილად ეს დიდი ბედნიერება. მე ბევრ დიდ რეჟისორთან მიმუშავია, მაგრამ გიოტც ფრიდრიხი იყო რაღაც განსაკუთრებული, თავისებურად მკაცრი და თან, უპირველეს ყოვლისა, უაღრესად ადამიანური. პირველი ჩვენი შეხვედრაც ძალიან განსაკუთრებული იყო. რომ დამინახა, მაშინვე გადამეხვია, გადამკოცნა და როგორც იქნა ჩამოხვედიო, მითხრა. ასეთმა თბილმა შეხვედრამ მეც და ჩემი მეუღლეც ძალიან აღგვაფრთოვანა. რა თქმა უნდა, დასაწყისში ჟერმონის როლთან დაკავშირებით მე სხვა შეხედულებები მქონდა, მაგრამ მან დამარწმუნა, რომ დღესდღეობით ოპერის ინსცენირების ახლებური სტილით გადაწყვეტა უფრო საინტერესო იქნებოდა. მართლაც არაჩვეულებრივი ნამუშევარი გამოგვივიდა ქრისტინა გალლარდო-დომასთან, მარჩელო ალვარესთან ერთად და მაყურებელმაც ტრიუმფით მიიღო ეს საპრემიერო სპექტაკლი.

**- რამ განაპირობა თქვენი "Deutsche Oper"-ის დასიდან წასვლა?**

- დასიდან წასვლა ჩემმა საერთაშორისო აღიარებამ და მუდმივმა მიწვევებმა განაპირობა.

**- ცნობილია, რომ ოპერის მომღერლები უფრო იტალიისკენ მიილტვიან. თქვენ რატომ აირჩიეთ გერმანია?**

- ასეთივე შეკითხვა ადრე საქართველოშიც დამისვეს - ევროპის რომელ ქვეყანაში ისურვებდით მოღვაწეობასო და არ ვიცი რატომ, მაგრამ ვუთხარი, გერმანიაში-თქო. ალბათ ღმერთის სურვილი იყო და მართლაც, მერე, როდესაც გერმანიაში ჩამოვედი, მივხვდი, რომ ეს ჩემმა შინაგანმა შეგრძნებამ მათქმევინა. აქ არსებული არაჩვეულებრივი წესრიგი, დისციპლინა და შრომისმოყვარეობა, თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, მეც მახასიათებს და ამიტომ გერმანია არის სწორედ ის ქვეყანა, სადაც საქართველოს შემდეგ შემიძლია ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელება.

**- როგორ მოახერხეთ ქართული და გერმანული საოპერო სკოლების შეთანხმება და რამდენად ადვილი იყო თქვენთვის აქაურ ტრადიციებთან შეგუება?**

- საქართველოდან პირველი ბატონი ნოდარი გახლდათ, ვინც საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდან არჩეულ ახალგაზრდებთან ერთად "ლა სკალაში" გადიოდა სტაჟირებას დიდ ტენორ ჯენარო ბარა-კარაჩოვოსთან. შემდეგ იგი მეგობრობდა გამოჩენილ ტენორთან ჯანი რაიმონდისთან, რამაც იტალიურ-ქართული სკოლის განვითარებამდე მიგვიყვანა, მეც სწორედ ჩვენი მაესტროს ეს სკოლა მაქვს გამოვლილი, რასაც ევროპაშიც ყველა აღნიშნავს.

**- გერმანულ ენაზე თუ შეგისრულებიათ რომელიმე პარტია?**

- შევასრულე "ფაუსტი", მეფისტოფელის პარტია და, ასევე, თანამედროვე კომპოზიტორის, დეტლევ გლარნეტის ნაწარმოები "დიდი კაიზერის სარკე". სადაც ორი როლი შევასრულე: 90 წლის პაპი და 35 წლის ფრიდრიხ II ბარბაროსად წოდებული. ეს მართლაც უაღრესად შრომატევადი გამოდგა, მაგრამ ძალიან დადებითად იმოქმედა ჩემზე. გერმანულად ასევე შესრულებული მაქვს ოფენბახის "ჰოფმანის ზღაპრებში" სხვადასხვა სურათებიდან აღებული, ოთხი განსხვავებული ხასიათის ბარიტონის როლი.

**- რაში ხედავთ ყველაზე დიდ სხვაობას ქართველ და გერმანელ საოპერო მომღერალს შორის?**

- ქართული და, ასევე ვიტყოდი, იტალიური სკოლის მომღერლები მღერიან მკერდის ქვედა სუნთქვით, გერმანულ სკოლაში კი უფრო ზედა



ლადო ათანელი "24 საათის" რედაქციაში.

თავის რეზონირებით, რაშიც, რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა.

**- თქვენი აზრით აქაურ მსმენელს უფრო რომელი მოსწონს?**

- მე ვიტყოდი, რომ, ალბათ, გერმანულ რეპერტუარში უფრო გერმანელები, მაგრამ იტალიურ მუსიკას, ძირითადად, იტალიელები და ყოფილი საბჭოთა კავშირის მომღერლები უკეთესად ასრულებენ.

**- თქვენ დღესდღეობით ერთდროულად მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობთ, იქნება ეს ბერლინი, ჰამბურგი, პარიზი, ვენა, ლონდონი, ციურიხი, ნიუ იორკი თუ ვაშინგტონი. ყველაზე მეტად საით მიგიწევთ ხოლმე გული?**

- იქით, სადაც ყოველთვის მაღალი დონეა. ეს გახლავთ ბერლინი, შემდეგ მოდის ლონდონის "კოვენტ გარდენი", "ლა სკალა", "მეტროპოლიტენ ოპერა" ნიუ იორკში და პარიზის ოპერა "ბასტილესი". ამ დიდ თეატრებში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ველოდები შემდგომ გასტროლებს, რადგან იქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი ხელოვნებისთვის და მომღერლისთვის.

**- 27 მარტს კვლავ გქონდათ პრემიერა Deutsche Oper-ის სცენაზე და ამჯერად პუჩინის ოპერაში "გოგონა დასავლეთიდან", შეასრულეთ შერიფის, ჟეკ რენსეს პარტია. ეს ოპერა საკმაოდ იშვიათად იდგმება. Deutsche Oper-აში ბოლოს 1982 წელს იყო პროგრამაში და ახლაც სულ 4 წარმოდგენა იყო დაგეგმილი. ხომ ვერ გვეტყვით რითია ეს განპირობებული?**

- რატომ იყო მხოლოდ ოთხი სპექტაკლი, ამის თქმა ძნელია. ეს დირექციის გადაწყვეტილება იყო. მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ, ალბათ, რაღაც პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ეს ოპერა მართლაც იშვიათად იდგმება, რადგან რთული ნაწარმოებია, მოითხოვს ძალიან დიდ დრამატულ ხმებს. ჯონსონის, ასევე მინის, ქალის პარტიაც საოცრად რთულია. ვერ ვიტყოდი, რომ ბარიტონის პარტია იოლი არის. ძირითადად, რეჩიტატიული პარტიაა, მაგრამ ძალიან დრამატულია და ადვილი არც მისი მსახიობური შესრულებაა.

**- ამ პარტიის შესრულებაზე თქვენ, პირველ რიგში, დირიჟორ ქრისტიან თილემანის გამო დათანხმდით. სხვა შემთხვევაშიც თუ დათანხმდებოდით? რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ამ პარტიის შესრულება?**

- თავიდან, ჩემმა მენეჯერმა როცა შემომთავაზა, მართლაც არ მინდოდა დათანხმება. მოვისმინე ჩანაწერები და მომეჩვენა, რომ ძალიან დრამატული და რეჩიტატიული იყო, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ეს პარტია უფრო ასაკში შესულ ან უფრო სხვა ტიპის ხმას უნდა შეესრულებინა და მე კი ამ პერიოდში ჯერ კიდევ უფრო მოძრავი უნდა ვიყო, უფრო მღერად, მაგალითად, ვერდის რეპერტუარში, მაგრამ ვინაიდან მე მართლაც ძალიან ვაფასებ ბატონ ქრისტიან თილემანს და ასევე ჩემი ბერლინელი მაყურებლის დიდი სიყვარულის გამო, ბოლოს მაინც დავთანხმდი.

**- ყველაზე დიდი სიამოვნებით რომელ დირიჟორთან ერთად მუშაობთ?**

- დავიწყებდი ქრისტიან თილემანით, რომელიც მართლაც არაჩვეულებრივი მუსიკოსია. ის არაჩვეულებრივი პიროვნებაა, რომელიც აფასებს და პატივს სცემს მუსიკოსებს. იგი ყოველთვის ცდილობს, რომ ორკესტრმა არ დაფაროს მომღერლის ხმა. ასევე დიდი სიხარულით ვმუშაობ ბატონ მარჩელო ვიოთისთან. ჩვენ უამრავჯერ შევხვდით ერთმანეთს. ბოლოს მასთან და პლაჩიდო დომინგოსთან ერთად მიუნხენში კომპაქტ დისკზე ჩავწერეთ, ამილ კარე პონკიელლის "ჯოკონდა", სადაც მე ბარნაბას პარტია შევასრულე.

მინდა გამოვყო ახალგაზრდა, ენერგიული, ნიჭიერი და მართლაც არაჩვეულებრივი იტალიელი დირიჟორი, ფაბიო ლუიზი. ასევე, მეტროპოლიტენში მართლაც დაუვიწყარი, დიდი მუსიკოსი, არაჩვეულებრივი, თბილი პიროვნება ჯეიმს ლევაინი. მასთან ერთად ვიმუშავე ნაბუქოს პარტიაზე. იგი მუდამ დიდი სითბოთი და სიყვარულით გვეპყრობოდა. სპექტაკლის წინ ყოველთვის მირეკავდა და წარმატებას მისურვებდა, შესვენებაზე კი - არაჩვეულებრივი იყავიო - მეუბნებოდა და ასე მამხნევებდა. ასევე, რა თქმა უნდა, დიდი მაესტრო რიკარდო მუტი, რომელსაც მაკბეტის პარტიაზე მუშაობის დროს შევხვდი და რომელსაც კიდევ და კიდევ დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი.

**- მომღერლებიდან ვის გამოყოფდით? ვინ არის თქვენი ეტალონი და ვინ მიგაჩნიათ ყველაზე კარგ პარტნიორად?**

- ჩემი იდეალები წინა თაობის, იტალიელი ბარიტონები გახლავთ, მაგალითად, რენატო ბრუზონი და პიერო კაპუჩილი, ასევე, ჯუზეპე ტადეი. ბრუზონს შევხვდი "ლა სკალაში," სადაც ჩვენ ერთ როლზე, მაკბეტის პარტიაზე ვიყავით დაკავებულები, შემდეგ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით ვენაში გასტროლების დროს.

დიდი სურვილი მქონდა შევხვედროდი პიერო კაპუჩილის. საბედნიეროდ, გასული წლის დეკემბერში, ტრიესტში გასტროლებზე საიდანაც თვითონ კაპუჩილია წარმოშობით, "ტოსკას" პრემიერაზე, თეატრმა სიურპრიზი გამიკეთა. სცენაზე გასვლის წინ რადიოში მოვისმინე, რომ სპექტაკლს კაპუჩილი ესწრებოდა და ეს საღამო საერთოდ მას ეძღვნებოდა. სცენაზე რომ გამოვედი, ვეძებდი სად იჯდა და ბოლოს მარჯვენა, პირველ ლოჟაში დავინახე. პირველი განყოფილება, რა თქმა უნდა, მას ვუმღერე. შემდეგ იგი ჩემთან მოვიდა და დიდი მადლობა გადამიხადა ფანტასტიკური სპექტაკლისთვის. ჩემი მენეჯერისთვის კი უთქვამს, ამ ქართველ ბარიტონს ნამდვილი იტალიური სკოლა აქვს გავლილიო.

უცხოელი მომღერლებიდან დავასახელებდი ახალგაზრდა ვარსკვლავ პარტნიორებს მარჩელო ალვარესს, რობერტო ალანიას და სალვატორე ლიჩიტრას. დომინგოსთან ერთად გატარებული წუთები ჩემთვის ნამდვილად განუმეორებელი იყო. ასევე დავასახელებდი ანჯელა გეორგიუს, კეროლ ვანესს და ვიოლეტა ურმანას.

**- თუ არსებობს ისეთი პარტია, რომელიც თქვენი ბარიტონისთვის ყველაზე იდეალურად მიგაჩნიათ და თუ შეგისრულებიათ ეს პარტია? თუ გაქვთ კიდევ ოცნებებად დარჩენილი პარტიები?**

- ძალიან მაინტერესებს როგორ გამომივა მოცარტის "დონ ჯოვანის" პარტია. დანარჩენი, ცნობილი და სახარბიელო პარტიები თითქმის სულ ყველა შევასრულე. ამჟამად ვმუშაობ "დონ კარლოსში" როდრიგოს პარტიაზე. შემდეგ ვაშინგტონში მივიღებ მონაწილეობას ახალ დადგმაში, ეს გახლავთ ვერდის "სიცილიური მწუხრი" და, ასევე, ვერდის "სიმონ ბოკანეგრა".

იდეალურად, ზუსტად შენი ხმისთვის დაწერილი პარტია ძნელად თუ მოიპოვება, მაგრამ თუ გაქვს ვოკალური მონაცემები, მაშინ თავად უნდა მოარგო შენი ხმა და თუ შენს მონაცემებს და ტექნიკას კატასტროფულად არ შეესაბამაბა, რა თქმა უნდა, თავი უნდა დაანებო, მაგრამ მე ასეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია. მე მაინც გამოვყოფდი "მაკბეტს", ასევე დონ კარლოსის პარტიას "ბედის ძალაში", იაგოს პარტიას "ოტელოდან" და ა.შ.

**- საოპერო მომღერლებში არსებობს მოსაზრება, რომ ოპერაში რეჟისორი უფრო მეორეხარისხოვანია, ვიდრე დრამატულ თეატრში. რეჟისორმა რობერტ სტურუამ, რომელმაც ცოტა ხნის წინ დიდ თეატრში დადგა ჩაიკოვსკის "მაზეპა", ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში აღნიშნა - ხანდახან მეც კი ვფიქრობ, რომ რეჟისორი საოპერო თეატრში არ არის საჭირო ფიგურაო. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- არ ვიტყოდი, რომ ასეა, ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრია. კარგი რეჟისორი, რომელმაც კარგად იცის ნაწარმოები, ნამდვილად საჭიროა ოპერაშიც. რადგან, რაც არ უნდა ნიჭიერები იყვნენ შემსრულებლები და თავად დირიჟორიც, კარგი რეჟისორის გარეშე ძლიერი, საერთაშორისო დონის სპექტაკლი, ჩემთვის წარმოუდგენელია. ამიტომ მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები.

**- საოპერო დადგმების გათანამედროვებასთან დაკავშირებით რა აზრის ბრძანდებით? მაგალითად, ბერლინის Komische Oper-აში საერთოდ აღარ არსებობს ტრადიციული დადგმები და ყველაფერი ძალიან თანამედროვე ყოფაში არის გადმოტანილი.**

- სამწუხაროდ, ასეთი დრო მოვიდა და მე ძალიან ვწუხვარ, რომ სწორედ ამ დროში მომიწია მოღვაწეობა. მესმის, რომ კლასიკური დადგმები შეიძლება უკვე მოძველებულია, თუმცა მე არ ვთვლი მათ მოძველებულად. მსახიობი საერთოდ უნდა გარდაიქმნა იმ დადგმაში და უნდა იგრძნო ის დრო, ის მანერა, ის ეპოქა და ყველანაირი ჟესტიკულაცია და მოქმედება უნდა შეითვისო. დღევანდელ ცხოვრებაში, რეჟისორები ორიგინალობენ, მაგრამ არ იციან რა გააკეთონ და ამიტომ ცდილობენ თავისი განვლილი ცხოვრება გადმოიტანონ სცენაზე და შეუსაბამონ სხვადასხვა კომპოზიტორებს, რაც ნამდვილად საშინელებაა. მესმის თანამედროვე დადგმა გააკეთო გემოვნებით, არ დაარღვიო ის, რისი თქმაც კომპოზიტორს უნდოდა. შეიძლება ძალიან პომპეზური არ იყოს დადგმა, მაგრამ უფრო სოლიდურად, აზრის და ისტორიული მომენტების დარღვევის გარეშე გაათანამედროვო.

**- ცნობილია, რომ გერმანელები საოპერო მუსიკის განსაკუთრებული მსმენელები არიან. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას და სად შეგხვედრიათ ყველაზე კარგი მსმენელი?**

- ამ აზრს მეც ვეთანხმები. მე ყოველთვის, ყველა ქვეყანაში კარგად მხვდებიან, დიდი ოვაციებით, მაგრამ იტალიურ, ამერიკულ და, ასევე, ესპანურ მაყურებელში შეიმჩნევა უფრო სუბიექტური გადახრები თავიანთი ქვეყნის მომღერლებისადმი. გერმანიაში და, ასევე, საფრანგეთში მაყურებელი მოდის უფრო მომზადებული, გათვითცნობიერებული და ისინი ძალიან ობიექტურები არიან შეფასებაში. მათთვის არა აქვს მნიშვნელობა რომელი ქვეყნიდანაა მომღერალი. ამიტომ მე ძალიან ვაფასებ გერმანელ მსმენელს და ყოველთვის ძალიან მსიამოვნებს მათთან შეხვედრა.

**- ქართველ მსმენელზე რას იტყოდით?**

- ქართველი მსმენელი ახლოს არის იტალიელ მსმენელთან. რა თქმა უნდა, დიდი გემოვნების, დიდი ტრადიციების და შეფასების დიდი ნიჭის მქონე მსმენელია. ვიტყოდი, რომ ობიექტურები არიან და შეფასებაში ქართველობა დიდ როლს არ თამაშობს. ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართველ მსმენელს და მოუთმენლად ველი კვლავ მათთან შეხვედრას.

**- "შემოდგომის თბილისის" ბოლო ფესტივალზე თქვენ ქართველი მსმენელი ძალიან გაახარეთ თქვენი ჩასვლით. თუ გაქვთ დაგეგმილი ახლო მომავალში კვლავ თქვენს მშობლიურ სცენაზე გამოსვლა?**

- ეს უაღრესად თბილი და არაჩვეულებრივი შეხვედრა იყო ჩემს საყვარელ მსმენელთან. ახლო მომავალში კონკრეტული გეგმები ჯერ არ მაქვს.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ქართულ სცენაზე დგომა და რა ემოციებთან არის ეს დაკავშირებული?**

- ძალიან ძნელია, სიტყვით გადმოვცე ჩემი ემოციები, როდესაც პირველად შევედი თეატრში, სადაც ფეხი ავიდგი. მე შვიდი წლის შემდეგ მართლაც არაჩვეულებრივი შეხვედრა მქონდა. ძალიან ვღელავდი. ქართველი მაყურებლისთვის მინდოდა მეჩვენებინა, თუ რა მოხდა ამ შვიდი წლის განმავლობაში, როგორი გარდაქმნა მოხდა ჩემში. ამ დაუვიწყარ საღამოს ვიგრძენი, რომ ჩემი ქართველი მსმენელი პატივს მცემს და მეც მომავალში ყოველთვის მაქსიმუმს გავაკეთებ ქართველი მაყურებლისთვის.

**- თქვენ გარდა, თბილისის კონსერვატორიაში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი მომღერლები, როგორიცაა პაატა ბურჭულაძე, იანო ალიბეგაშვილი, თამარ ჯავახიშვილი, ბადრი მაისურაძე, ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, რომლებიც დღეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწეობენ. ყველანი რომ დაბრუნდნენ საქართველოში, მაშინ თბილისის ოპერა ნამდვილად ვარსკვლავების თეატრად იქცევა. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამ ოცნების ასრულება და თქვენ თუ აპირებთ პირადად თბილისში დაბრუნებას?**

- რა თქმა უნდა, ეს ვარსკვლავები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ ამშვენებენ და კვლავაც დაამშვენებენ მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენებს. პაატა ბურჭულაძის იუბილე იყო იმის ჩვენების მცდელობა, თუ როგორი არაჩვეულებრივი შეიძლება იყოს ეს თეატრი. რადგან პაატამ თავი მოუყარა ყველა ახალგაზრდა, თუ ჩვენზე უფროსი თაობის ვარსკვლავებს. ასეთ თეატრს წინ ნამდვილად ვერავინ ვერ დაუდგება. მაგრამ, რამდენად შესაძლებელი იქნება ამის განხორციელება, მაგას ვერ გეტყვით. საერთოდ, უკან დაბრუნება დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. გადმოცემით ვიცი, რომ ჩვენს თეატრში ყოველთვის პრობლემებია. უშუქობა, არ არის გათბობა. ეს რა თქმა უნდა, ვოკალური ხელოვნების დაკნინებას იწვევს და ეს იყო ჩემი წამოსვლის მიზეზიც. მე რაც შემეძლო ერთგულად ვემსახურე ჩემს საქართველოს, მაგრამ ბოლოს შევატყვე, რომ წასვლა აუცილებელი იყო. ამაში ცუდი არაფერი არ არის, რადგან მე ვფიქრობ, რომ ამით კიდევ უფრო გავიზარდე. ეს რა თქმა უნდა, საოცნებო ფაქტია და საოცნებო დრო იქნება ჩემთვის, როდესაც ისევ საქართველოში ვიცხოვრებ, სადაც ჩემ საყვარელ ადამიანებთან და კოლეგებთან გავიზიარებ დიდ წარმატებებს და საშუალება გვექნება საქართველოდან ვიმოგზაუროთ სხვადასხვა ქვეყნებში. იმედია, რომ საქართველოში მიმდინარე გარდაქმნები ყველა ამ სურვილს რეალობად გადააქცევს.

**- უცხოეთში მოღვაწე ქართველები ხშირად იცვლიან ან იმოკლებენ გვარს მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელებს უჭირთ ჩვენი გვარების წარმოთქმა. თქვენც შემოკლებული გაქვთ გვარი. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეს? იტალიელი, ესპანელი ან იგივე გერმანელი ხომ არასდროს არ გააკეთებს ამას იმის გამო, რომ, მაგალითად, ქართველი ვერ წარმოთქვამს მის გვარს.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ფსევდონიმის აღება ძალიან მიღებულია მსახიობებში, მაგალითად, მერლინ მონრო, სოფი ლორენი და საერთოდ უამრავი მსახიობი თუ მომღერალი გამოდის ფსევდონიმით. სხვა ქართველ კოლეგებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მე ჩემი გვარის ფუძე შენარჩუნებული მაქვს. მართალია, ბევრს იტალიელი ვგონივარ, მაგრამ მე ყველას ვეუბნები, რომ იტალიელი არა ვარ და იტალიელი რომ ვიყო, მაშინ ათანელი ორი დაიწერებოდა. მე ვერც იმათ გავამტყუნებ ვისაც საერთოდ შეცვლილი აქვთ გვარი, რადგან აქ მართლაც ძალიან უჭირთ ამ გრძელი გვარების წარმოთქმა.

**- მაგრამ თუკი მსმენელს თქვენ უყვარხართ და თქვენს სანახავად და მოსასმენად მოდის თეატრში, მაშინ ის თქვენს გვარსაც ისწავლის და შემდეგ იტალიელი არავის აღარ ეგონებით. რატომ არ უნდა შეეცადოს მაყურებელი, რომ ისწავლოს თქვენი გვარი?**

- მე მომწონს ჩემი შემოკლებული გვარი. მიმაჩნია, რომ კარგად ჟღერს, მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა მომღერლებმა და მსახიობებმა თავიანთი გვარი რომ ატარონ.

**- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- მე ერთ კვირაში მივემგზავრები ლონდონში და "კოვენტ გარდენში" შევასრულებ ვერდის "ტრუბადურში" ლუნას პარტიას. იქიდან მივდივარ ჰამბურგში, სადაც "ოტელოს" არაჩვეულებრივ, ტრადიციულ დადგმაში შევასრულებ იაგოს პარტიას. შემდეგ მივემგზავრები საფრანგეთში და ქალაქ ორანჟის ღია არენაზე, რომელსაც საფრანგეთის "არენა დი ვერონას" ეძახიან, ვერდის "ნაბუქოს" ახალ დადგმაში, შევასრულებ ნაბუქოს პარტიას. შემდეგში კიდევ სხვა უამრავი გეგმა მაქვს და, იმედია, საქართველოსაც მალე ვესტუმრები.

ფეხბურთი

# ორი წლის შემდეგ

ჩეხეთის ნაკრები ევრო 2004-ის ერთ-ერთი ფავორიტია? ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება. მისი თქმით, ჩეხეთის გუნდმა თავისი ფორმის პიკს მხოლოდ 2006 წლის ზაფხულისთვის უნდა მიაღწიოს.

ჩეხებმა იმდენად შთამბეჭდავად განვლეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და გადამწყვეტ შეხვედრაში პრაქტიკულად უპრობლემოდ დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები, რომ ისინი მყისვე აღზევდნენ ძველი კონტინენტის უმთავრესი ტურნირის ფავორიტთა რანგში. პორტუგალიაში, ჯგუფურ ეტაპზე, ჩეხები შეხვდებიან ჰოლანდიას, გერმანიას და ლატვიას. ჯგუფი, რომელშიც ბრიუკნერის გუნდი მოხვდა, მაშინვე "სიკვდილის ჯგუფად" მოინათლა, მაგრამ ჩეხთა მწვრთნელი პროგნოზების გაკეთებისას მხოლოდ ამის გამო არ იჩენს სიფრთხილეს.

"როცა გუნდი ჩავიბარე, ჩემი მიზანი არ ყოფილა, ის მხოლოდ ერთი ტურნირისთვის მომემზადებინა - ევროპის ჩემპიონატი იქნებოდა ეს თუ მსოფლიო პირველობა. მაგალითად, ჩემს განკარგულებაშია 6 ფეხბურთელი, რომელთა ასაკი 30 წელს უახლოვდება. შემდეგ მათ ტომაშ გალაშეკი და ვლადიმირ შმიცერი დავუმატე და მივიღე 8 ასაკოვანი ფეხბურთელი. თუმცა, მიმაჩნია, რომ ამ ფეხბურთელთა ასაკის მიუხედავად, მათი სპორტული ფორმა პიკს მიუახლოვდება 2006 წელს და არა უახლოეს ზაფხულში", - განაცხადა ბრიუკნერმა.

მწვრთნელი, მიუხედავად იმისა, რომ მისგან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშის წარმოჩენას ელოდნენ, აპირებს, გუნდში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება მოახდინოს.

"ფეხბურთელთა გამოცდის ეტაპი უკვე გავიარეთ. გუნდის შემადგენლობა სტაბილურია და ჩვენგან ექსპერიმენტებს არ უნდა ელოდნენ. მე მყავს ძირითადი შემადგენლობის 12 ფეხბურთელი, რომლებიც მყარად დამკვიდრდნენ 11 პოზიციაზე. ხანდახან გულიც კი მწყდება, რომ ფეხბურთს 12 კაცი არ თამაშობს. ასე რომ იყოს, 12-ვე ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდა".

მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის ნაკრები საკმაოდ სტაბილური გუნდია, მწვრთნელი მაინც ემიჯნება იმ ოპტიმისტებს, რომლებიც გუნდისგან 1976 წლის წარმატების გამეორებას მოელიან. მაშინ ჩეხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ნაკრებმა, ყველასთვის მოულოდნელად, ევროპის ჩემპიონატი მოიგო. "არ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოვახერხეთ ჰოლანდიის ძლევა, ფინალურ ეტაპზეც იგივეს გავაკეთებთ. ფეხბურთში ძალთა თანაფარდობა მუდმივად იცვლება. მაშინ ჩვენ უფრო ძლიერნი ვიყავით. ახლა კი უპირატესობა შეიძლება ნარინჯისფერთა მხარეზე იყოს. პირადად ჩემთვის ნათელია, რომ ევროპის ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად ჰოლანდიის ნაკრების ძალა იზრდება.

რაც შეეხება გერმანელთა განადგურებას რუმინეთში (1:5), არც ამით დავიმშვიდებდი თავს. გერმანელებს ყოველთვის აქვთ პრობლემები შესარჩევ ტურნირებში თუ ამ ტურნირებისთვის მზადების პროცესში. ხანდახან ისინი არცთუ ძლიერ გუნდებთან მარცხდებიან, მაგრამ ფინალურ ეტაპებზე მუდმივად გარდაიქმნებიან ხოლმე", - დაასკვნის ბრიუკნერი.

# ერთიც საკმარისია

საბერძნეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოტო რეჰაგელს მიაჩნია, რომ მისი გუნდისთვის ევროპის ჩემპიონატზე ერთი გამარჯვებაც კი საკმარისი იქნება და ეს მიღწევა ბერძნებს წარმატებად ჩაეთვლებათ.



რეჰაგელს მხოლოდ ერთი მატჩის მოგების იმედი აქვს.

ორი ფიასკოს შემდეგ, რომლებიც ბერძნებმა ევროპისა (1980) და მსოფლიო (1994) ჩემპიონატებზე განიცადეს, ისინი იმედოვნებენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამჯერად მაინც მოახერხებენ ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულ გამოსვლას და ბერძნულ ფეხბურთს ევროპის თვალში დადებითი კუთხით წარმოაჩენენ.

საბერძნეთის ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფში პორტუგალიას, ესპანეთსა და რუსეთს შეხვდება. ოტო რეჰაგელი დარწმუნებულია, რომ ერთი გამარჯვებაც კი ლოგიკური დასასრული იქნება ორწლიანი მუშაობისა, რომელიც გერმანელმა სპეციალისტმა ბერძნებს შეალია. იგი იმედოვნებს, რომ გუნდი მოახერხებს ამ გამარჯვების მოპოვებას და ეს იქნება დამატებითი სტიმული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის, რომელიც შემოდგომაზე იწყება. "ჩვენ არ ვართ ფავორიტები. ეს ყველასთვის გასაგებია, - ამბობს რეჰაგელი, - თუმცა, პორტუგალიაში იმისთვის არ მივდივართ, რომ ყველა მეტოქესთან დავმარცხდეთ. თუ ერთ მატჩს მაინც მოვიგებთ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წარმატებას მივაღწიეთ".

ბერძნები ჯგუფურ ტურნირში 12 ივნისს პორტუგალიასთან მატჩით აიღებენ სტარტს. "პორტუგალია, როგორც მასპინძელი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ფავორიტია. ესპანეთიც ძალიან კარგი გუნდია. რუსეთიც ყოველთვის კარგ ფეხბურთს თამაშობს", - აღნიშნა ოტო რეჰაგელმა. ამის მიუხედავად, ნათელია, რომ რეჰაგელს სწორედ რუსეთთან გამარჯვების იმედი აქვს.

ბერძნები მიიჩნევენ, რომ პორტუგალიის ნაკრებთან ჭიდილი არაფრის მომცემია, ხოლო ესპანელები შეეცდებიან, შესარჩევ ტურნირში დამარცხების გამო რევანში აიღონ. ამ შემთხვევაში ერთადერთ იმედად ბერძნებისთვის ისევ რუსეთის ნაკრები რჩება.

ოტო რეჰაგელის (საბერძნეთში მას მეტსახელად "მეფე ოტო" შეარქვეს) სამწვრთნელო კარიერა 1970-იან წლებს ემთხვევა. 1980-იანი წლების ბოლოს კი დაიწყო მისი 14-წლიანი ეპოპეა ბრემენის "ვერდერში". მისი ხელმძღვანელობით მანამდე სუსტი ბრემენული კლუბი გერმანიის ერთ-ერთ წამყვან გუნდად მოგვევლინა. გუნდმა ორჯერ მოიგო ბუნდესლიგის პირველობა (1988, 1993 წწ.), ორჯერ დაეუფლა გერმანიის თასს (1991, 1994 წწ.), ხოლო 1992 წელს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

"მეფე ოტოს" იოლი გზა არასოდეს ხიბლავდა. მალე, მიუხედავად იმისა, რომ უეფას თასზე მიუნხენის "ბაიერნი" დაამარცხა, ის გუნდიდან გაათავისუფლეს. რეჰაგელმა გადაწყვიტა, ეროვნულ ნაკრებში მოესინჯა ძალები. მან აქცენტი გააკეთა არა ხმაურიან, არამედ უტიტულო გუნდზე. შედეგად, საბერძნეთის ნაკრები, მეორედ თავისი არსებობის ისტორიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

შესარჩევ ეტაპზე ორი მარცხის შემდეგ დაიწყეს საუბარი გერმანელი სპეციალისტის გათავისუფლებაზე. თუმცა, "მეფე ოტო" არ გატყდა. საბერძნეთის ნაკრებმა 15-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო და პორტუგალიის საგზური დაიჯავშნა.

"ვიყოთ აუტსაიდერები, მაგრამ ჩვენ პორტუგალიაში გავემგზავრებით, რათა ყველას დავანახოთ, რომ ფინალურ ეტაპზე ტყუილად არ გაგვიღწევია. თუ გაგვიმართლებს და ჩვენი ფეხბურთელები სერიოზულ ტრავმებს არ მიიღებენ, პორტუგალიაში შესანიშნავ ფეხბურთს ვაჩვენებთ, ხოლო თუ მოვახერხებთ და შეცდომების რიცხვს მინიმუმამდე შევამცირებთ, მაშინ ნამდვილი შოუს ავტორები გავხდებით. - გეგმები გაამხილა რეჰაგელმა. - ჩვენ გვინდა, შევათამაშოთ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც მომავალში ეროვნული ნაკრების ხერხემალი გახდებიან. ჩვენ ფეხბურთელთა ახალი თაობა გვეზრდება. მათი გამოცდილება ევროპის ჩემპიონატზე ფასდაუდებელი იქნება 2006 წლის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ეტაპის მზადების პროცესში, რომელიც სექტემბერში აიღებს სტარტს".

# აილტონს "ვერდერთან" დამშვიდობება უჭირს

*ის ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშეა და აქამდე გატანილი 27 გოლით ბრემენის "ვერდერის" დიდი წარმატების გარანტია. გონსალვეშ და სილვა - მოკლედ კი აილტონი. "მე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გავხდები", - ამბობს 30 წლის ბრაზილიელი, რომელიც ამ სეზონის დასრულების შემდეგ ლევან კობიაშვილის თანაგუნდელი გახდება გელზენკირხენის "შალკეში". მანამდე კი აილტონი "ვერდერთან" ერთად მიღწეულ ჩემპიონობაზე, ამ გამარჯვების შემდეგ ქეიფებსა და თავის გეგმებზე საუბრობს...*



*მიმდინარე წლის 8 მაისი - აილტონი გერმანიის ჩემპიონია.*

**- როგორ აღნიშნეთ გერმანიის ჩემპიონობა?**

- უკანასკნელი 48 საათი მეტად დაძაბული იყო, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან ლამაზიც. ჩვენ ბევრს ვმღეროდით, შამპანურს და ლუდს ვსვამდით - შესანიშნავი ქეიფი გვქონდა.

**- რომელი ეპიზოდი იყო თქვენთვის ყველაზე შესანიშნავი?**

- ყველაზე ლამაზი ჩვენი გულშემატკივრების მიერ აეროპორტში მოწყობილი დახვედრა იყო. ამან, მართლაც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

**- როდესაც "ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩი დასრულდა, ბავშვივით ტიროდით. რატომ?**

- ამ დროს უამრავმა რამემ გამიელვა თავში. ბრემენში გატარებული ხუთი წელი, მთელი თავისი წარმატებებითა და ჩავარდნებით. ყველაზე ბევრს კი ჩემს გარდაცვლილ დედასა და ძმაზე ვფიქრობდი, იმათზე, ვინც ყველაზე მეტად მიჭერდა მხარს. ცრემლების შეკავება ნამდვილად არ შემეძლო.

**- ამ დროს შენ თომას შააფი და კლაუს ალოფსი გაწყნარებდნენ. მწვრთნელთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოგიყალიბდათ?**

- დიახ, ამის თქმა ნამდვილად შეიძლება. ეს ყველაფერი მამაშვილის ურთიერთობას მაგონებს. ხანდახან ეს ურთიერთობა ზღაპარს ჰგავს, თუმცა, ზოგჯერ ვკამათობთ კიდეც.

**- რა არის განსაკუთრებული ამ ურთიერთობაში?**

- ფელიქს მაგატთან გატარებული მძიმე დროის შემდეგ, თომას შააფმა კვლავ მომცა თამაშის შანსი, მე კი მას ჩემი გოლებით გადავუხადე მადლობა. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ერთმანეთის იმედი. შააფთან ერთად მომავალშიც სიამოვნებით ვიმუშავებდი.

**- ცოტა ხანში იუპ ჰაინკესთან ერთად მოგიწევთ "შალკეში" მუშაობა. ბრემენთან გამომშვიდობება ძალიან გტკენთ გულს?**

- ცხადია, გული ძალიან მწყდება. "ვერდერი" ახლა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ისეთი გუნდების წინააღმდეგ, როგორებიც "არსენალი", "რეალი" ან კიდევ "ბარსელონა" არიან. მაგრამ ჩემი წასვლის საკითხი კარგა ხნის წინათ გადაწყდა. მომავალ სეზონში უნდა შევეცადო, რომ მსგავსი წარმატება "შალკეს" რიგებშიც გავიმეორო.

**- დარჩენილ მატჩებში კიდევ რა გეგმები გაქვთ "ვერდერთან" ერთად?**

- გერმანიის ჩემპიონი უკვე გავხდი. ახლა მინდა, რომ გერმანიის თასი მოვიპოვო და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გავხდე. ვინ იცის, იქნებ ევროპის საუკეთესო მეგოლეც გავხდე.

**- ეს რეალური მიზანია?**

- არსენალელ ტიერი ანრის ხომ მხოლოდ ორი გოლით ჩამოვრჩები. გარდა ამისა, ეს ფანტასტიკური დამშვიდობება იქნება "ვერდერთან"!

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 12 მაისი

**НТВ + ФУТБОЛ**

07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1986. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "MILWAUKEE BUCKS" - "PHILADELPHIA 76 ERS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
13:45 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სანტოსი" (ბრაზილია) - "ელდეუ კიტო" (ეკვადორი). საპასუხო მატჩი
15:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:20 თავისუფალი დარტყმა
16:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:35 "FUTBOL MUNDIAL"
18:05 "პოსტსკრიპტუმი"
18:35 "დარტყმა გოლისთვის"
18:50 რუსეთის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. "კრილია სოვეტოვ" - "ტორპედო მეტალურგი". საპასუხო მატჩი
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "სანტოსი" (ბრაზილია) - "ელდეუ კიტო" (ეკვადორი). საპასუხო მატჩი
22:55 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "შინიკი" - "ტერეკი". საპასუხო მატჩი. შესვენებისას (23:45) - თავისუფალი დარტყმა
00:50 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**

10:40, 14:00, 17:10, 22:30 პრესცენტრი
10:55, 22:45 "ოლიმპის შვილები"
11:00 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. ტაივანი - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
12:30, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
12:50 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
14:35 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "SAN JOSE SHARKS" - "CALGARY FLAMES". მეორე მატჩი
16:45 "ვარსკვლავური სამშაბათი"
17:45 "NHL - პლუს"
18:00 კარატე. ევროპის ჩემპიონატი. დღე მეორე
19:30 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იაპონიაში. ქალები. ტაივანი - რუსეთი. შესვენებისას (20:00) - პრესცენტრი
21:00 "ათენის გზაზე`
22:00 "Power week - NHL-ის კვირა"
22:50 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი. "SAN JOSE SHARKS" - "CALGARY FLAMES". მე-2 მატჩი

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ევროპლანეტა
12:00 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
14:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
14:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
15:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
19:00 ველორბოლები. იტალიის ტური
20:30 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში
22:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის საფრანგეთში
00:15 ცურვა. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში






კალათბურთი

# "ბასკომ" მოგებით დაიწყო

პაატა თოთაძე

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. პირველი მატჩი

**ბასკო (ბათუმი) - დინამო (თბილისი) 66:61**

*ანგარიში სერიაში 1:0*

ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, ფინალი სამ მოგებამდეა, მაგრამ ლამის ორი თვის უვარჯიშებელი გუნდისგან "დინამოს" ძლევა, რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელი იყო. აჭარაში დატრიალებული ამბების გამო "ბასკო" თბილისშია გადმობარგებული და სრულფასოვან წვრთნას ვერ გადის. უმთავრესი მიზეზი ეს იყო, სტუ-ჯეოსელმა თავის დროზე პლეი-ოფში სათამაშოდ "დინამოს" რომ აარიდა თავი და, იმდენი ქნა, "ბასკოს" გადაეყარა. რა მოიგო ამით, გასულ კვირას გამოჩნდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალი მოიგო, გულშემატკივართა უმეტესობა მაინც არ ელოდა, რომ ბათუმელები ჩემპიონს დაამარცხებდნენ.



*"ბასკომ" პირველ გამარჯვებას მიაღწია.*

ნახევარფინალების მსგავსად, ჯერჯერობით ფინალშიც მასპინძელი იმარჯვებს. მართალია, ბათუმელები თბილისში თამაშობენ, მაგრამ მასპინძლებად გუშინდელ მატჩში ისინი ითვლებოდნენ. ასე იქნება დღესაც. ამის გათვალისწინებით, პირველი წუთები სტუმრის, "დინამოს" უპირატესობით წარიმართა და მეოთხედიც მან მოიგო - 13:15. მეორე მეოთხედში ვითარება შეიცვალა, ბათუმელები გააქტიურდნენ, რამაც მალევე გამოიღო შედეგი - მეხუთე წუთისთვის ისინი უკვე ოთხი ქულის სხვაობით იგებდნენ. სხვაობამ ანგარიშში ცოტა ხანში შვიდ ქულასაც მიაღწია, თუმცა, მეოთხედის მიწურულს "დინამომ" ერთწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოიგო და ანგარიშიც გაათანაბრა.

ამის შემდეგ ჩემპიონმა კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში. ეს მესამე მეოთხედის დასაწყისში მოხდა. ეს იყო და ეს. მეტის გაკეთება ბრაიკოვიჩის შეგირდებმა ვერ მოახერხეს. დროის დარჩენილ მონაკვეთში ბათუმელები უკეთ გამოიყურებოდნენ და დამსახურებულადაც მოიგეს პირველი შეხვედრა. მესამე მეოთხედში ბათუმელთა შავკანიანმა როდუმტამ გაახალისა მაყურებელი, როცა ჯერ მუშკუდიანს, შემდეგ კი მინაშვილს დაუფარა. აფრიკელმა ამის შემდეგაც რამდენჯერმე გამოიჩინა თავი, რამაც განაპირობა ის, რომ მესამე მეოთხედი ბათუმელებმა მოიგეს. დასკვნით მეოთხედში ივაჟკაცა კეშელავამ, რომელმაც თავისი 11 ქულიდან უმეტესობა ბოლო მეოთხედში მოიპოვა.

ჩვენი ჩემპიონატის მატჩებში უსიამოვნო ტრადიციად იქცა ლანძღვაგინება და აყალმაყალი. კალათბურთელთა შორის გუშინ ამის მაგვარი არაფერი მომხდარა, თუმცა, ამჯერად მაყურებელმა გამოიჩინა თავი. ჯერ როდუმტას მიაყენა შეურაცხყოფა, მერე კი მატჩის არბიტრს, ზაზა მაჩალაძეს მიდგა. იმანაც უკან არ დაიხია და... საქმეში ჩარევა მოუხდა ფედერაციის პრეზიდენტს, ბესიკ ლიპარტელიანს, რომელმაც გულშემატკივრის დაწყნარება იკისრა.

"დიდი მადლობა ყველას, ვინც დღეს "ბასკოს" გულშემატკივრობდა. კარგა ხანია, ნორმალურად არ გვივარჯიშია და ამ გუნდისგან ასეთი შედეგი გმირობის ტოლფასია. ჩვენ შეიძლება მომავალ მატჩებში დავმარცხდეთ, ფინალური სერიაც დავთმოთ, მაგრამ ეს ბიჭები უკვე ჩემპიონები არიან. გუშინდელ ვარჯიშზე მხოლოდ ექვსნი ვიყავით, დანარჩენები დღეს შემოგვიერთდნენ ბათუმიდან. აი, ასეთ პირობებში გვიწევს მუშაობა, ამდენად, ასეთი შედეგის მიღწევა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გმირობაა. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ის მონდომებისა და სწორი ტაქტიკური თამაშის წყალობით მოვიგეთ", - მატჩის შემდეგ განაცხადა "ბასკოს" მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა.

ტაქტიკურად ბათუმელებმა, მართლაც, უკეთ ითამაშეს. არც ფიზიკურ მომზადებასა და სისწრაფეში დაუდეს ტოლი მეტოქეს.

სერიის მეორე მატჩი დღეს გაიმართება. თუ ბათუმელები ამჯერადაც მოახერხებენ გამარჯვებას, ვინ იცის, ერთწლიანი შესვენების შემდეგ იქნებ ჩემპიონის ტიტულიც დაიბრუნონ. ამისთვის ერთი მატჩის მოგება იქნება საჭირო. ყველაზე მეტად კი სწორედ იმ ერთი, გადამწყვეტი ბრძოლის მოგება ჭირს ხოლმე, თუმცა, იმ ერთი მატჩის მოსაგებად ყველა თამაშობს...

კალათბურთი

# პერსპექტიული, გამოუცდელი ცქიტიშვილი

## რას ამბობენ ცქიტიშვილზე ამერიკაში და რას ამბობს თავად საკუთარ თავზე

პაატა თოთაძე

ზაზა ფაჩულიას შემდეგ საქართველოს NBA-ში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი, ნიკა ცქიტიშვილი ეწვია. კალათბურთის ფედერაციამ ტრადიციას არ უღალატა და კალათბურთელი მედიის წარმომადგენლებს სპორტ-კაფეში შეახვედრა.

- ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები აქ. ალბათ, ორი კვირა, შემდეგ იტალიაში წავალ, იქიდან კი - სლოვენიაში. ბოისას ქორწილი აქვს და მე მეჯვარე ვარ...

- მეოთხე წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. ბუნებრივია, რაღაცები შეცვლილა, თუმცა, საქართველო მაინც ისევ ისაა, რაც იყო...

- იმის მიზეზი, რომ "დენვერში" არ ვთამაშობ, მწვრთნელია. ცუდად არ არის განწყობილი ჩემს მიმართ, თუმცა, მეუბნება, დიდხანს თამაში შენთვის ჯერ ადრეა, გამოცდილება გაკლია პლეი-ოფში სათამაშოდო. კლუბის მენეჯერის თქმით, ეს მწვრთნელი იმიტომ აიყვანეს, რომ ახალგაზრდები გაეზარდა, მან კი ისევ ძველებზე გააკეთა აქცენტი. ამის გამო, შესაძლოა, გაუშვან კიდეც. ზაფხულში ძალიან ბევრი ვივარჯიშე, სეზონის წინ კარგ ფორმაში ვიყავი და პრეტენზიაც მქონდა თამაშზე...

- საზაფხულო ლიგაში წლეულსაც ვითამაშებ. ლამის მთელი სეზონი გამიცდა და სათამაშო პრაქტიკა მაკლია. კლუბის ხელმძღვანელობამაც მომიწონა ასეთი გადაწყვეტილება...

- თავდაპირველად, როცა მოედანზე არ გავდიოდი, გულშემატკივარი ითხოვდა ჩემს გამოყვანას. შემდეგ, როცა დიდხანს არ თამაშობ, გულშემატკივარსაც უჩნდება ეჭვი, თავად შენში ხომ არაა პრობლემა. მას ჰგონია, რომ ვარჯიშზე ბოლომდე არ იხარჯები, ზარმაცობ და ათასი სხვა...

- თავიდან, როცა ამერიკაში ჩავედი, სუსტი ვიყავი. ახლა უკვე 15 კილოგრამით მძიმე ვარ, ძალაც მომემატა. ჯერ 3 ნომრად მათამაშებდნენ, შემდეგ 4-ზე გადამიყვანეს. საერთოდ, ამოწეული 4-ის თამაში მირჩევნია, თუმცა, არც 3 ნომრად თამაშია პრობლემა. ამ ამპლუაშიც კარგად ვგრძნობ თავს...

- დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები გვყავს ქართული კალათბურთის ისტორიაში. სამი კაცი NBA-ში თამაშობს, რამდენიმე - ევროპის წამყვან ლიგაში. ასეთი შემადგენლობით, მერწმუნეთ, ბევრი ევროპული ნაკრებიც ვერ დაიკვეხნის. მოკლედ, კარგი კალათბურთელები გვყავს და, შესაბამისად, ნაკრებიც კარგი გვეყოლება. ნაკრების მწვრთნელს მცირე ხნით ჩამოსვლისთანავე შევხვდი. ახლა კიდევ შევხვდები და ყველაფერზე დეტალურად ვისაუბრებთ - ნაკრებზე, მიზნებზე და ამგვარებზე. რაც მთავარია, კარგი განწყობა გვაქვს. მთავარია, ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს...


ცქიტიშვილს საქართველოს ნაკრების სჭერა.

ველოსპორტი

# პონტრემოლიდან გწერთ, ბიჭებო!

ირაკლი ბერიაშვილი

ვერ ვიტან ამ თარჯიმნებს. თუმცა, ამათ რას ვერჩი. თავის დროზე ჩემს მშობლებს ქართულთან ერთად იტალიური და ერთი-ორი ენაც რომ ესწავლებინათ, ახლა ამ დედაკაცის ანაბარა ხომ არ ვიქნებოდი! მიდი ახლა და ყოველ წვრილმანზე, ის ვინ არის, ის რას ამბობს, ჰკითხე და თუ მშვიდად და დალაგებით გიპასუხა, კიდევ არა უშავს რა. ველოსიპედზე უფრო ლუდი აინტერესებს, იმიტომაც აქვს ეგეთი თეძოები - სამ ველოსიპედზე ვერ დაეტევა.

ახლა კორნოს ძირში ვართ. ერთი კია - წესიერად იქცევა. აკი გითხარით, ამქვეყნად ლუდის გარდა არაფერი აინტერესებს-მეთქი. წესიერად კი იქცევა, მაგრამ რად გინდა, მესამე დღეა პელოტონს დავდევთ და ერთი წესიერი მასალა არ გადამიცია რედაქტორისთვის. ისე, მეც რა მანერვიულებს - როგორც მიხდის, მეც ისე ვმუშაობ.

დილით, პონტრემოლიდან გამოვედით თუ არა, უცნაურმა წინათგრძნობამ შემიპყრო. არა, ეგეთი რამეები არ მემართება - ხატებიდან ზეთის დენისა და გამოცხადებებისა არ მჯერა და როცა მსგავს რაღაცებს გავიგონებ, მართალი გითხრათ, კარგ გუნებაზე ვდგები. მე სხვა წინათგრძნობაზე ვამბობ.

ახლა ამ "ჯიროზე" ამბობენ, სუსტი შემადგენლობისააო. ვერაფერს იტყვი, მართლები არიან. არ არის არმსტრონგი, არ არის ულრიხი, არ არიან ახალგაზრდა ესპანელები სევილა და მანსებო. რაც მთავარია, აღარ არის ჩემი ჯილა პანტანი... "ჯიროს" მთავარი ჯილდოსთვის, ალბათ, ისევ სიმონი და გარძელი დაეჯახებიან. თუმცა, ვინ იცის. წინათგრძნობა რომ ვახსენე, იმას ვგულისხმობდი, რომ ყოველ წუთს შეიძლება გამოხტეს ახალი მერქსი, ჯიმონდი ან ფაუსტო კოპი. მე კი რატომღაც მგონია, რომ სწორედ ამ "ჯიროზე" მოხდება ეს სასწაული. ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფრანგი და იტალიელია გუნდებში. დავიჯერო, ერთი მაინც ვერ ივარგებს?

- რამდენი დარჩა პელოტონს აღმართის ძირამდე, ესე იგი, იქამდე, სადაც ჩვენ ვდგავართ-მეთქი.

როგორც იქნა, გავაგებინე. აი, იქ კონტროლიორი დგას და იმას ვკითხავო. არა, ნუ ჰკითხავ-მეთქი. ვიცი, მომცილდება თუ არა, იმ კითხვა-გამოკითხვაში ერთ-ორ ბოთლსაც ზედ მიაყოლებს. მერე ველომრბოლები კი არა, შეიძლება მეც ველარ მიცნოს.

- რამდენი გაქვს ხელფასი, ეგრე წამდაუწუმ ლუდს რომ მიირთმევ-მეთქი?

- იმაზე მეტი, შენ და კიდევ ხუთ შენნაირს რომ გაქვთო. თუ ყელი გიშრება, შემიძლია დაგპატიჟო.

- არ მინდა. ჯობს, ცოტა განზე გადგე, გზას ნუ მიფარავ-მეთქი.

დღეს პირველი მთის ეტაპია. ესე იგი, თეთრისა და შავის კონტურები დღეს უნდა გამოჩნდეს. ხომ იცით, როგორია ამ მრავალდღიანების - "ჯიროს", "ტურ დე ფრანსისა" და "ვუელტას" საქმე, თუ მთებში არ ვარგიხარ, ჯობს, ისევ ერთდღიან ეტაპებზე სცადო ბედი, ანდა სულაც ცირკში - დათვებთან ერთად.

ახლა ჩემი რედაქტორი ზის და შედევრს ელოდება. თვითონ ამ ველოსპორტისა არაფერი გაეგება და ჰგონია, ჩემზეა დამოკიდებული კარგი და ცუდი წერილი. ისე, ბიჭად კაი ბიჭია, მაგრამ რად გინდა, ხელფასს ეგ არ იძლევა და ოქრო რომ დაუწერო, ერთ მადლობას არ იტყვის. არა, უჟმური არ არის, მაგრამ, რა ვიცი, ხომ არიან ეგეთი ტიპები...

პროლოგი, ესე იგი, მოთელვასავით რომ დავარქვათ, ისეთი რამეა, სულ 7 კილომეტრი, ავსტრალიელმა მაკ ჯიმ მოიგო. ეს პროლოგი საერთო დროში კი ითვლება, მაგრამ, მართალი გითხრათ, არც ორგანიზატორები და არც ველომრბოლები ეტაპადაც არ თვლიან. პირველი ეტაპი გუშინწინ იყო. გუშინ მეორე მოეწყო - ესეც, ისე რა, ვაკეზე. აქ გამარჯვება მარტო იმას ნიშნავს, რომ ან შემთხვევით გაგიგორდა, ანდა კარგი სპრინტერი ხარ. ეს არის და ეს. აი, დღეს სულ სხვა საქმეა. ეტაპი აღმართით თავდება. უცებ წარმოვიდგინე, რომ ეს ოცკილომეტრიანი აღმართი ამ ჩემს თარჯიმანსაც აქვს ასავლელი და ისევ კარგ გუნებაზე დავდექი.

ისე, ხანდახან მგონია, რომ ეს ყველაფერი ტყუილი შრომაა. საქართველოში სულ ორი-სამი კაცი ვიცი, ველოსპორტი რომ აინტერესებს. არადა, რა მთიანი ეტაპების მოწყობა შეიძლებოდა! აი, იქიდან რომ მოვყვეთ, კახეთიდან, გომბორი, მერე აქეთ დუშეთის მიდამოები, ჯვრის უღელტეხილი, ბორჯომის ხეობა, ახალქალაქის გადასასვლელი, სურამის ქედი... ეეჰ, გზებს რა ვუთხარი, თორემ მთელ ევროპაში იტალიელების, ესპანელებისა და ფრანგების გარდა, ნორმალური მრავალდღიანის გამართვა არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია. ეს სამიც ორად ორ ადგილს - ალპებსა და პირენეებს მისჩერებია. თვითონ შვეიცარიას სერიოზული ტურის გამართვის უფლებას არ აძლევენ, იმისი გზებითა და უღელტეხილებით კი სარგებლობენ!

მოიცა, რა ერქმეოდა ჩვენს მრავალდღიანს? - ვოცნებობ რაღა! - თუმცა, რას ვკითხულობ. რა ერქმეოდა და რაც სხვებს ჰქვია. "ჯიროც", "ტურიცა" და "ვუელტაც" თავთავიანთ ენებზე ხომ "წრეს" ნიშნავს. მოვხაზავდით ჩვენც ამ წრეს კახეთიდან აჭარამდე და "ქართული წრეც" მზად იქნებოდა. თუმცა, რას ვოცნებობ, ჟურნალისტებისთვის ხელფასი ვერ გადაუხდიათ, ესენი "ქართული წრის" მომწყობები არიან?!

სხედან ახლა ჩვენი ბიჭები რედაქციაში. აქეთ ბიძინას უშრება ყელი - ისეთიც აღარავინ დარჩა, ფული ესესხო კაცმა - იქით საკომპიუტეროში წუწუნებენ. ეს სანდრიკაც, საქმე როა, მაშინ დაიკარგება ხოლმე. კახა ნერვიულობს - წერილის მაგივრად თვითონ ხომ არ ჩაჯდება გვერდში!

ისე, მართალი გითხრათ, ამ სქელტრაკასთან დგომას ისევ იქ მირჩევნია. თუ ახალი არავინ გამოჩნდა, ველოსპორტზე დამწერი აღარ ვარ. ისევ ზურაბ ჟვანიასა და ჩვენი წმიდა სინოდის კრიტიკა ჯობს. ჯერ ერთი, ამოდენა გზაზე დევნა არ გჭირდება, არც ახალი ვარსკვლავის მოლოდინში ამოგიღამდება თვალები - პარლამენტიდან მოყოლებული, ცეკას ყოფილი ქაჯეთის ციხის ჩათვლით, სულ ვარსკვლავები არიან. ერთია ცუდი - ამ ჩვენს ტელეარხებს რომ უყურებ, განსაკუთრებით კი თუ უსმენ, ქართულს დაგავიწყებენ. აი, პრობლემა მაშინ ნახე - იტალიური, ინგლისური და ფრანგული ხომ არ ვიცი, ქართულიც ჭირად გამიხდება - ვის რა გავაგებინო?!

ისე, მაინც შინ ყოფნა ჯობს. ჯანგოს ხმას მაინც გავიგონებ.

არა, ახალგაზრდა ქალს რომ ჯანგოს დაარქმევ, თან ისეთ ქალს, იმის ლაპარაკზე სულ ჟრუანტელი რომ გივლის კაცს, ნამუსი არ არის? არ ვიცი, მარტო მე მომდის ასე თუ ყველა ეგრე გრძნობს - უსმენ და შენს წინ, ალი კვალი, კარმენია! არც მეტი, არც ნაკლები.

არა, ძმაო, სოსოსი არ იყოს, შინ მინდა. ამ პელოტონსაც აღარ დაადგა საშველი. ეს ჩემი მეგზურია თუ თარჯიმანი, ისევ კონტროლიორისკენ იხედება. გაძრომა უნდა, რა! ან ქმარი არა ჰყავს, ან შვილი, ამ გზებზე აღმა-დაღმა რომ დაყიალობს? რა ენაღვლება რა, გზის ფული შემოელევა თუ ყელის გასასველებელი...

მორჩა. წავალ სასტუმროში და იქ ტელევიზორით ვუყურებ, როგორ დაფლეთენ ერთმანეთს აღმართზე. ჩემი რეპორტაჟიც ზუსტად იმ დონისა და იმის შესატყვისი იქნება, როგორც ჩემს "უფროსებს" ვუღირვარ.

**მინაწერი:** სიტყვა "ვირტუალური" კარგი სიტყვაა. ამ სიტყვისა და დღევანდელი ტექნიკის, უფრო ზუსტად, კომპიუტერის საშუალებით ლამის სექსუალური აქტის ჩატარება გახდა შესაძლებელი. "ვირტუალური" კი ჰქვია, მაგრამ რეალურთან ისეა მიახლოებული, რომ დანამდვილებით მეც ვერ გეტყვით, ახლა მართლა პონტრემოლის გზაზე ვიდექი იმ იტალიელ დედაკაცთან ერთად და იქიდან "გელაპარაკებოდით" თუ ეს ყველაფერი "ვირტუალური" ფოკუსი იყო და ამ ცოდვილ ვაჟა-ფშაველას პროსპექტს არც კი გავცილებივარ. ასეა თუ ისე, იმაში, რაც "ჯიროსა" და ჩვენი რედაქციის ამბებს შეეხება, მისხალი ტყუილი არ ურევია. და მაინც. უფრო მგონია, რომ თბილისს ნაბიჯითაც არ გავცილებივარ - ეგეთი მივლინების სახსრების ამოქაჩვა ჩვენი ბუღალტრის ჯიბიდან არც ისე იოლი საქმეა.

| რბოლების განრიგი | | | |
|---|---|---|---|
| პროლოგი | 8 მაისი | ჯენოვა, ინდივიდუალური რბოლა | 7 კმ. |
| 1 ეტაპი | 9 მაისი | ჯენოვა - ალბა | 143 კმ. |
| 2 ეტაპი | 10 მაისი | ნოვი ლიგურე - პონტრემოლი | 184 კმ. |
| 3 ეტაპი | 11 მაისი | პონტრემოლი - კორნო ალე სკალე | 191 კმ. |
| 4 ეტაპი | 12 მაისი | პორეტა ტერმე - დი კიანა | 184 კმ. |
| 5 ეტაპი | 13 მაისი | დი კიანა - სპოლეტო | 177 კმ. |
| 6 ეტაპი | 14 მაისი | სპოლეტო - ვალმონტონე | 164 კმ. |
| 7 ეტაპი | 15 მაისი | ფროზინონე - მონტევერჯინე | 214 კმ. |
| 8 ეტაპი | 16 მაისი | ჯიფონი ვალე პიანა - პოლიკორო | 214 კმ. |
| 9 ეტაპი | 17 მაისი | პოლიკორო - კაროვინო | 142 კმ. |
| — | 18 მაისი | დასვენების დღე | — |
| 10 ეტაპი | 19 მაისი | პორტო სანტ'ელპიდიო - ასკოლი პიჩენო | 146 კმ. |
| 11 ეტაპი | 20 მაისი | პორტო სანტ'ელპიდიო - ჩეზენა | 228 კმ. |
| 12 ეტაპი | 21 მაისი | ჩეზენა - ტრევიზო | 210 კმ. |
| 13 ეტაპი | 22 მაისი | ტრიესტე - ალტობანი, ინდივიდუალური რბოლა | 52 კმ. |
| 14 ეტაპი | 23 მაისი | ტრიესტე - პულა/პოლა | 175 კმ. |
| 15 ეტაპი | 24 მაისი | პორეჩ/პარენცო - სან ვენდემიანო | 234 კმ. |
| 16 ეტაპი | 25 მაისი | სან ვენდემიანო - ფალზესი | 217 კმ. |
| — | 26 მაისი | დასვენების დღე | — |
| 17 ეტაპი | 27 მაისი | ბრუნიკო - ფონდო სარნონიკო | 153 კმ. |
| 18 ეტაპი | 28 მაისი | კლეს ვალ დი ნონი - ბორმიო | 118 კმ. |
| 19 ეტაპი | 29 მაისი | ბორმიო - პრესოლანა | 122 კმ. |
| 20 ეტაპი | 30 მაისი | კლუსონე - მილანი | 149 კმ. |

ბოლო წლების გამარჯვებულები

| წელი | საერთო ჩათვლაში | სპრინტში | მთის ეტაპებზე |
|---|---|---|---|
| 2003 | ჯ. სიმონი | ჯ. სიმონი | ფ. გონსალესი |
| 2002 | პ. სავოლდელი | მ. სტრაცერი | ფ. კასაგრანდე |
| 2001 | ჯ. სიმონი | მ. სტრაცერი | ფ. გონსალესი |
| 2000 | ს. გარძელი | დ. კონიშევი | ფ. კასაგრანდე |
| 1999 | ი. გოტი | ლ. ჟალაბერი | ხ. გონსალესი |
| 1998 | მ. პანტანი | მ. პიკოლი | მ. პანტანი |
| 1997 | ი. გოტი | მ. ჩიპოლინი | ხ. გონსალესი |
| 1996 | პ. ტონკოვი | ფ. გუიდი | მ. პიკოლი |
| 1995 | ტ. რომინგერი | ტ. რომინგერი | მ. პიკოლი |
| 1994 | ე. ბერზინი | ჯ. აბდუჯაპაროვი | პ. რიშარი |
| 1993 | მ. ინდურაინი | მ. ჩიპოლინი | ს. კაპუჩი |

**მესამე ეტაპის შედეგები:**

1. ჯილბერტო სიმონი 5. 46. 09
   *საეკო, იტალია*
2. დამიანო კუნეგო +0,15
   *საეკო, იტალია*
3. ფრანკო პელოცოტი +0,16
   *ალესიო-ბიანკი, იტალია*

**საერთო ჩათვლა:**

1. ჯილბერტო სიმონი 14. 13. 58
   *საეკო, იტალია*
2. დამიანო კუნეგო +0,13
   *საეკო, იტალია*
3. იაროსლავ პოპოვიჩი +0,21
   *ლანდბოუკრედიტ-კოლნაგო, უკრაინა*

ჩოგბურთი

# დღე პირველი, დღე სასიამოვნო


ლაბაძემ მორიგ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია.

*დიდხანს მეგონა, რომ ჰამბურგერი მარტო ჰამბურგში კეთდებოდა და ამიტომაც ერქვა ქალაქს ჰამბურგი. დღეს ბევრი რამ ვიცი ჰამბურგზე. ვიცი, რომ ის გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქია, რომ ამ ქალაქში წამოჭიმულია გერმანიაში ყველაზე მაღალი შენობა და ჰამბურგში ტარდება მასტერსის ტურნირი ჩოგბურთში, რომელშიც ირაკლი ლაბაძე იღებს მონაწილეობას.*

სანდრო ნავერიანი

დაიფრინეს ხუან იგნასიო ჩელა ჰამბურგის მასტერსიდან, დაიფრინეს. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ირაკლი ლაბაძემ გააკეთა. იცის, ძმაო, ამ კაცმა თავისი საქმე და რა გინდა, რო ქნა!

ის კონკრეტული მატჩი სამ სეტს გაგრძელდა. ირაკლიმ პირველ სეტში ერთი ამოსუნთქვით მოაგვარა საქმე - 6:0 გაიმარჯვა. მეორე სეტში ჩელა გამოფხიზლდა, იფიქრა, ვინ მიგებს, რო მიგებსო და სეტი 6:3 მოიგო, თუმცა, ირაკლის ამ სეტშივე შეეძლო, ყველაფერი მოეგვარებინა და მესამე სეტი აღარ ეთამაშა, მაგრამ... გადამწყვეტი სეტი ყველაზე დაძაბული გამოდგა. ჩოგბურთელები თავის მოწოდებაზე გეიმებს იგებდნენ და ასე მივიდნენ ტაიბრეიკამდე, სადაც ირაკლიმ არანაირი შანსი არ დაუტოვა არგენტინელ ჩოგბურთელს და 7:1 დაამარცხა. საერთო ჯამში ლაბაძემ 6:0, 3:6, 7:6(1) მოიგო და მეორე წრეში გავიდა.

აქ მისი მეტოქე, სავარაუდოდ, იქნება ნიკოლას მასუ, რომელიც თავის მატჩს ავსტრიელ იურგენ მელცერთან გამართავს. ალბათ, გახსოვთ, რომის მასტერსზე ჩვენებური სწორედ მასუმ გამოაგდო ტურნირიდან. ახლა ირაკლის შანსი ეძლევა, რევანში აიღოს ჩილელზე და მესამე წრეშიც გავიდეს. იმ შემთხვევაში თუ ლაბაძე და საფინი თავიანთ მატჩებს მოიგებენ, მესამე წრეში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ასე იყო პორტუგალიაში, ასე იყო რომში და ასეა ჰამბურგშიც. ვერ ვიტყვი, ირაკლის საფინთან თამაშის ეშინია-მეთქი, მაგრამ პირადად მე ნამდვილად არ მინდა, რომ საფინი და ლაბაძე ერთმანეთს შეხვდნენ. ვფიქრობ, რუსი უკეთეს ფორმაშია. მაგრამ ერთი რამ მინდა გავიხსენო: როდესაც ირაკლი ლაბაძეს ველაპარაკებოდი (პორტუგალიიდან ახალი ჩამოსული იყო), მითხრა, საფინთან შეხვედრის წინ უკვე ვიცოდი, რომ მატჩი უნდა შემეწყვიტა და ამის სათქმელად შევედი მარატთან, რომელიც გასახდელში იჯდა და განწყობილებას იქმნიდაო. ესე იგი, შესაძლოა, საფინს ცოტათი ეშინია კიდეც ლაბაძის.

საფინმა, თავის მხრივ, ფრანგი სებასტიან გროსჟანი დაამარცხა 7:6(6), 7:5. მატჩი ძალიან დაძაბული იყო, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს. წინა წერილში ჩემი პროგნოზი გავაკეთე, გროსჟანი მოიგებს-მეთქი. როგორც ყოველთვის, არც ახლა გამართლდა. ჰო, მართლა, ერთი რამ მინდა ვურჩიო ტოტალიზატორებისა და ნაძლევების მოყვარულებს: თუ ჩემს წერილებში რაიმე პროგნოზს ამოიკითხავთ, პირიქით ჩადით ფსონს. აუცილებლად მოიგებთ! ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე რომ მოქცეულიყავით, ნამდვილად გამდიდრდებოდით.

ცოტა გადავუხვიე.

ისევ ჩოგბურთი, არა? იყოს ისევ ჩოგბურთი, რა მენაღვლება?

ლაბაძემ მოიგო, რამაც ძალიან გაგვახარა, მაგრამ სხვებმა რა დააშავეს, მათზეც ხომ უნდა ვთქვათ, რომ მოიგეს. სომეხმა სარგის სარგისიანმა პოსტსაბჭოურ დერბიში ნიკოლაი დავიდენკო დაამარცხა და ახლა მეორე პოსტსაბჭოური დერბის ჩატარება მოუწევს იმ საფინთან, რომელზეც ამდენი ვილაპარაკე. ტურნირზე ჯერ სენსაცია არ მომხდარა, თუ, რა თქმა უნდა, ჩელაზე ლაბაძის გამარჯვებას არ ჩავთვლით (მე არ ვფიქრობ, რომ ლაბაძის გამარჯვება სენსაცია იყო). საინტერესო მატჩი გამართა ოლივერ როშუმ, რომელმაც ტაილანდელი შრიჩაპხანი დაამარცხა 6:3, 6:4. მე მგონი, პარადორნ შრიჩაპხანი (მაგის მშობლებს ვენაცვალე, რა მაგარი სახელი დაურქმევიათ!) მატჩის დროს ცოტათი მთვრალი იყო ან მაგრად ეძინებოდა - კორტზე ისე დარბოდა, თითქოს საძოვარზე ყოფილიყო და ბალახს ვერსად პოულობდა. მოკლედ, მაგან, ჯობია, კრიკეტი ან კროკეტი ითამაშოს, ჩოგბურთი მაგისი საქმე აღარ არის. მას შემდეგ, რაც შარშან განაცხადა, ამერიკის ღია პირველობა უნდა მოვიგოო, იმის მერე ერთი მატჩიც არ მოუგია. ესპანელმა ტომი რობრედომ ადვილად 6:2, 6:0 დაამარცხა ფრანგი ენტონი დიუპუ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს დღე ნამდვილად არ იყო ფრანგების. დიპუსთან ერთად თავიანთი შეხვედრები დათმეს არნო კლემანმა და ტიერი ასკინემ. კლემანმა პერუელ ლუის ჰორნასთან წააგო, ხოლო ასკინემ - სლოვაკ დომინიკ ჰრბატთან.

ასე რომ, ჰამბურგში მიმდინარე მასტერსის ტურნირის პირველმა დღემ ჩვენთვის სასიამოვნოდ ჩაიარა.

# ინკვიზიცია II

## რეპრესიების დასაწყისი



პაპი გრიგოლ IX

1231 წელს რომის პაპმა, გრიგოლ IX-მ გერმანიაში დანიშნა ინკვიზიტორად ეპისკოპოსი **კონრად მარგურგელი** — პირველი იმ დიდ ინკვიზიტორთა სერიიდან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ატერორებდნენ ქვეყანას. და თუმცა ძლიერი ემოციური გამონათქვამები გვაშორებენ მეცნიერულ ობიექტურობას, უნდა ვაღიაროთ, რომ კონრადი ნამდვილი სისხლისმსმელი ურჩხული იყო, რომელმაც რაინის მხარე ორი წლის განმავლობაში ნამდვილი ხოცვა-ჟლეტის თეატრად აქცია. ინკვიზიტორი რომელიღაც ფანტასმაგორიულ სექტას ეძებდა, რომლის მიმდევრები, თითქოს ლუციფერს, სატანას ეთაყვანებოდნენ, ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ და ებრძოდნენ ღმერთსა და მის ეკლესიას, რათა კვლავ ზეცად აეყვანათ მეამბოხე ანგელოზი. ამგვარი სექტის არსებობა დოკუმენტურად დაუმტკიცებელი დარჩა, მრისხანე ინკვიზიტორი კი ამბოხებულმა ხლახმა მოკლა. ერთი მხრივ, ამ მკვლელობამ დროებით შეაჩერა სასტიკი რეპრესიები, მეორე მხრივ კი, დაარწმუნა პაპი, რომ საშინელი სექტა მართლაც არსებობდა. 1233 წელს გრიგოლ IX-მ გამოსცა განჩინება, რომელიც ცნობილია პირველი კურთხევა ინკვიზიციის სისასტიკისა.

იმ დროს სამხრეთ საფრანგეთში უკვე თითქმის რეპრესირებული იყო კათართა მძლავრი ერესი, ასე რომ სარწმუნოების სიწმინდის დამცველებს შეეძლოთ მცირე მასშტაბის გადახრებისთვისაც მოეცალათ.

პაპის განჩინებაში უკვე დეტალურადაა მოცემული სოფლის ჯადოქრის კოლორიტული სახე, აღწერილია შესაბამისი შავბნელი რიტუალები. კერძოდ, პონტიფიკალური დოკუმენტი გვამცნობს: "**როცა ჯადოქრობაში ახლადმოსული უნდა მიიღონ, იგი სულწარწყმედილთა კრებულში შედის და მას წარუდგენენ ბაყაყს ან გომბეშოს, რომელსაც ახლადმოსულმა უნდა აკოცოს ანუსში ან პირში. თანაც სულიერის ენას თავისი ენა უნდა შეახოს და მისი ლორწოც ალოკოს**". აქ ნამდვილად ჩანს იმ ხალხური ზღაპრების გავლენა, სადაც უფლისწულმა მოჯადოებულ ბაყაყს უნდა აკოცოს, რომ ეს უკანასკნელი მშვენიერ ასულად იქცეს. განჩინება განაგრძობს: "**ახლადმოსული წინ დგამს რამდენიმე ნაბიჯს და აღმოჩნდება საოცრად ფერმკრთალი შავთვალა მამაკაცის წინაშე, რომელიც იმდენად გამხდარი და დასუსტებულია, თითქოს მხოლოდ ძვალი და ტყავი იყოს და ხორცი კი არ ესხას. ახლადმოსული მას მკლავებს ხვევს და ამჩნევს, რომ კაცი ყინულივით ცივია. ამ წუთში კათოლიკური სარწმუნოების ყოველი კვალი ქრება მისი მეხსიერებიდან**". აქ ნამდვილად ვცნობთ ვამპირს ან გაცოცხლებულ გვამს. "**შემდეგ ყველანი უსხდებიან სუფრას და როცა ღრეობას დაასრულებენ, იმ ქანდაკებიდან, რომელიც, ჩვეულებრივ, ამგვარი შეკრებების ადგილასაა აღმართული, გამოდის ვეებერთელა შავი კატა, საშუალო ზომის ძაღლის ხელა, რომელიც კუდაწეული მოემართება უკან-უკან და ახლადმოსულმა მას კუდქვეშ უნდა აკოცოს**". ამ დოკუმენტში სხვა ამგვარი საოცრებებიც უხვად არის. სინამდვილეში საქმე გვაქვს ბერძნულ-რომაული მითოლოგიისა და ძველგერმანული ჯადოსნური ზღაპრების უცნაურ ნაზავთან, რომელსაც სოფლური წეს-ჩვეულებებითა და ცრურწმენებით რამდენადმე დაბრკოლებული ქრისტიანობა ეშმაკის თაყვანისცემად მიიჩნევდა. ყველაფერია თავმოყრილი პაპის განჩინებაში: ნაყოფიერების ძველი რიტუალები, ბახუსის ორგიები, გერმანული ელფები და გნომები გვერდში უდგანან ანტიკურ სატირებსა და ნიმფებს, დიანა და ჰეკატა ხელს ართმევენ დონერსა და ოდინს. მთელი აგრარული მიკროპანთეონი, რომელიც თან სდევდა გერმანელი გლეხის ყოველდღიურ ცხოვრებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ცხოვრება ათასობით წლის განმავლობაში არ იცვლებოდა და ჩვეული რიტმით მიედინებოდა, ეკლესიამ ეშმაკის საუფლოდ გამოაცხადა. გლეხის ცხოვრებაც შეიცვალა და ეს ცვლილება ინკვიზიციის კოცონთა არილით განათდა.

ყველას, ვინც დღეს ეკლესიური პოზიციებიდან ებრძვის, მაგალითად, "ჰარი პოტერს", შეუძლია არაერთი თავისთვის საინტერესო და სულის მარგებელი ცნობა ამოიკითხოს პონტიფიკალურ განჩინებაში Vox in Rama. ეს სათაური ითარგმნება ასე: "ხმა რამიდან". ფსალმუნში ნათქვამია, რომ ქალაქ რამიდან ისმის რაქელის ტირილი დაღუპული შვილების გამო. ეს სევდიანი სურათი ბიბლიურ სიმბოლიკაში ყოველთვის შურისძიების მოთხოვნასა და უსაზღვრო მწუხარებას გამოხატავს.

მაგრამ პაპის 1233 წლის განჩინება არ ყოფილა პირველი. ჯერ კიდევ 50 წლით ადრე თეოლოგი **იოანე სოლსბერიელი** შეკრებს და გადმოსცემს თავის ნაწარმოებში "პოლიკრატე" ჯადოქრული შაბაშის სხვადასხვა ვერსიას. ეს სოფლის მღვდლების, სხვადასხვა მქადაგებელთა და ღვთისმეტყველთა ნაწერების კომპილაცია და სისტემატიზაციაა. იოანე სოლსბერიელი წერს: "**ზოგნი ღამღამობით იწვევენ შეკრებებს ან ნადიმებს, რომლებზედაც მათ ჰეროდიადა ან ღამის დედოფალი ხელმძღვანელობს**" — აქ კი რიჰარდ შტრაუსისა და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ჯერ დაუწერელი ოპერების მოქმედ პირებს ვხვდებით. უფრო სერიოზულად რომ ვთქვათ, ეკლექტიკურ ერთიანობაში ვხედავთ სახარებაში მოხსენიებულ იუდეის მეფის ცოლსა და გერმანული ხალხური მითოლოგიის ერთ-ერთ პერსონაჟს. ვერ ვიტყვით, რომ იოანე სოლსბერიელი მთლიანად იზიარებს ამ რწმენას, მაგრამ აშკარად ადასტურებს, რომ ადგილი აქვს ღამის შეკრებებს, ცაში ცოცხით ფრენას, ჯგუფურ ორგიებს, ბავშვთა მკვლელობებსა და კანიბალიზმს. ამ უკანასკნელის თაობაზე ჩვენც უნდა დავეთანხმოთ XII საუკუნის ბოლოს მოღვაწე თეოლოგს, რადგან მისი თანამედროვე მოსახლეობა იმდენად გაწამებული იყო, ერთი მხრივ, ბუნებრივი პირობების სისასტიკითა და მოუსავლიანობით, მეორე მხრივ, ფეოდალთა გაუმაძღრობით, რომ კანიბალიზმი (არა აუცილებლად რიტუალური, არამედ გადარჩენის მიზნით) საკმაოდ ხშირი იყო.

ასევე ცნობილია შუა საუკუნეების უდიდესი ავტორიტეტის, **პეტრე ლომბარდიელის** სენტენციათა წიგნი. ავტორი საკმაოდ უნიჭო კომპილატორი იყო, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ ხელს უწყობდა მისი თხზულების ფართო გავრცელებას. ამ წიგნშიც საკმაო სიცხადითაა აღწერილი და სისტემატიზირებული ჯადოქრობისა და მკითხაობის შესაძლო გამოვლინებები.

თეოლოგთა ბეჯითმა შრომამ და შემდგომ პაპის მიერ გამოცემულმა განჩინებამ საბოლოოდ დაამკვიდრეს და დააკანონეს ევროპაში ინკვიზიციის მსახვრალი ხელი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გა-

### ბრალდება

თავდაპირველად ინკვიზიციას პრაქტიკულად არ სჭირდებოდა წინასწარი გამოძიების მექანიზმი და ტექნოლოგია, რადგან ერეტიკოსები — კათარები და ვალდენსები — არ მალავდნენ თავიანთ მრწამსს. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა პირველი სასტიკი რეპრესიებიდან, რომ ისინი კონსპირაციულ მდგომარეობაზე გადავიდნენ და გარეგნულად კათოლიკურ რიტუალებში მონაწილეობაც კი დაიწყეს.

როგორ მოქმედებდა ინკვიზიცია? დავუშვათ, რაღაც მოსაზრების საფუძველზე რომელიმე მხარეში იგზავნებოდა ინკვიზიტორი. ის თავისი ჩამოსვლის დღეს აცნობებდა მხარის ეპისკოპოსს, რომ მომზადებულიყო საზეიმო დახვედრა და რანგის შესაბამისი რეზიდენცია. საჯარო ღვთისმსახურებაზე ინკვიზიტორი სიტყვით მიმართავდა მრევლს და აცხადებდა, რომ 6 ან 10 დღის განმავლობაში ყველას უნდა ეცნობებინა მისთვის, თუ კი რამ იცოდა ერეტიკოსთა შესახებ. თანამშრომლობაზე უარი ავტომატურად ნიშნავდა ეკლესიისგან განკვეთას, აღდგენა კი მხოლოდ ინკვიზიტორს შეეძლო, რისთვისაც განსაკუთრებულ სამსახურს ითხოვდა. ინფორმატორები კი, პირიქით, ცოდვათა სამწლიან შენდობას იღებდნენ. ინკვიზიტორი პირადად შედიოდა კონტაქტში ინფორმატორთან და მის სახელს საიდუმლოდ ინახავდა, რადგან მსხვერპლთა ნათესავები ხშირად შურს იძიებდნენ ხოლმე.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ამგვარი ვითარებისას, შიშით შეპყრობილი ადამიანები ხშირად გამოგონილი ბრალდებებით მოდიოდნენ ინკვიზიტორთან აღსარებაზე, რომ საკუთარი ოჯახისთვის აეცილებინათ სასჯელი. ბევრი პირადი შურისძიებისთვის ან კონკურენტთა და მეტოქეთა თავიდან მოსაშორებლად სარგებლობდა შემთხვევით. მრავალი იყო ანონიმური დაბეზღებაც, რასაც ასევე ითვალისწინებდა ინკვიზიტორი.

ინფორმატორებად ვაჟები 14 წლიდან ითვლებოდნენ, ქალები კი 12 წლიდან. მაგრამ ინკვიზიტორები მცირეწლოვანი ბავშვების ჩვენებებსაც იღებდნენ. ასევე არ არსებობდა ასაკობრივი ცენზი ბრალდებულისთვის.

მაგრამ ყველაზე სასურველი იყო, თუ ერეტიკოსი თვითონ მოვიდოდა ინკვიზიტორთან და მოინანიებდა დანაშაულს. ამასაც შიშისა და მუქარის საშუალებით აღწევდნენ. ცხადდებოდა, რომ 15-დან 30 დღემდე ვადაში ერეტიკოსებს შეეძლოთ მონანიება ისე, რომ საკუთარ სიცოცხლეს და, შესაძლოა, ქონებასაც შეინარჩუნებდნენ. მაგრამ თუ მოსანანიებლად მოსული საკმაოდ მდიდარი იყო, ინკვიზიტორი მაინც პოულობდა საბაბს კონფისკაციისთვის.

ინკვიზიტორის ჩამოსვლა ყოველთვის საშინელ პანიკასთან იყო დაკავშირებული. არავინ ზუსტად არ იცნობდა საკუთარ მტრებს, არ იცოდა, საიდან შეიძლება მოსულიყო საფრთხე. ერეტიკოსებიც და კათოლიკეებიც ერთნაირად გრძნობდნენ ტერორის საშინელებას. XIV საუკუნის ფრანგი ინკვიზიტორის, **ბერნარ გის** მოწმობით ყოველ მხილებას რამდენიმე ახალი მოსდევდა, სანამ მთელი ქვეყანა უხილავი ქსელით არ დაიფარებოდა. პაპი გრიგოლ IX წერდა, რომ შვილები მამებს აბეზღებდნენ, მამები — შვილებს, ცოლები ქმრებსა და ქმრები ცოლებს.

### გამოძიება

გამოძიების საფუძველი, როგორც ვნახეთ, იყო დაბეზღება ან უკვე გამოძიების ქვეშ მყოფი პირის ჩვენება მესამე პირის წინააღმდეგ. ინკვიზიტორი იწყებდა მოწმეების დაკითხვას, აგროვებდა დამატებით ცნობებს, აგზავნიდა შეკითხვებსა და მოთხოვნებს სხვა ინკვიზიციურ სასამართლოებში. ამის შემდეგ შეგროვილი მასალა გადაეცემოდა კვალიფიკატორებს, ინკვიზიციის იურისტებს, რომლებიც წყვეტდნენ, საკმარისი იყო თუ არა ეს მასალა ბრალის წასაყენებლად. დადებითი პასუხის შემთხვევაში ინკვიზიტორი ეჭვმიტანილის დაპატიმრების ბრძანებას იძლეოდა.

ესპანეთში ეჭვმიტანილი მაშინვე გადაჰყავდათ საიდუმლო ციხეში, სადაც სრულ იზოლაციაში ამყოფებდნენ, ხშირად სიბნელეში და ბორკილდადებულს. ეჭვმიტანილის სიკვდილის ან ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში გამოძიებას არ წყვეტდნენ. ერეტიკოსთან შემთხვევით საუბარში მხილებული ადამიანები ზოგჯერ წლებს ატარებდნენ ციხეში. ეს დაწესებულება აღწერილია, მაგალითად, XVIII საუკუნის ინგლისელი მწერლის, **ჩარლზ მეტიურინის** რომანში "მელმოტ მოხეტიალე", მაგრამ ძნელია სათქმელია, აღწერის საშინელებათა ნამდვილი მიზეზი რეალობა იყო, თუ ინგლისსა და ესპანეთს შორის არსებული დიდი ხნის შუღლი.

და მაინც, დაბეზღებას ინკვიზიცია ლამის დანაშაულის მტკიცებად მიიჩნევდა. ყოველი ქრისტიანი პოტენციურ ერეტიკოსად განიხილებოდა, რადგან ეშმაკი ყველას შეცდენას ერთნაირად ცდილობდა. ამიტომ დაბეზღებას ისე უყურებდნენ,



ინკვიზიციის სასამართლო სხდომა

როგორც განგების მისტიკურ აქტს, დამბეზღებელი კი ჭეშმარიტების მაცნესთან იყო გაიგივებული. ამის გამო გამოძიებისა და სასამართლოს მიზანი მიღებული ინფორმაციის შემოწმება ან დამტკიცება კი არ იყო, არამედ ბრალდებულის აღიარების მიღება. რა თქმა უნდა, იმის ფიქრიც შეიძლებოდა, რომ თვით დამბეზღებელი იმყოფებოდა ეშმაკის ზემოქმედების ქვეშ, მაგრამ ამგვარი მსჯელობა ინკვიზიტორს ჩიხში შეიყვანდა და მსხვერპლთა რაოდენობას კატასტროფულად შეამცირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინკვიზიცია ყველას დამნაშავედ მიიჩნევდა, მაინც ცდილობდა ბრალდების დამტკიცებას. აქ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა კი არ იყო მთავარი, არამედ სულ სხვა მიზნები: ჯერ ერთი, ბრალდებულს უნდა ეღიარებინა დანაშაული და საჯაროდ მოენანიებინა. სხვა სიტყვებით, ბრალდებულის წინააღმდეგ სამხილთა შეგროვება მისი სულის ცხონებისათვის ზრუნვად იყო მიჩნეული. სულის და, მით უმეტეს, სიცოცხლის გადასარჩენად კი გამოძიების ქვეშ მყოფ პირს აუცილებლად უნდა ეღიარებინა ყოველი ბრალდება და ყოველი სამხილის ჭეშმარიტება. მეორეც, სამხილთა სიმრავლე და ეფექტურობა გარეგანი, წმინდად ფორმალური დეკორაცია იყო, ან, უფრო ზუსტად, ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღი. სამხილებს უნდა გაეტეხათ ბრალდებულის ნებისყოფა, მოესპოთ წინააღმდეგობის უნარი, დაეტოვებინათ მისთვის ერთადერთი გზა: ინკვიზიტორის წინაშე სრული კაპიტულაცია.

საიდან იღებდნენ სამხილებს? დამბეზღებელთა გარდა მოქმედებდა ცრუ მოწმეთა მთელი სისტემა, ინკვიზიციის სამსახურში მყოფი საიდუმლო თანამშრომლები, სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის დამნაშავეები — ქურდები, მკვლელები და სხვა მსგავსი ელემენტები, რომელთა ჩვენებებს შუა საუკუნეების საერო სასამართლოებში იურიდიული ძალა არ ჰქონდათ. ამ პრაქტიკაში იღებს სათავეს სისხლის სამართლის დამნაშავეთა გამოყენება პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ, რომელსაც ასე დაწვრილებით და შთამბეჭდავად აღწერს **ალექსანდრე სოლჟენიცინი** თავის რომანში "არქიპელაგი გულაგი". შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ 1930-იან წლებში, დიდი პარტიული წმენდის წინ საბჭოთა კავშირში რუსულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ტამპლიერთა ცნობილი პროცესის ოქმები. ინკვიზიცია ისმენდა ბრალდებულის ცოლის, შვილების, ძმების, დების, მამის, დედისა და სხვა ნათესავების ჩვენებებს, ასევე მსახურთა და მოჯამაგირეთა მოწმობას. გამამართლებელ ჩვენებებს არ ითვალისწინებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ ეს ნათესაური სიყვარულის გამოვლინება იყო და არა ჭეშმარიტების ხმა.

ასევე, ინკვიზიცია მხილებული ერეტიკოსების, ეკლესიისაგან განკვეთილი პირებისა და ბრალდებულის თანამზრახველების მხოლოდ გამამტყუნებელ ჩვენებებს უწევდა ანგარიშს. არაგონის ინკვიზიტორი, **ნიკოლას ეიმერიკი** ამ თვალსაზრისით წერს: "ერეტიკოსის ჩვენებები ბრალდებულის სასარგებლოდ შეიძლება გამოწვეულ იყოს მისი სიძულვილით ეკლესიისადმი და სურვილით, ხელი შეუშალოს სარწმუნოების წინაშე დამნაშავის დასჯას. ამგვარი ვარაუდები არ წარმოიშობა, როცა ერეტიკოსი თავის ჩვენებებში ამტყუნებს ბრალდებულს".

დამბეზღებლისა და მოწმეების სახელებს არა მარტო კვალიფიკატორებს უმალავდნენ, არამედ ბრალდებულებსაც და მათ დამცველებსაც. გამოძიების ყოველი მონაცემი მხოლოდ შეცვლილი ფორმით მჟღავნდებოდა, რომ მოწმის ან დამბეზღებლის ნამდვილი ვინაობა არ გამოაშკარავებულიყო. მაგალითად, თუ მოწმის ჩვენებაში იყო ინფორმაცია, რომ ბრალდებული ერეტიკულ თვალსაზრისებს გამოთქვამდა, ამბობდნენ, რომ არსებობს ერთი პირის ჩვენებები, რომელმაც გაიგონა, როგორ აღიარებდა ბრალდებული ერეტიკულ მრწამსს მესამე პირის წინაშე და ა. შ.

ამ ფაქტების უარყოფა დღეს უკვე შეუძლებელია. ერთადერთი გზა, რომელიც ინკვიზიციის დღევანდელ აპოლოგეტებს დარჩათ, მათი გამართლებაა. მაგალითად, ესპანელი ეკლესიის ისტორიკოსი, **ბერნარდინო ლიორკა**, რომელმაც ინკვიზიციაზე ვრცელი გამოკვლევა დაწერა, ამგვარ მოქმედებათა გამართლებისას შემდეგნაირად მსჯელობს: მთელი პრობლემა დაიყვანება იმ საკითხამდე, ვაღიარებთ თუ არა ჩვენ ერესის ძალადობრივი დევნის აუცილებლობას, მისი მოსპობისა და ამოძირკვის მნიშვნელობას. თუ ამ საკითხზე დადებითად ვუპასუხებთ, ინკვიზიციის საქმიანობის, მისი მეთოდების სხვა დეტალებიც თავისთავად მოიპოვებენ გამართლებას. "ინკვიზიცია ვერასოდეს იქნებოდა ქმედითი და ეფექტური, საიდუმლოდ რომ არ შეენახა თავის მოწმეთა სახელები. ეს თავიდანვე ცხადი იყო" — წერს ლიორკა. სხვა ისტორიკოსი, **ჯაკომო მარტინა** წერს, რომ კათართა წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები აუცილებელი იყო, რადგან მათი დოქტრინა დამღუპველი იყო ევროპული კულტურისათვის. მაგრამ ჯერ ერთი, კათართა ერესის დამარცხება XIV საუკუნეში ინკვიზიციის მთელი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო; მეორეც, მოგვიანებით გამარჯვებული კალვინიზმის მოძღვრებაც არანაკლებად შეიცავდა ანტიკულტურულ ელემენტებს, მაგრამ ამას ევროპული ცივილიზაცია დაღუპვის პირას არ მიუყვანია, პირიქით, კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობად იქცა.



ბრალდებული ინკვიზიტორის წინაშე

ასე თუ ისე, ინკვიზიციური გამოძიების წარმართვის მეთოდები რადიკალურად განსხვავდებოდა დემოკრატიულისაგან და ძალიან ჰგავდა საბჭოთა პერიოდში მიღებულს. მოწმის აცილების ერთადერთი საფუძველი ბრალდებულთან პირადი შუღლი იყო. ამიტომ ამ უკანასკნელს სთხოვდნენ გამოძიების დაწყებამდე თავისი პირადი მტრების სია შეედგინა და ჩამოეთვალა ადამიანები, რომლებსაც, მისი ვარაუდით, გამამტყუნებელი ცრუ ჩვენებების მიცემა შეეძლოთ. თუ ამ სიაში რომელიმე დამბეზღებელი ან მოწმე მოხვდებოდა, მისი ჩვენებები ძალას კარგავდა, მაგრამ ბრალდებულს ამის შესახებ არ აცნობებდნენ. ინკვიზიტორები დაჟინებით იმეორებდნენ ბრალდებას მაშინაც, როცა აშკარა იყო, რომ ეს მხოლოდ ცილისწამებაა და დამბეზღებელთა გამოგონება. გარდა ამისა, მოწმის აცილება იმდენი იურიდიული დაბრკოლებით იყო დაცული, რომ ბრალდებულს ამის საშუალება პრაქტიკულად არ ეძლეოდა. ბრალდებულს უნდა დაემტკიცებინა, რომ უცნობი მოწმე მართლაც იყო მისი მოსისხლე მტერი, მისი მტკიცებათა მსაჯულები კი ისევ ინკვიზიტორები იყვნენ, რომელთა აზრით ბრალდებული უბრალოდ სასჯელისგან თავის დაძვრენას ცდილობდა სხვადასხვა ხრიკებით.

არსებითად ყველა მოწმე ბრალდების მხრიდან იყო. ბრალდებულს კი არ შეეძლო თავისი უდანაშაულობის დამამტკიცებელი მოწმეების წარდგენა. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ადამიანებიც ავტომატურად ბრალდების ქვეშ აღმოჩნდებოდნენ. ზოგჯერ ხდებოდა, რომ მოწმე ჩვენებას ცვლიდა, მაგრამ ინკვიზიცია აქაც მხოლოდ იმ ჩვენებებს ითვალისწინებდა, რომლებიც ბრალდებულის მდგომარეობას ამძიმებდა, ამ უკანასკნელს კი არაფერი ეცნობებოდა მოწმის ჩვენებაში მომხდარი სასიკეთო ცვლილების შესახებ. თვითონ მოწმეც მთლიანად ინკვიზიციის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა და მის თავზე მუდამ იყო ბრალდებულად ქცევის ყოველწამიერი საშიშროება. არავინ იყო მისი დამცველი და ინკვიზიტორებს ყოველთვის შეეძლოთ მისი წამება "საჭირო" ჩვენებების მისაღებად. თუ მოწმე ჯიუტდებოდა, მას პატიმრობას უსჯიდნენ, ან აიძულებდნენ ტანსაცმელზე სამარცხვინო ნიშნების ტარებას: ჩვეულებრივ, ეს ენის ფორმის წითელი მაუდის ნაჭრები იყო, რომლებიც ზურგსა და მკერდზე მაგრდებოდა.

არ არსებობდა გამოძიების დროითი ზღვარი და დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა. წინასწარი პატიმრობა ხანდახან ერთი, ორი ან ათი წელი გრძელდებოდა. ამას ისიც აადვილებდა, რომ ბრალდებული თვითონ ანაზღაურებდა თავისი პატიმრობის ხარჯებს, რადგან დაპატიმრებისთანავე მის ქონებას სეკვესტრი ედებოდა. უსამართლობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს მთელი მაშინდელი ეპოქა ამგვარი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ინკვიზიციაც მხოლოდ თავისი კულტურის წარმონაქმნია. მაგალითად, XIV საუკუნის მილანში საერო სასამართლოს მომჩივანი იღებდა წერილობით ვალდებულებას, რომ ბრალდების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში თვითონ გახდებოდა სასამართლო დევნის ობიექტი და აუნაზღაურებდა ბრალდებულს ყოველგვარ ზარალს. ბრალდებულს კი უფლება ჰქონდა აეყვანა დამცველი, სცოდნოდა მოწმეთა სახელები და მათი ჩვენებების შინაარსი. თვით მოსამართლე კი ვალდებული იყო 30 დღეში დაესრულებინა პროცესი, წინააღმდეგ შემთხვევაში 50 ლივრი ჯარიმა უნდა გადაეხადა.

ინკვიზიციურ სასამართლოს პრეცედენტები არ მოეპოვება, სამაგიეროდ კარგადაა ცნობილი მისი გენეტიკური მემკვიდრე: გასული საუკუნის ტოტალიტარულ რეჟიმებში არსებული სამართალწარმოება.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# ნოვი სადი, მოსკოვი, ბერლინი...

### თანამედროვე ქართული ხელოვნების ძველი და ახალი სახეები

*რამდენიმე დღის წინათ სერბიიდან ქართველი მხატვარ-მუსიკოსების მცირე ჯგუფი დაბრუნდა; იგივე ჯგუფი განახლებული შემადგენლობით ათ დღეში მოსკოვში, ცნობილი "გელმანის გალერეის" არაკომერციულ პროექტში - "თანამედროვე ქართული ხელოვნება" მიიღებს მონაწილეობას; 2005 წლის იანვარში კი ქართველი მხატვრები სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან საკუთარ ნამუშევრებს, ჯერ ბერლინში, შემდეგ კი შტუტგარდში წარადგენენ. სამივე პროექტს ერთმანეთთან რამდენიმე საერთო მონაწილის გარდა, კიდევ რაღაც აკავშირებს...*

ვერა ნეფარიძე

მათ შორის ყველაზე მეტად პოლიტიკური ამბიცია, ალბათ, სერბეთში გასვლას ჰქონდა. ღონისძიების მიზნებიდან გამომდინარე, აქ ევროპასთან ინტეგრაციის თემას უპასუხა ვატო წერეთელმაც და ახალმა შემოქმედებითმა ჯგუფმა - Inf.act (გიო სუმბაძე, გიორგი ჟორჟოლიანი, იგივე ჟორჟიკა და ლევან ნუცუბიძე). ღონისძიება, რომლის სახელწოდებაც იყო "ტრანს-ევროპული პიკნიკი" სერბეთის ქალაქ ნოვი სადში 29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა და ევროკავშირის გაფართოებას მიეძღვნა. პირველად ასეთი შეკრება უნგრელმა მხატვრება 1989 წელს მოაწყვეს. სწორედ მათ წამოიწყეს დისკუსია ევროპაში ინტეგრაციაზე. წლევანდელი "ტრანს-ევროპული პიკნიკის" ავტორები იყვნენ ჰოლანდიელი და სერბი მხატვრები, რომელთაც შეხვედრისთვის მონაწილეები სხვადასხვა, ძირითადად კი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მიიწვიეს. ღონისძიება მოხსენება-დისკუსიებისა და სხვადასხვა პერფორმანსების ჩვენებებისგან შედგებოდა. შეხვედრის თემას ეხმიანებოდა როგორც Inf.act-ის ცნობილი ქართული ზღაპრებისა და მულტფილმების მიხედვით გაკეთებული ვიდეორგოლები, ისე ვატო წერეთელის ლექცია საქართველოსა და მისივე ორგანიზაციის ("მედია არტ ფერმა", როგორც მუშაობის დასავლური ტიპის მქონე ორგანიზაციის) შესახებ. "მნიშვნელოვანი ის იყო, საქართველო რომ წარდგა საერთოდ აქ. ასევე ისიც, რომ ერთმანეთს შეხვდნენ ადამიანები, ვინც ამ საკითხებზე ფიქრობენ. პრინციპში, ამ ღონისძიების მიზანი მაინც ევროპაში ინტეგრაციაა, მაგრამ ინტეგრაცია უნდა იყოს გაცნობიერებული და არა პირდაპირ გადმოღებული, ხელოვნური", - ამბობს "ტრანს-ევროპული პიკნიკიდან" დაბრუნებული ვატო წერეთელი, რომელიც ამჟამად მეორე პროექტით - მოსკოვში "თანამედროვე ქართული ხელოვნების" გამოფენის საორგანიზაციო საკითხებითაც არის დაკავებული.

22 მაისს მოსკოვში ხელოვნების ბაზრობაზე - "არტ-მოსკოვი" ცნობილმა "გელმანის გალერეამ" (რომლის არტ-დირექტორიც ევგენია ქიქოძეა) გადაწყვიტა, არაკომერციული გამოფენა თანამედროვე ქართველი მხატვრებისთვის დაეთმო. გალერეის არტ-დირექტორი, რომელიც 80-იან წლებში თანამშრომლობდა ცნობილ ქართველ (80-იანელების სახელით ცნობილ) მხატვრებთან, ჩამოსული იყო თბილისში მხატვრების შესარჩევად. მასთან ერთად, გამოფენის კურატორობაში ვატო წერეთელიც ჩაერთო. საბოლოოდ შეიქმნა ჯგუფი (მოსკოვში მათგან შვიდი მხატვარი წავა), რომელთა ნამუშევრებიც მოსკოვში ორი კვირის განმავლობაში გამოიფინება. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან როგორც უფროსი თაობის (ილიკო ზაუტაშვილი, ოლეგ ტიმჩენკო), ისე ახალგაზრდა (ნიკო ლომაშვილი, Inf.act, მამუკა სამხარაძე, ირა კურმაევა, გოგა რამიშვილი, ნინო ლომიძე, კოტე სულაბერიძე) და თანამედროვე ქართულ მხატვრობაში ახალი სახეც - ნინო სეხნიაშვილი. "ავტორების შერჩევისას განსაკუთრებული აქცენტები არ გაკეთებულა. ჟენია იცნობდა ჩვენს მხატვრებს, მე, უბრალოდ, ახალი სახეები შევთავაზე. ჟენიამ ორი მნიშვნელოვანი ხაზი დაინახა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში. ერთია, როდესაც ძველი თაობის, ცნობილი მხატვრები ნოსტალგიურ, რომანტიკულ ნამუშევრებს ქმნიან, უფრო გარკვეული გადმოსახედიდან აკეთებენ ამ ყველაფერს; ახალი მხატვრების ნამუშევრებში კი აშკარად იგრძნობა ენერგიული შეცვლის, გარდაქმნის, მუტაციის მომენტი. ეს, გარკვეულწილად, პოლიტიკური მნიშვნელობისაცაა. საუბარი არაა მხოლოდ შევარდნაძის წასვლაზე; ესაა ამბიცია, რომ შეიცვალოს ის, რაც აქამდე იყო", - ამბობს ვატო წერეთელი და მოსკოვში ქართველი მხატვრების მიწვევას პოლიტიკური მნიშვნელობითაც დადებითად აფასებს: "ის რომ, რუსული გალერეა გვიწვევს და ამ ყველაფერში თვითონ ხარჯავს ფულს, არაა ძალიან ბუნებრივი. მართალია, ჩვენ შორის ურთიერთობები ისეთი გართულებული აღარაა, როგორც შევარდნაძის დროს იყო, მაგრამ გარკვეული პრობლემები ხომ მაინც არსებობს". მოსკოვში "თანამედროვე ქართული ხელოვნების" გამოფენის შესახებ დაწვრილებით საუბარი, ალბათ, გამოფენის დასასრულს, ქართველი მხატვრების დაბრუნების შემდეგ ღირს. დასასრულისკენ კი მორიგი არტ-სამზადისის შესახებ.

მორიგი გამოფენა ქართველი მხატვრების მონაწილეობით ბერლინში 2005 წლის იანვარშია დაგეგმილი. მისი ორგანიზატორია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული Institut fur Auslandsbeziehungen, რომელიც ხშირად ძალიან სერიოზულ გამოფენებს ორგანიზატორობს. გალერეა იწყებს სერიებს სხვადასხვა რეგიონებიდან სახელწოდებით - "გამოსახულება და სინამდვილე". ორგანიზატორების ჩანაფიქრის მიხედვით, პირველი სერია კავკასიას უნდა დაეთმოს. ამიერკავკასიელი მხატვრების შერჩევა დაევალა ვატო წერეთელს, რომელმაც სომხეთსა და აზერბაიჯანში ყოფნის შემდეგ შეადგინა კავკასიელ მხატვართა თითქმის ორმოცკაციანი ჯგუფი. მათი რაოდენობა იანვრისთვის, სავარაუდოდ, 13-მდე შემცირდება. გამოფენის ტენდენციების შესახებ საუბარიც, ალბათ, უფრო მონაწილეთა სრული ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ ღირს.


ლევან ნუცუბიძე და ვატო წერეთელი ნოვი სადში.


გიორგი ჟორჟოლიანი პულტთან.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

12 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "ალერსის ენაზე". მთ. რ-ში: შირლი მაკლეინი, ჯეკ ნიკოლსონი.

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** დ დიზაინი. **09.30** ტელედილა.**13.15** ქმნილებანი. მხ. ფილმი რეჟისორი ანეს ვარდა. 1966. **16.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.30** აქტუალური თემა: დებორას ღიმილი. რეპორტაჟი და დაბინძურებული გარემო. სლოვაკეთი. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. მაროკო. **05.20** ნებით ან ძალით. . მხ. ფილმი რეჟისორი ფაბრის კაზენევი. 1998.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **15.15** სერიალი "რვაფეხა" **16.15** დოკ. სერიალი "ევროპის ბუნებრივი დიდებულება" **17.00** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **17.15** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ჩვენი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.45** დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ღამის მატარებელი" **23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** მხ. ფილმი "წითელი სიცხე" (15)

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "შტორმი" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "სარას სამსახურში" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ევოლუცია" (დევიდ დუხოვნი) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმ. ფილმი "დარდუბალა" **20.00** მხ. ფილმი "შეყვარებული ექიმები" **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.30** მხ. ფილმი "დოგმა" (ბენ აფლეკი)

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კლიფორდი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ზეციური ცეცხლი" (რასელ ქროუ) (18) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ექსპერიმენტი" (კრისტიან ბერკელი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" **21.00** "გემრიელად მიირთვით ბავშვებო" **21.30** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმი "ჯარისკაცის მამა"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი "გენერალი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** კალათბურთი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ფინალური სერია. **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "ახალგაზრდა ეკატერინა"

### იბერია

**08.00** ახალი ამბები **08.40** დოკ. ფილმი **10.30** ოპერა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.40** ახალი ამბები **13.15** სერიალი "ხაბაზები" **14.10** დოკ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი "ყასაბი" (15) **17.30** კონცერტი **20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ხაბაზები" **22.45** კონცერტი **23.00** მხ. ფილმი "მძაფრი მოგონება" (15)

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20 Сериал "Клон" 12.20** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.20 Детектив "Кодекс бесчестия", 2 с. 14.30** "Голливудские преступления", ч. 4 **15.15** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** Просто смех! **19.50 Сериал "Клон" 20.50** "Стирка на миллион" **21.00 Худ.фильм "Другая жизнь" 22.00, 00.30** Время **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 23.40** Спецназ. "Задание особой важности" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** Искатели. "Славянские пирамиды" **01.40** Большой взрыв. "Непорочное зачатие" **02.10** Неизвестная планета. "Китайские монастыри" **02.40 Комедия "Два ворчливых старика" 04.30** "Что? Где? Когда?"

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.55 Сериал "Любовь вдовца". 2 с. 11.00** Сегодня утром **11.25** Кулинарный поединок **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.30 Комедия "Теща" 15.05** Время есть **15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип "домино" **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Дом для гиппопотама" **19.35** Протокол **20.40 Роберт Де Ниро в комедии "Анализируй это" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.45 Сериал "Детектив Раш: автостопом в рай". 00.50 Худ.фильм "Пленница любви"**

# სალვადორ დალის 100 წლის იუბილე



ესპანეთი სალვადორ დალის ასი წლის იუბილეს ზეიმობს. მხატვრის საიუბილეოდ ბარსელონაში დაიდგმება ოპერა - “ღმერთად ყოფნა”, რომლის ლიბრეტო დალიმ 1927 წელს ფედერიკო გარსია ლორკასთან ერთად დაწერა. ოპერის დადგმა 8 მილიონ 400 ათასი ევრო დაჯდება. მასში 200-მდე საოპერო მომღერალი და ბალეტის მოცეკვავე მიიღებს მონაწილეობას.

დალის სამშობლოში საიუბილეოდ გაიმართება არაორდინარული ღონისძიებები: მაგალითად, დალის თაყვანისმცემლებმა წერილობით მიმართეს ესპანეთის მეფეს, ხუან კარლოსს და მხატვრის ნეშტის ფიგერესიდან პუბოლის ციხესიმაგრეში (სადაც მხატვრის მეუღლე განისვენებს) გადასვენება სთხოვეს, რაც დალის ოცნება იყო. თაყვანისმცემელთა თქმით კი, მხატვრის 100 წლის იუბილე საუკეთესო მომენტია ამ სურვილის ასასრულებლად.

# კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამას საქველმოქმედო ფონდებიც დააფინანსებენ

პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, 2004 წლის ბიუჯეტის პროექტში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის დაფინანსებისთვის საკმაოდ მცირე თანხებია გამოყოფილი. ამიტომ მთავრობა კულტურული ძეგლების გადარჩენისა და რეაბილიტაციისთვის საქველმოქმედო ფონდებს მიმართავს. ერთ-ერთი მათგანი ფონდი “ქართუ” იქნება, რომელიც, შესაძლოა, მთავრობას ატენის სიონის რესტავრაციაში დაეხმაროს.

როგორც ლევან ბერძენიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, კულტურის, სპორტისა და განათლების დაფინანსებისთვის წელს საბიუჯეტო ხარჯების 6 პროცენტი დაიხარჯება. “იმედი მაქვს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ამ სფეროების დაფინანსება ოდნავ გაიზრდება და ხარჯები მსოფლიო სტანდარტებს გაუტოლდება, როდესაც განათლების, კულტურისა და სპორტისთვის საბიუჯეტო ხარჯების 7-8 პროცენტია გათვალისწინებული”, - განაცხადა ბერძენიშვილმა.

*მედია-ნიუსი*

თავისუფლად კონვერტირებადი მაგისტრის დიპლომი კიევში
EERC M.A. PROGRAM IN ECONOMICS
ეროვნული უნივერსიტეტი ...
სტუდენტებისთვის საქართველოდან უფასო განათლება ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით
ჩვენი განათლება ეს არის
ეკონომიკის სწავლების საერთაშორისო სტანდარტები
სპეციალიზაცია-FINANCE, STRATEGY, CONSUMER BEHAVIOUR, MODERN THEORY OF INDUSTRY/FIRM и ECONOMIC THEORY
ეკონომიკის მსოფლიო რესურსები პროფესორები დასავლეთიდან
სწავლება ინგლისურ ენაზე
უნიკალური ანალიტიკური უნარ-ჩვევები
შესანიშნავი შანსები კარიერული წინსვლისთვის
საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის საშუალება
მაღალი კლასის ტექნიკური უზრუნველყოფა
უფასო საერთო საცხოვრებელი და ღირსეული სტიპენდიები
Internet: http://www.eerc.kiev.ua
тел.: (38-044) 239-2494
e-mail: eerc@eerc.kiev.ua

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge







# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

